

ქანონისმიერი და დელიქტური პაუდუბულებანი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2020, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2020, №2

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2020, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორბი ჭყონიკა

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. **უსაფუძვლო გამდიდრება**
შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე 4
2. **დელიქტური ვალდებულებანი**
ზიანის ანაზღაურება 15; 29; 37; 54

1. უსაფუძვლო გამდიდრება

უცდლომით ხარჯვის განევა სსვა პირის ქონებაზე

გადაწყვეტილება საქართველოს სსხელით

№ას-1286-2018

3 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ნივთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯის ანაზღაურება (თავდაპირველ სარჩელში), უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებულ სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებულ სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. გ. მ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, პირველი აპელანტი, კასატორის მოწინააღმდეგე მხარე ან მფლობელი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ს-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებულ მოსარჩელე, მეორე აპელანტი, კასატორი ან მესაკუთრე) მიმართ, მოპასუხისათვის ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ის ...-ე კორპუსში მდებარე №35 ბინის (შემდგომში – სადავო ქონება) შიდა რემონტისა და გარე კომუნიკაციების მონესრიგებისათვის განეული ხარჯის – 17 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სადავო უძრავ ქონებაში 2005 წლიდან ცხოვრობს მოსარჩელე ოჯახთან ერთად. კორპუსი 2006 წლიდან ჯერ სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდეგ – „თ.“, ხოლო 2008-2010 წლებში ქ. თბილისის მერიის საკუთრებად იყო რეგისტრირებული. 2010 წლის 12 აგვისტოდან კი, უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია სახელმწიფოსა და ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრება, უშუალოდ მოსარჩელის მიერ დაკავებული ბინა, 2014 წლიდან აღრიცხულია მოპასუხის საკუთრებად. ვინაიდან კორპუსი იყო კარკასული, მოსარჩელემ განია ხარჯი როგორც ბინის შიდა, ასევე – გარე საკომუნიკაციო სამუშაოე-

ბისათვის (მათ შორის, წყლის, დენის, გაზისა და საგზაო კომუნიკაციების მიყვანის ხარჯები). გარე კომუნიკაციების ხარჯმა შეადგინა 12 960 აშშ დოლარი, შიდა სამუშაოების ხარჯმა (იატაკის, კარფანჯრების, შიდა საკომუნიკაციო ქსელის მოწყობა) კი – 5 000 აშშ დოლარი. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის თანახმად, ბინის შიდა და გარე რემონტზე განეული ხარჯი ჯამში 17 960 აშშ დოლარს შეადგენს. სწორედ ამ ხარჯების განევის შემდეგ იქნა ბინა მიყვანილი საცხოვრებელ კონდიციამდე. შესაბამისი ორგანოების, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე იგი სადავო ბინის კომუნიკაციების აბონენტია, რეგისტრირებულია ამ მისამართზე და უძრავ ქონებას კეთილსინდისიერად ფლობს, რის გამოც, მოპასუხე ვალდებულია, აუნაზღაუროს მას წლების განმავლობაში უძრავ ქონებაზე განეული დანახარჯი.

1.2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ სადავო ქონების მისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებას: შეგებებული მოსარჩელე 1976 წლიდან მუშაობდა სახაზინო სანარმო „თ.“ გვირაბგამყვანად. 1993 წლის 31 მარტს დამსაქმებლის საოქმო გადაწყვეტილებით, მას გადაეცა სადავო უძრავი ქონება. 2013 წლის 27 თებერვალს აღნიშნულ ბინაზე გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში შეგებებული მოსარჩელე დარეგისტრირდა უძრავი ნივთის მესაკუთრედ, რომელსაც უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს მოპასუხე. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს სხვა უძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნია და დროებით ცხოვრობს სხვის საკუთრებაში, მფლობელთან ვერ მიაღწია შეთანხმებას ბინის ნებაყოფლობით გამოთავისუფლებაზე.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. თავდაპირველი სარჩელი მოპასუხემ არ ცნო და მის წინააღმდეგ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები გარე კომუნიკაციების მიყვანისა და შიდა სარემონტო სამუშაოების ხარჯების განევეასთან დაკავშირებით არ შეესაბამება სინამდვილეს. მოპასუხე 1976 წლიდან მუშაობდა სახაზინო სანარმო „თ.“ და დამსაქმებლის 1993 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გადაეცა მოსარჩელის მფლობელობაში არსებული სადავო ქონება. კორპუსის მშენებლობის პროცესს იგი შეძლებისდაგვარად ადევნებდა თვალს. მშენებლობა, თითქმის მიყვანილი იყო დასრულების სტადიამდე, შეყვანილი იყო კომუნიკაციები, მათ შორის, ცივი და ცხელი წყლის მი-

ლები, იყო დამონტაჟებული დგარები, შეყვანილი იყო კანალიზაციის მილები, გაყვანილი იყო ელექტროსადენები, სახლის შიდა პერიმეტრზე ჩასმული იყო კარ-ფანჯრები. რაც შეეხება გარე კომუნიკაციას, ის მოსარჩელის მიერ ბინაში შეჭრამდე იყო მიყვანილი კორპუსამდე. შპს „თ-ს“ განცხადების საფუძველზე საქართველოს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-5 განყოფილების მიერ 2007 წლის 30 მაისს განხორციელდა უძრავი ნივთის ხელყოფის აღკვეთა და ქ. თბილისში, ... მე-.. მ/რ-ის ...-ე კორპუსიდან გამოასახლეს უკანონოდ შეჭრილები, რასაც ადასტურებს №4 ოქმი. გარდა ამისა, ხსენებულ კორპუსებში უკანონოდ შეჭრის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების პროცესში, კორპუსში უკანონოდ შეჭრილი პირები, არაერთხელ იქნენ სიტყვიერად გაფრთხილებული, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი სარემონტო თუ სხვა სახის სამუშაოების შესრულებისაგან. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხემ იცოდა, რომ სამუშაოებს ახორციელებდა მესაკუთრის ნებისა და ინტერესის საწინააღმდეგოდ, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველია. უფრო მეტიც, მოსარჩელის მიერ გაუარესებულია ბინაში შეჭრამდე არსებული მდგომარეობა, რის გამოსწორებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ესაჭიროება არცთუ მცირე ფინანსური სახსრები;

2.2. შეგებებული სარჩელი არ ცნო არც თავდაპირველმა მოსარჩელემ და განმარტა, რომ 2005 წლიდან ცხოვრობს სადავო ბინაში. სხვა მოქალაქეებთან ერთად, რომელთაც არ გააჩნდათ საცხოვრებელი ფართი, იგი შესახლდა კორპუსში, რომელიც იმ დროისთვის იყო დაუმთავრებელი, არ გააჩნდა სახურავი და იყო ნახევრად აშენებული კედლებით, ფაქტობრივად საცხოვრებლად უვარგისი. ფართების დაუფლების შემდეგ, აღნიშნულ პირებთან ერთად იგი გაერთიანდა დროებით ამხანაგობაში და საკუთარი სახსრებით მოიყვანეს საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში როგორც დაკავებული ბინები, ისე – მთლიანად კორპუსი. მფლობელი არ იცნობდა შეგებებულ მოსარჩელეს და არც რაიმე გაფრთხილება მიუღია მისგან, მოპასუხე თანახმაა გაათავისუფლოს ბინა, თუკი მესაკუთრე აუნაზღაურებს გარე კომუნიკაციასა და ბინის მოწყობაზე გაწეულ ხარჯს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მფლობელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა შეგებებული სარ-

ჩელი და სადავო უძრავი ქონება გამოთხოვილ იქნა თავდაპირველი მოსარჩელის უკანონო მფლობელობიდან.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა აპელანტმა (მოსარჩელემ) მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის უარყოფა მოითხოვა, მეორე აპელანტმა (შეგებებულმა მოსარჩელემ) კი, თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი ვინდიკაციური სარჩელის უარყოფის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მისი სარჩელის უარყოფის ნაწილში გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მესაკუთრეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 6 607 ლარის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე აპელანტმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ (თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს ნივთის მფლობელის მიერ განეული ხარჯების მესაკუთრისათვის დაკისრების კანონიერება წარმოადგენს, რადგანაც ვინდიკაციური მოთხოვნის კანონიერების თაობაზე მფლობელს საკასაციო სასამართლოსათვის არ მოუმართავს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივ-

რის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ მესაკუთრის პრეტენზიის შესაბამისად შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის ძირითადი არგუმენტები კი, შემდეგია:

- სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლის ფარგლებშიც მონინაალმდევე მხარე წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ მფლობელს, რომელიც ნივთით უკანონოდ სარგებლობდა, ის ერთხელ ქონების თავდაპირველი მესაკუთრის – „თ.“ მოთხოვნის საფუძველზე გამოასახლა პოლიციამ და ქონებაში განმეორებით შეჭრის გამო მიმდინარეობს გამოძიება, შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია, დააბრუნოს ნივთი და მიღებული სარგებელი, ასევე – მისი ნაყოფი;

- სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ ნივთით უკანონოდ სარგებლობით კომპენსირებულია ნივთზე განეული ხარჯები;

- მონინაალმდევე მხარე, რემონტის ხარჯის განევით კასატორის უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტს ვერ ადასტურებს. ხარჯების განმევი არაერთხელ იქნა გაფრთხილებული, არ შეესრულებინა სარემონტო სამუშაოები. ამ ფაქტს ამტკიცებს „თ-ს“ მოთხოვნის საფუძველზე მისი გამოსახლება, ასევე, ნივთის განმეორებით დაკავების გამო მიმდინარე გამოძიება;

- გაურკვეველია, სასამართლომ საიდან იანგარიშა დაკისრებული თანხა, რადგანაც აუდიტორული დასკვნა, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო, არ ადგენს სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდელ მდგომარეობას, ასევე იმას, კონკრეტულად რა სამუშაოები ჩატარდა;

- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რადგანაც მსგავს საქმეზე სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობამ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც ზემდგომი სასამართლოს მხრიდან ძალაში იქნა დატოვებული.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამარ-

თლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააკტუალაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. თავდაპირველი მოპასუხე 1976 წლიდან მუშაობდა სახაზინო საწარმო „თ.“ გვირაბგამყვანად. 1993 წლის 31 მარტს, დამსაქმებლის საოქმო გადაწყვეტილებით მას გადაეცა სადავო უძრავი ქონება, სადაც 2005 წლიდან დღემდე ცხოვრობს მოსარჩელე ოჯახთან ერთად;

1.2.2. უძრავ ქონებაზე 2006 წლიდან ჯერ იყო სახელმწიფოს, შემდეგ – „თ.“, ხოლო 2008-2010 წლებში – ქ. თბილისის მერიის საკუთრების უფლება იყო რეგისტრირებული. 2010 წლის 12 აგვისტოდან სადავო ქონება სახელმწიფოსა და ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებას, ხოლო 2014 წლიდან შეგებებული მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს;

1.2.3. მფლობელს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებას კანონიერად აქცევდა;

1.2.4. ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ის, ...-ე-...-ე კორპუსებში არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მოუწესრიგებელი იყო კორპუსის სახურავი, სარდაფი, კიბის უჯრედები, კორპუსებს არ ჰქონდა წვიმის წყლის სანიადვრე არხი, არ იყო მიყვანილი რაიმე კომუნიკაცია, გზა, არ იყო ნორმალური საცხოვრებელი პირობები, რის გამოც იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო;

1.2.5. მფლობელმა უძრავი ნივთის შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის მიზნით წარადგინა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 2016 წლის 24 აგვისტოს შედგენილი №16-დ/31 (რომლის თანახმადაც, მის მიერ ბინაში შიგნით შესრულებული შიდა სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია 5 000 აშშ დოლარით, ხოლო გარე სამშენებლო და საკომუნიკაციო ხარჯები – 12 960 აშშ დოლარით. დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად, ბინაში შესვლის დროისთვის კორპუსი იყო დაუსრულებელი, არ ჰქონდა სახურავი, კიბის უჯრედებს მოაჯირები, წვიმის წყლის სანიადვრე არხი, არ იყო მიყვანილი რაიმე კომუნიკაცია და არ იყო გზა) და შპს „ბ. ა.“ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №16/12-22 დასკვნები (რომლის მიხედვით, №204 და №205 კორპუსებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სამშენებლო-სარეა-

ბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 2016 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 620 407.11 ლარს. შესრულებული სამუშაოების დაანგარიშების მიხედვით, რომელიც დასკვნაში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი, ირკვევა, რომ 620 407.11 ლარიდან კორპუსის შიდა წყალგაყვანილობის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 12 150 ლარი, ბინების შიდა გაზგაყვანილობის მონტაჟისთვის – 18 900 ლარი. ორივე კორპუსში შიდა წყალგაყვანილობა და გაზგაყვანილობა 108 ბინიდან მხოლოდ 27 ბინაშია გაკეთებული. სამუშაოები შესრულებულია 27 ოჯახის მიერ, ოჯახების რაოდენობის განსაზღვრისას ექსპერტი დაეყრდნო ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის, ლოტკინის მთის, ... დასახლების მე-.. მ/რ-ის, ...-ე და ...-ე კორპუსების მობინადრეთა 2016 წლის 28 ნოემბრის კრების ოქმში მითითებულ ინფორმაციას. დასკვნის მიხედვით, შემონმებულ ობიექტზე ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: ძველი, ამორტიზირებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია; გარე წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი; სარდაფის რეაბილიტაცია; კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება; სახურავის რეაბილიტაცია; შიდა წყალგაყვანილობის მოწყობა; მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა; ელმომარაგების ხაზის გაყვანა; ელმომარაგების ქვესადგური; გაზმომარაგების დაპროექტება; ბინების შიდა გაზმომარაგება; კიბის უჯრედებში მოაჯირის მონტაჟი და ატმოსფერული ნალექების გამშვები მილების მონტაჟი. დასკვნიდან ირკვევა, რომ ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები. გადაღებულია ფოტომასალა, წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოების დეტალური დაანგარიშება);

1.2.6. საქმეში წარმოდგენილია საცხოვრებელი კორპუსების მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 29 აგვისტოს წერილი, აგრეთვე შპს „ყ.-თ.“ 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელთა თანახმადაც, პირველი აპელანტის მიერ ბინის დაკავების მომენტისათვის კორპუსი არ იყო უზრუნველყოფილი არც ელექტრო და არც ბუნებრივი აირის მომარაგებით. ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2017 წლის 1 მარტის ცნობის თანახმად კი, გამგეობას კორპუსებზე რაიმე სარემონტო სამუშაოები არ ჩაუტარებია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო, ვიდრე საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობას და დადგენილი ფაქტების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას განახორციელებდეს, ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველი მოსარჩელის მფლობელობიდან ნივთის ვინდიცირების ნაწილში ქვემდგომი სასამარ-

თლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264-ე მუხლი), შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელი საკითხისათვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს წარმოადგენს ვინდიკაციური სარჩელის (სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები) მიმართ დადგენილი შემდეგი ელემენტები:

- კასატორი უძრავი ქონების მესაკუთრეა;
- მოწინააღმდეგე მხარე ფლობს სადავო ქონებას;
- მფლობელს არ გააჩნია ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების მართლზომიერი საფუძველი.

1.3.2. რაც შეეხება საკასაციო პალატის მიერ შესაფასებელ საკითხს – მესაკუთრეს მართებულად დაეკისრა თუ არა მფლობელის სასარგებლოდ ხარჯების ანაზღაურება, ამ ნაწილში პალატა თვლის, რომ დასაბუთებული შედაგება იქნა წარმოდგენილი, კერძოდ, გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, რადგანაც სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ თავდაპირველი მოსარჩელე უძრავი ქონების არამართლზომიერ/არაკეთილსინდისიერ მფლობელს წარმოადგენს, რამდენადაც არ დგინდება მისი მფლობელობის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წინაპირობის არსებობა, უფრო მეტიც, ვინაიდან საქმე უძრავ ქონებას შეეხება, პირის სუბიექტური დამოკიდებულება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების თაობაზე არ შეიძლება კეთილსინდისიერად მაინც შეფასდეს, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრება რეგისტრაციაუნარიანი უფლებაა (სკ-ის 311.1 მუხლი), ხოლო თავდაპირველ მოსარჩელეს მითითების ტვირთის ფარგლებშიც კი, არ მიუთითებია იმგვარ გარემოებებზე, რომლებიც მის მფლობელობას მესაკუთრის ნებასთან ან სხვა ლეგიტიმურ საფუძველთან დააკავშირებდა. ამდენად, მფლობელის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი და 987-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს, რომელთა ფარგლებშიც სარჩელის წარმატებას განაპირობებს შემდეგი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა:

- არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა ქონებაზე უნდა განიოს ხარჯები (შეგნებულად ან შეცდომით);
- ქონების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების მომენტში კვლავ უნდა არსებობდეს გაუმჯობესებანი;
- ამ გაუმჯობესების შედეგად ქონების მიმღები უნდა გამდიდ-

რდეს.

1.3.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადან-
ყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მფლობელის სარჩელის
საფუძვლიანობას მესაკუთრის მხრიდან საპირისპირო მტკიცებუ-
ლებების წარუდგენლობა განაპირობებდა. დანახარჯების ანაზღა-
ურების შესახებ სარჩელის ელემენტების მტკიცების ტვირთი, სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკის-
რება ხარჯების გამწვან, კერძოდ, ის არის ვალდებული, მიუთითოს
დამფუძნებელი ნორმის წინაპირობები და იმის მიხედვით, თუ რო-
მელ ფაქტებს შეედავება მოპასუხე, განისაზღვრება მტკიცების სა-
განში შემაჯავლი ფაქტები, რომლებიც უტყუარად უნდა დაამტკი-
ცოს მოსარჩელემ, აქვე უნდა განიმარტოს შედავების საფუძვლია-
ნობა, რამდენადაც რიგ შემთხვევაში იგი გავლენას ახდენს მტკიცე-
ბის ტვირთზე: ძირითად შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან ფაქტის
მხოლოდ უარყოფა – მარტივი შედავება შესაძლოა, მტკიცების სა-
განზე გავლენას არც ახდენდეს, რაც შეეხება კვალიფიციურ შედა-
ვებას, იგი სასამართლოს წარმოუშობს ვალდებულებას, ამ შედავე-
ბის ფარგლებში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით
დადგენილი წესით, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამო-
იკვლიოს მტკიცებულებები და საკუთარ შინაგან რწმენაზე დაყ-
რდნობით განსაზღვროს ფაქტის დადგენილად ცნობის საკითხი. გან-
სახილველ შემთხვევაში, მოპასუხე შესაგებლით შეედავა, როგორც
ხარჯების განწვან, ისე – მის ოდენობას და ამ ხარჯების აუცილებ-
ლობას, შესაბამისად, სასამართლოს კრიტიკული შეფასება უნდა მი-
ეცა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დასკვნებისათვის, მათ შორის,
გამოეკვლია ხარჯების განწვანმდე უძრავი ქონების მდგომარეობა,
ხარჯების განწვის აუცილებლობა (მათი საჭიროება განპირობებუ-
ლი იყო ნივთით დანიშნულებისამებრ სარგებლობით თუ უბრალოდ
აუმჯობესებდა მფლობელის კავშირს ნივთთან). ამ თვალსაზრისით,
სააპელაციო პალატის დასკვნები არ არის საკმარისად დასაბუთე-
ბული, შესაბამისად, სარჩელის მეორე ელემენტს – შენარჩუნებუ-
ლია თუ არა ქონების დაბრუნების დროისათვის გაუმჯობესებანი,
პალატა შეფასების გარეშე ტოვებს. ასეც რომ არ იყოს, საკასაციო
პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს დანახარჯების ანაზღაურების
შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი სავალდებულო წი-
ნაპირობა – მოპასუხის გამდიდრება, რამდენადაც მფლობელმა ვერ
დაამტკიცა მესაკუთრის გამდიდრების ფაქტი. სააპელაციო პალა-
ტამ დაადგინა სადავო ქონებაზე საკუთრების სხვადასხვა პირისათ-
ვის გადაცემის ქრონოლოგია: სადავო ნივთი 2006 წლიდან სახელ-
მწიფოს, შემდეგ – „თ.“, 2008-2010 წლებში – ქ. თბილისის მერიის,
2010 წლის 12 აგვისტოდან – სახელმწიფოსა და ბინის მესაკუთრეთა

საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო, შეგებებულმა მოსარჩელემ საკუთრების უფლება 2014 წელს დაირეგისტრირა. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მესაკუთრის მიერ უფლების მოპოვების შემდგომ ჩატარდა რაიმე სახის სამუშაოები ქონებაში, არამედ, ისინი გაცილებით ადრე იქნა განხორციელებული. ამ გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუმჯობესებანი, მათი დადასტურების შემთხვევაში, სხვადასხვა პირის უფლების რეგისტრაციის პერიოდში ჩატარდა და, საბოლოოდ შეგებებულ მოსარჩელეზე მესაკუთრის (სახელმწიფო) მიერ განიკარგა ქონება იმ მდგომარეობაში, როგორშიც ის დღეს იმყოფება, ანუ კასატორს უძრავ ქონებაზე უფლება, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრისაგან გადაეცა დღეს არსებულ კონდიციაში. ხსენებული გარემოება, საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სარჩელის წარმატებას გამოიციხავს, რადგანაც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლითა და 987-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ყველა აბსტრაქტული წინაპირობა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიღებულია მატერიალური სამართლის ნორმათა მნიშვნელოვანი დარღვევით, რის გამოც არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან, რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები, საკასაციო სასამართლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან მფლობელმა ვერ დაამტკიცა მესაკუთრის გამდიდრების ფაქტი, არ არსებობს ნივთზე განეული დანახარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებ-

ლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი და სრულად იქნა უარყოფილი მფლობელის სარჩელი, ამ უკანასკნელს მესაკუთრის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებაზე განეული ხარჯების – 818,35 ლარის სრულად ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

ბ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები) და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:
 - 2.1. გ. მ-ის სარჩელი ზ. ს-ის მიმართ ნივთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
 - 2.2. გ. მ-ეს (პ/№01...) ზ. ს-ის (პ/№01...) სასარგებლოდ დაეკისროს 818,35 ლარის გადახდა.
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1037-995-2014

19 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნოტარიუსმა – ნ. ბ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ნოტარიუსი, მოპასუხე, მესამე კასატორი) 2009 წლის 10 აპრილს დაამონწმა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც ქ. ხ-მა (შემდეგში – უძრავი ქონების მესაკუთრე) ნ. დ-ს (შემდეგში – რწმუნებული ან წარმომადგენელი) თავის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... მდებარე №39 ბინის (შემდეგში – სადავო უძრავი ქონება) მართვისა და გასხვისების უფლება მიანიჭა.

2. მინდობილობის საფუძველზე 2009 წლის 22 ივლისს რწმუნებულიმა, როგორც მესაკუთრის წარმომადგენელმა, პ. შ-ძესა (შემდეგში – პირველი მოსარჩელე ან პირველი კასატორი) და ხ. მ-ს (შემდეგში – მეორე მოსარჩელე ან მეორე კასატორი) სადავო უძრავი ქონება 24 200 აშშ დოლარად მიჰყიდა გამოსყიდვის უფლებით. გამოსყიდვის ვადა სამი თვით განისაზღვრა. 2009 წლის 27 ოქტომბერს სადავო ბინა საჯარო რეესტრში მოსარჩელეთა საკუთრებად აღირიცხა.

3. 2009 წლის 18 დეკემბერს მოსარჩელეებმა სადავო უძრავი ქონება ლ. ა-ს (შემდეგში – მყიდველი) 38 000 აშშ დოლარად მიჰყიდეს. მყიდველმა საჯარო რეესტრში უძრავი ნივთი საკუთრებად ვერ დაირეგისტრირა, რადგან ნასყიდობის საგანი დაყადაღებული იყო სასამართლო განჩინების საფუძველზე.

4. რწმუნებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვე-

პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (თაღლითობის) ჩადენაში, რაც გამოიხატა ყალბი მინდობილობის გაფორმებით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მესაკუთრის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სადავო მინდობილობა, 2009 წლის 22 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო ქონება მესაკუთრის საკუთრებად აღირიცხა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, პირველ მოსარჩელეს დაეკისრა 18 000 აშშ დოლარის, ხოლო პირველ და მეორე მოსარჩელეს სოლიდარულად – 20 000 აშშ დოლარის გადახდა მყიდველის სასარგებლოდ.

7. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ 10 000 აშშ დოლარისა და 1754 ლარის დაკისრების, ხოლო მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ – 28 000 აშშ დოლარისა და 4233 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

8. მოსარჩელეთა მტკიცებით, ნოტარიუსმა უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის სადავო მინდობილობა სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის დარღვევით დაამონმა, კერძოდ, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესრულებისას უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, მან სათანადოდ არ შეამონმა და შეცდომით დაადგინა სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის ვინაობა. ამის შედეგად ზიანი მიადგა ორივე მოსარჩელეს, კერძოდ, სადავო მინდობილობის საფუძველზე, მათ ბინა შეიძინეს, შემდგომ კი, გაასხვისეს. მითითებული ხელშეკრულებები და სადავო მინდობილობა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით ბათილად იქნა ცნობილი, ბინა დაუბრუნდა მესაკუთრეს. ამასთან, მათ დაეკისრათ ნასყიდობის საფასურის მყიდველისათვის დაბრუნება.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მან წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ ზიანი არა მან, არამედ მინდობილობის გამყალბებლებმა გამოიწვიეს. რაც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უხეში გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, ამის გამო დისციპლინური ზომების მიღების მოთხოვნით მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც დეტალურად შეისწავლა განცხადებაში მითითებული ფაქტი და განმცხადებელს აცნობა, რომ არ არსებობდა დის-

ციპლინური დევნისა და წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი. მოპასუხის მტკიცებით, ვინაიდან დელიქტური ვალდებულების ელემენტები არ ვლინდებოდა, მას არც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოეშობოდა.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 317.1 და 992-ე მუხლები, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი და მიუთითა შემდეგი:

10.1. ნოტარიუსი პირის იდენტიფიკაციისთვის იყენებს პირადობის მოწმობას და ვიზუალურად აკვირდება მას, რის შემდეგაც ადგენს იმ პირის იდენტურობას, რომელსაც სურს სანოტარო მოქმედების შესრულება. პირის ვინაობის დასადგენად ამაზე მაღალი სტანდარტი კანონით გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, იგულისხმება, რომ ნოტარიუსი პირის იდენტიფიცირებას ადგენს ჩვეულებრივი ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში.

10.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის განაჩენით დგინდებოდა, რომ ნოტარიუსთან მივიდა პირი, რომელიც გარეგნულად ჰგავდა პირადობის მოწმობაში დაფიქსირებულ ქალბატონს. სასამართლოს მითითებით, მხოლოდ იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ წარდგენილი პირი არ ჰგავდა პირადობის მოწმობაში მითითებულ ადამიანს, არ შეიძლება მოპასუხეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, მოპასუხეს ვერც მასთან წარდგენილი პირის მსგავსების დამტკიცება მოეთხოვებოდა, რამდენადაც საგამოძიებო ორგანოებმაც ვერ დაადგინეს ამ პირის ვინაობა – განაჩენში აღნიშნულია, რომ ნოტარიუსთან წარდგენილი პირი გამოძიების შედეგად დაუდგენელია.

10.3. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ნოტარიუსის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა. მხოლოდ შეცდომა კი, პირის იდენტიფიკაციისას, უტყუარად არ ადასტურებდა ნოტარიუსის თუნდაც გაუფრთხილებელ ბრალს.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

11.1. აპელანტთა მტკიცებით, არასწორი იყო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, რომ მოპასუხეს არ შეიძლებოდა, დაჰკისრებოდა მასთან წარდგენილი პირის მესაკუთრესთან მსგავსების დამტკიცება. მოპასუხის შედაგება, რომ ეს ორი პირი იმდენად ჰგავდა ერთმანეთს, მათი გარჩევა მხოლოდ მაღალი

ტექნოლოგიების გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი, არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით. ამ მტკიცებულებათა წარდგენის ტვირთი კი, ნოტარიუსს ეკისრებოდა. მას კანონი, საქმიანობიდან გამომდინარე, მეტ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას აკისრებს, შესაბამისად, სწორედ ის იყო ვალდებული ემტკიცებინა, რომ განსხვავების დადგენა ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებს სცილდებოდა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

12.1. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

12.2. მოსარჩელეთა სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

12.3. მოპასუხეს დაეკისრა 349.05 ლარისა და 4200 აშშ დოლარის გადახდა პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

12.4 მოპასუხეს დაეკისრა 149.85 ლარისა და 1500 აშშ დოლარის გადახდა მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ.

13. სააპელაციო სასამართლო მითითებით, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი უშვებს ნოტარიუსის პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც. გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავის მოქმედებით არღვევს აუცილებელი ყურადღებულობის მოთხოვნებს. მითითებული კანონის 22-ე მუხლის შემადგენლობისათვის დარღვევის ხარისხს მნიშვნელობა აღარ ენიჭება. სასამართლომ მიუთითა ისიც, რომ ნოტარიუსი განზრახვით არ მოქმედებდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იგი მიჩნეულ იქნებოდა თანამონაწილედ და მის მიმართ სხვა ღონისძიება გატარდებოდა.

14. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნოტარიუსმა ზუსტად არ დაადგინა მასთან გამოცხადებული უცნობი ქალბატონის ვინაობა, რომელმაც წარადგინა მესაკუთრის პირადობის მოწმობა. ამდენად, ნოტარიუსმა, რომელსაც „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით სახელმწიფოსაგან აქვს გადაცემული უფლება, დაადგინოს სამართლებრივი ურთიერთობები და დაადასტუროს იურიდიული ფაქტები, მოცემულ შემთხვევაში, ეს ვერ მოახერხა – ვერ დაადგინა ფაქტი, რომ პირადობის მოწმობა მის ხელთ მქონეს არ ეკუთვნოდა. ამდენად, ცხადია, რომ ნოტარიუსი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა.

15. სასამართლო მითითებით, აპელანტებმა განიცადეს ზიანი – 38000 აშშ დოლარი, ანუ ის თანხა, რაც მათ გადასახდელად დაეკისრათ მყიდველის სასარგებლოდ. ამ თანხაში შედის როგორც თავ-

დაპირველად რწმუნებულისათვის გადაცემული 24 200 აშშ დოლარი, ისე – მათ მიერ მყიდველისათვის დაბრუნებული ნამეტი. ზიანი მოიცავს იმ ქონებრივ დანაკლისსაც, რაც მათ გაიღეს ამ სასამართლო დავების მიმდინარეობისას სასამართლო ხარჯის სახით.

16. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია მიზეზობრივი კავშირის არსებობაც, კერძოდ, პალატის განმარტებით, 2009 წლის 22 ივლისის ხელშეკრულების დადების საფუძველი მოსარჩელებსა და მესაკუთრის წარმომადგენელს შორის იყო სწორედ ის მინდობილობა, რომლის გაყალბებაც ბრალად შეერაცხა ამ უკანასკნელს და ბათილად იქნა ცნობილი. ფაქტია, რომ ამ მინდობილობის გარეშე გარიგება ვერ დაიდებოდა.

17. ნოტარიუსის პასუხისმგებლობის მოცულობასთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა, რომ, მართალია, ზიანის მიყენებაში მონაწილეობდა სამი პირი: წარმომადგენელი, უცნობი ქალბატონი და ნოტარიუსი, მაგრამ პირველი ორი პირი მოქმედებდა განზრახ, მათ ერთობლივად მიაყენეს ზიანი აპელანტებს. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ გაუფრთხილებლად მოქმედი ნოტარიუსის პასუხისმგებლობა განისაზღვროს იმავე მოცულობით, რითაც განისაზღვრებოდა განზრახ მოქმედი პირების პასუხისმგებლობა. ამდენად, ნოტარიუსს უნდა დაჰკისრებოდა არა მიყენებული ზიანის – 38 000 აშშ დოლარისა და სარჩელით მოთხოვნილი სხვა ხარჯების გადახდა, არამედ მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციული თანხა, კერძოდ კი – სასარჩელო მოთხოვნის 15%.

18. სასამართლომ მიუთითა, რომ, როგორც მოსარჩელებმა სასამართლო პროცესზე დააზუსტეს, მყიდველისათვის გადასახდელი 38 000 აშშ დოლარის გარდა, მოთხოვნილი თანხა მოიცავს მათ მიერ სხვადასხვა სასამართლო დავებში სახელმწიფო ბაჟისა და წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაღებულ ხარჯებს, კერძოდ:

18.1. პალატამ დაადგინა, რომ თანხის ნაწილი (პირველი მოსარჩელის შემთხვევაში – 507 ლარი, 914 ლარი, 131 ლარი, 237 ლარი და მეორე მოსარჩელის შემთხვევაში – 507 ლარი, 131 ლარი) აპელანტებს არ გაუღიათ, შესაბამისად, ამ ნაწილში მათ ზიანი არ განუცდიათ. დარჩენილ თანხასთან დაკავშირებით, მოსარჩელებმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტეს, რომ გაიღეს ნილობრივად, ნახევარ-ნახევარი, რის გამოც პალატამ მიაჩნია, რომ მოსარჩელებმა, სსკ-ის 462-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნილთა თანაბრობას შეთანხმებით გადაუხვიეს.

18.2. პალატამ საბოლოოდ მიუთითა, რომ მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი თანხიდან პირველი მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი იყო: ა) 1328 ლარი მთლიანად; ბ) 597 ლარის ნახევარი, 298

ლარი; გ) 1402 ლარის ნახევარი, 701 ლარი; დ) 28000 აშშ დოლარი, ხოლო მეორე მოსარჩელისათვის: ა) 597 ლარის ნახევარი, 298 ლარი; ბ) 1402 ლარის ნახევარი, 701 ლარი; გ) 10000 აშშ დოლარი. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა პირველ მოსარჩელესთან მიმართებით 349,05 ლარი (2327 ლარის 15%) და 4200 აშშ დოლარი (28000 აშშ დოლარის 15%), ხოლო მეორე მოსარჩელესთან მიმართებით 149,85 ლარი (999 ლარის 15%) და 1500 აშშ დოლარი (10000 აშშ დოლარის 15%).

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელებმა და მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინეს.

19.1. პირველმა და მეორე კასატორმა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

– გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ნოტარიუსის პასუხისმგებლობის მოცულობა. სასამართლომ მოვალის პასუხისმგებლობა შეამცირა მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით და ზიანის მოცულობის მისთვის სრულად დაკისრება უსამართლობა იქნებოდა, ხოლო განზრახ მოქმედი პირებისაგან ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვია. კანონი არ ავალდებულებს კრედიტორს სოლიდარული ვალდებულების დროს ყველა მოვალეს წარუდგინოს საჩივრი. სოლიდარული მოვალე მის მიმართ მოთხოვნის წარდგენისას ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი სრულად.

19.2. მესამე კასატორმა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

– სასამართლომ ისე მიიჩნია ნოტარიუსის ქმედება გაუფრთხილებლად, რომ საერთოდ არ იმსჯელა, შეეძლო თუ არა ნოტარიუსს იმის დადგენა, რომ პირადობის მონმობა მის ხელთ მქონეს არ ეკუთვნოდა. ზიანის გამომწვევი ქმედების ბრალეულად მიჩნევისათვის მისი შემსრულებლის სუბიექტური მხარის გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან პირის გაუფრთხილებელი ქმედება ნიშნავს კონკრეტული ქმედების მიმართ მისი ჩამდენის სუბიექტურ დამოკიდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიუსს უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში არ შეეძლო, თავიდან აეცილებინა და გამოერიცხა ყალბი მინდობილობის გაცემა. სააპელაციო სასამართლოს არც კი უხსენებია, სანოტარო ბიუროში მისული ქალბატონი გარეგნულად ჰგავდა თუ არა მესაკუთრეს. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი, ამ ორი პირის მსგავსება დადგენილია.

– სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა იუსტიციის სამინისტროს წერილი, გენერალური ინსპექციისა და ნო-

ტარიუსთა პალატის დასკვნები. ნოტარიუსის გაუფრთხილებლობა დისციპლინური დევნის საფუძველია, შესაბამისად, გასაზიარებელია იუსტიციის სამინისტროს დასკვნა ქმედების ბრალეულობის შეფასებასთან დაკავშირებით. თუ სამინისტრომ დაადგინა, რომ ნოტარიუსის ქმედებაში არ არსებობს დისციპლინური დევნის საფუძველი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნოტარიუსის ქმედება არ არის ბრალეული და შესაბამისად, არც პასუხისმგებლობის საფუძველი იქმნება.

– კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორია ზიანის ოდენობის დადგენის ნაწილშიც, კერძოდ, მოსარჩელებმა სადავო ქონებაში გადაიხადეს 24 000 აშშ დოლარი, ქონება დაუბრუნდა მესაკუთრეს, ხოლო მოსარჩელებმა ეს თანხა ვერ დაიბრუნეს. სწორედ ეს თანხაა მათთვის მიყენებული ზიანი და არა – 38 000 აშშ დოლარი, ანუ ის ნამატი თანხა, რამდენადაც მათ ბინა გაყიდეს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ მოსარჩელებმა ნაყიდი ქონების ძვირად გაყიდვით მოგება მიიღეს ყალბი მინდობილობის საფუძველზე. ამიტომ სადავო ქონების ფასთა სხვაობა ზიანის ოდენობაში არ უნდა გათვალისწინდეს.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ხელახალი განხილვის მიზნით, საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

21. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-

მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერი-ალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

22. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადან-ყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენე-ბინა, ასევე, არასწორად განმარტა კანონი (სსსკ-ის 393.2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-ორე ნაწილი), რისი შედეგიცაა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფი-ლება საკმარისი დასაბუთების გარეშე.

23. მოსარჩელეთა მოთხოვნა იმ ზიანის ანაზღაურებაა, რომე-ლიც მათ მიადგათ ნოტარიუსის მართლსაწინააღმდეგო და ბრალე-ული ქმედებით. ეს სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს „ნო-ტარიატის შესახებ“ (03.05.1996 რედაქცია) საქართველოს კანონის მე-19 მუხლის (ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის გან-ზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ), ასევე სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფ-რთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზ-ღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომე-ლიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდე-ბულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირ-ვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედი-ტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლების დანა-ნესიდან.

24. კანონით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობ-რივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკის-რება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი).

25. „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მო-ვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. მართლსაწინააღმდეგო

მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლზომიერი ქმედება კი, არა მარტო სამართლის ნორმათა მოთხოვნების დაცვას გულისხმობს, არამედ ზოგად მოვალეობას, რომ პირმა თავისი ქმედება/ურთიერთობა ადამიანებისა და საგნების მიმართ ისე წარმართოს, რომ არავინ და არაფერი დააზიანოს. ამდენად, გულისხმიერების სტანდარტის დარღვევისა და სავალდებულო ქცევის წესიდან გადახვევის საფუძველზე ქმედება შესაძლოა, მართლსაწინააღმდეგოდ მივიჩნიოთ. შედეგის მართლწინააღმდეგობისაგან განსხვავებით, როდესაც მართლწინააღმდეგობას განაპირობებს აბსოლუტური უფლების უშუალო დარღვევა, თავად ქმედების მართლწინააღმდეგობისათვის განმსაზღვრელია ზიანის მიმყენებლის ვალდებულების ფარგლები – სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, შეესრულებინა ან თავი შეეკავებინა გარკვეული მოქმედებისაგან, რათა თავიდან აეცილებინა ზიანი.

26. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მტკიცება, რომ, ვინაიდან ნოტარიუსმა ზუსტად ვერ დაადგინა სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მასთან გამოცხადებული პირის ვინაობა, კერძოდ – ფაქტი, რომ პირადობის მონიშნა მის ხელთ მქონეს არ ეკუთვნოდა, ეს იმთავითვე მიუთითებდა ნოტარიუსის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულ (გაუფრთხილებელ) ქმედებაზე.

27. სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკმარისად დასაბუთებული არაა. მართალია, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 49.1 მუხლის (სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, პასპორტით ან მისი შემცველი დოკუმენტის მიხედვით დაადგენენ იმ პირების ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ. თუ პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა საჭირო აღარ არის) მიხედვით, ნოტარიუსის მოვალეობაა სანოტარო მოქმედების მონაწილე პირის ვინაობის დადგენა, თუმცა ამ მოქმედების განხორციელებისას, ნოტარიუსის ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა უნდა დადგინდეს მხარეთა განმარტებებისა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეფასების შედეგად. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ გამოუყვლევიდა და არ შეუფასებია მხარეთა განმარტებები და წარდგენილი მტკიცებულებები.

28. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ ნოტარიუსმა არასწორად დაადგინა სანოტარო მოქმედების შესასრულებლად

მასთან გამოცხადებული პირის ვინაობა. ამასთან, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია ნოტარიუსთან გამოცხადებული პირისა და პირადობის მოწმობაში ფოტოსურათზე გამოსახული პირის გარეგნული მსგავსება. ნოტარიუსის შეცდომა სწორედ ამ მსგავსებამ განაპირობა. ასეთ ვითარებაში დასადგენია, მოქმედებდა თუ არა ნოტარიუსი სათანადო გულისხმიერებით და შეეძლო თუ არა მას თავიდან აეცილებინა შეცდომა, კერძოდ, მინდობილობის გაცემა იმ პირის სახელით, რომელიც მასთან არ გამოცხადებულა.

29. გაუფრთხილებლად იქცევა ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ გულისხმიერებას. გაუფრთხილებლობა, როგორც დელიქტი, არის სამართლით დაკისრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა, რომლის შედეგად დაზარალებულს წარმოეშვა ზიანი და იგი ობიექტური მასშტაბებით განისაზღვრება. თითოეული პროფესიის, სოციალური წრის წარმომადგენელს მოეთხოვება ყურადღებისა და სხვისი ინტერესების ისე გათვალისწინება, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ამ პროფესიისა თუ სოციალური წრის ადამიანებისათვის. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს, არის თუ არა მოპასუხის ქმედება, ზოგადად, ნოტარიუსისათვის დადგენილი ქცევის სტანდარტიდან გადახვევა, ამასთან, გამოიჩინა თუ არა მან ის წინდახედულება და გულისხმიერება, რაც ევალებოდა სანოტარო მოქმედების შესრულებისას.

30. სადავო სანოტარო მოქმედების შესრულების დროს მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2005 წლის 22 დეკემბრის ბრძანების (№2359) მე-15 მუხლი (ნოტარიუსი ადგენს სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობას მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან პირადობის მოწმობა. დასაშვებია სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა მძღოლის ერთიანი ნიშნის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა შესაბამისი ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა. თუ ნოტარიუსს ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტის წარმდგენისადმი კუთვნილებაში ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, ნოტარიუსი

ვალდებულია, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე) განსაზღვრავს სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენის წესს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, თუ ნოტარიუსს ეჭვი შეეპარება, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი მის წარმდგენს არ ეკუთვნის, მან უარი უნდა თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

31. მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიუსი განმარტავს, რომ მასთან გამოცხადებული პირისა და პირადობის მოწმობაში ფოტოსურათზე გამოსახული პირის ერთმანეთთან მსგავსების გამო, ობიექტურად შეუძლებელი იყო შეცდომის თავიდან არიდება, ამიტომ ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი სწორედ მის წარმდგენს ეკუთვნოდა. როგორც აღინიშნა, ზემოხსენებულ პირთა გარეგნულად მსგავსების ფაქტი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა დადგენილი. საყურადღებოა, რომ ამ განაჩენით ნოტარიუსის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წერილიც, რომლის თანახმად, ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური დევნისა და წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი არ არსებობდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებულია, მიუთითოს კონკრეტულად რა დამატებითი წინდახედულება უნდა გამოეჩინა ნოტარიუსს და ობიექტურად რა შესაძლებლობა არსებობდა პირის იდენტიფიცირებისათვის, რომელიც ნოტარიუსმა არ გამოიყენა.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი სწორად უნდა გაანაწილოს და მხარეთა განმარტებებისა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეფასების შედეგად უნდა დაადგინოს, სანოტარო მოქმედების შესრულებისას მოქმედებდა თუ არა ნოტარიუსი ობიექტური წინდახედულებისა და პროფესიული გულისხმიერების ფარგლებში.

33. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ნოტარიუსმა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ზიანი მიაყენა მოსარჩელეებს და, შესაბამისად, არსებობს მოპასუხისათვის ზიანის დაკისრების საფუძველი, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საკითხებს:

33.1. განაჩენით მსჯავრდებულ პირთან ერთად ნოტარიუსის სოლიდარული პასუხისმგებლობა შეიძლება, დადგეს სსკ-ის 463-ე მუხლის (თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულებ

ბა ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს) და არა ამავე კოდექსის 998-ე მუხლის (1. თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. 2. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) საფუძველზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 998-ე მუხლი, ვინაიდან რამდენიმე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის დელიქტური სამართლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით ანუ, როდესაც იკვეთება განზრახი თანამონაწილეობა. სოლიდარული პასუხისმგებლობის წინაპირობა ზიანის მიყენებაში დანაშაულებრივი თანამონაწილეობაა (შდრ. სუსგ ას-937-880-2012, 13.12.2012წ.). შესაბამისად, იმ პირთა მიმართ, რომლებმაც, მართალია, გამოიწვიეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, თუმცა არ ჰქონდათ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სხვასთან ერთად ჩადენის ან მისი ხელშემწყობის ნება და არც შეგნებულად არ უსარგებლიათ სხვისთვის მიყენებული ზიანით, სსკ-ის 998-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა არ დგება. მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიუსის ქმედებაში სსკ-ის 998-ე მუხლის წინაპირობების არსებობა არ იკვეთება, თუმცა, თუ სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ნოტარიუსის სოლიდარული პასუხისმგებლობა ანაზღაურებაზე ვალდებული პირების სიმრავლით იქნება გამომწვეული, რაც სსკ-ის 463-ე და 464-ე მუხლების დანაწესით განისაზღვრება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ ნოტარიუსისგან მოითხოვენ. მოსარჩელეთა ეს მოთხოვნა სსკ-ის 465-ე მუხლიდან (კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე – ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება) გამომდინარეობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, თითოეული სოლიდარული მოვალე მთლიანი ვალდებულების შესრულებაზეა პასუხისმგებელი, რის გამოც კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისათვის სოლი-

დარულ მოვალეთა ბრალის ხარისხსა და სიმძიმეს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამ გარემოებამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს სოლიდარულ მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობაზე სსკ-ის 473-ე მუხლით (მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით) გათვალისწინებულ უკუმოთხოვნათა უფლების რეალიზაციისას.

33.2. პალატა იზიარებს მესამე კასატორის პრეტენზიას ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის სამართლებრივი კაუზალობის პირველი კრიტერიუმის – „უშუალობის“ გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზიანის განჭვრეტადობის კრიტერიუმსაც. ზიანის სავარაუდოობა გულისხმობს, რომ მხოლოდ ზიანის შესაძლებლობის დაშვება მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის საკმარისი არ არის. მითითებული ნორმა მოითხოვს, რომ ზიანის დადგომა მაღალი ალბათობით იყოს განჭვრეტადი, თუმცა კონკრეტული შედეგის განჭვრეტა აუცილებელი არ არის. მოვალეს დაუშვებელია, დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო, ამდენად, ეკვივალენტური კაუზალობა იზღუდება ადეკვატური მიზეზობრიობით. პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის სავარაუდო ვერ იქნებოდა ზიანი, რომელიც მოსარჩელეებს მიადგათ სადავო უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული მოგების დაკარგვით. ის ნოტარიუსის ქმედების არაადეკვატური ზიანი და, შესაბამისად, არაპირდაპირი ზიანი იქნებოდა. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა დამატებითი კვლევის შედეგად უნდა დაადგინოს ნოტარიუსის ქმედებით მოსარჩელეთათვის მიყენებული პირდაპირი ზიანი.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც უნდა გაუქმდეს და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს (სსსკ-ის 412-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს, შესრულებულია თუ არა მოსარჩელეთა მოთხოვნის განხორციელების ყველა ფაქტობრივი წინაპირობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

35. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო

აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. პ. შ-ძის, ხ. მ-ისა და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-118-110-2017

30 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სარჩოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ლ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) 1966 წლიდან ქ. ქუთაისის ა-ის საწარმოო გაერთიანებაში, რომელიც შემდგომში სააქციო საზოგადოების ფორმით დაფუძნდა, ე.წ. „აკანტოვკის“ დაზღავზე მუშაობდა. 1972 წლის 27 დეკემბერს მოსარჩელემ მიიღო საწარმოო ტრავმა, დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 60%-ით, ხოლო საერთო შრომის უნარი 30%-ით. აღნიშნულის გამო საწარმო მას ყოველთვიურად სარჩოს უხდოდა.

2. მოგვიანებით, 1995 წლის 19 ივლისს, სამედიცინო შრომის საექსპერტო კომისიამ მოსარჩელეს შრომის უნარის უვადაოდ დაკარგვა დაუდგინა.

3. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, 2000 წლის 1 დეკემბრამდე მოსარჩელის ყოველთვიური სარჩოს ოდენობა 16,80 ლარს შეადგენდა.

4. სს „ა-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც თავდაპირველი საწარმო) დაყოფის შედეგად, 2006 წელს დაფუძნდა ექვსი სუბიექტი: სს „ი.“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე), შპს „ი.“, შპს „ბ.“, შპს „ტ.“, შპს „დ.“, შპს „კ.“ (შემდეგში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც სამართალმემკვიდრე სუბიექტები ან მოპასუხეები) და სს „ქ.“, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინების საფუძველზე.

5. სამართალმემკვიდრე სუბიექტების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად, საწარმოო ტრავმის პენსიონერები დაიყო მოქმედი დანაყოფებისა და იმ სა-

მუშაო ადგილების მიხედვით, სადაც სანარმოო ტრავმა მიიღეს (იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის განჩინება).

6. 2007 წლის მდგომარეობით, მოსარჩელის სარჩოს ყოველთვიური ოდენობა 24 ლარს შეადგენდა, რომლის გადაანგარიშება აღარ მომხდარა.

7. 2007 წლის სექტემბრიდან, მოსარჩელეს შეუწყდა სარჩო და პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობა აღარ მიუღია.

8. 2015 წლის 4 აგვისტოს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა მიუღებელი 103 თვის სარჩოს – 5150 ლარის ანაზღაურება (103 თვე * 50 ლარზე).

9. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 129-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ხანდაზმული იყო. ამასთან, მისი განმარტებით, სანარმოს რეორგანიზაციის შედეგად სანარმოო ტრავმის პენსიონერები დაიყო მოქმედი დანაყოფებისა და იმ სამუშაო ადგილების მიხედვით, სადაც სანარმოო ტრავმა მიიღეს, ამდენად, მოსარჩელე სწორედ პირველი მოპასუხის პენსიონერს წარმოადგენდა და ამ საზოგადოებაში ლეზულობდა ყოველთვიურ სარჩოს – 24 ლარს. მოპასუხის განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეს 2007 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების მიზნით სამედიცინო შემოწმება უნდა გაეკეთებინა, რაც მან არ შეასრულა.

10. დანარჩენმა სამართალმემკვიდრე სუბიექტებმა სარჩელი არ ცნეს, წარდგინილი შესაგებლებით გამორიცხეს მოთხოვნა და განმარტეს, რომ რეორგანიზაციის შედეგად, სანარმოო ტრავმის პენსიონერები მოქმედი დანაყოფებისა და იმ სამუშაო ადგილების მიხედვით დაიყო, სადაც სანარმოო ტრავმა მიიღეს, ამიტომ მოსარჩელე პირველი მოპასუხის პენსიონერი იყო, სადაც ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობას ლეზულობდა.

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 864 ლარი დაეკისრა; სარჩელი დანარჩენი მოპასუხეებისათვის მიუღებელი სარჩოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საქართველოს შრომის კოდექსის 35.1, 44-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408-ე, 316-ე-317-ე, 411-ე, 414-ე, 361-ე, 129.2 და 144-ე მუხლები.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-

საჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. აპელანტის მტკიცებით, იგი 1966 წლიდან მუშაობდა საწარმოში, სადაც 1973 წელს მიღებული საწარმოო ტრავმის გამო 60%-ით დაკარგა შრომის უნარი. იმავე წელს დაენიშნა დასახიჩრების პენსია, მისი მსგავსი მე-5 თანრიგის მუშის იმ დროს არსებული ხელფასის 60%-ის ოდენობით, რომელსაც იგი 2007 წლამდე იღებდა, თუმცა 2007 წელს წარმოებამ თვითნებურად, უმიზეზოდ შეწყვიტა მისთვის თანხის ანაზღაურება და, მიუხედავად სისტემატური მოთხოვნისა, მოპასუხეებს თანხა დღემდე არ გადაუხდიათ;

12.2. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად დაეყრდნო 2000 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებას და არასწორად დაადგინა, რომ დასახიჩრების თანხას იგი მხოლოდ 24 ლარს იღებდა, ვინაიდან, ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. გარდა ამისა, სასამართლომ არ იმსჯელა, თუ მოპასუხეებმა, რა ოდენობით სარჩო უნდა გადაუხადონ მოსარჩელეს ყოველთვიურად;

12.3. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ უწყისებში სხვადასხვა თანხაა მითითებული, კერძოდ: 150, 30 და 70 ლარი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მოსარჩელე თვეში 50 ლარის ოდენობით სარჩოს იღებდა და ამ თანხას არა მარტო პირველი მოპასუხე, არამედ სხვა სამართალმემკვიდრე სუბიექტებიც უხდიდნენ;

12.4. სასამართლომ არასწორად შეაფასა სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობა, სადაც ფიქსირდება, რომ მოპასუხებთან ხელფასი საშუალოდ 100 ლარი იყო;

12.5. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც ორგანიზაციას ავალდებულებდა საშუალო ხელფასის ცვლილებასთან დაკავშირებით დასახიჩრების პენსიის გადაანგარიშებას, ამასთან, იმ ვითარებაში, როდესაც საწარმო თანხის შეწყვეტამდე მოსარჩელეს თვეში 50 ლარის ოდენობით სარჩოს უხდიდა, გაურკვეველია გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა, რომ მას (დაზარალებულს) საწარმოსაგან გადაანგარიშება უნდა მოეთხოვა;

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13.1. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმეზე წარდგენილი საგადასახადო უწყისების, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების, ასევე, სასამართლო სხდომაზე მოპასუხის აღიარების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ 2000 წლის

1 დეკემბრამდე მოსარჩელის ყოველთვიური სარჩო 16 ლარსა და 80 თეთრს, ხოლო 2007 წლისათვის – 24 ლარს შეადგენდა, რომელიც აღარ გადაანგარიშებულა. შესაბამისად, პალატის მითითებით, მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ 2007 წლისათვის სარჩოს ოდენობა 50 ლარს შეადგენდა, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა და გაზიარებული ვერ იქნებოდა;

13.2. პალატის დასკვნებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ, მოპასუხის მითითების საფუძველზე, სწორად გამოიყენა ხანდაზმულობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები, ამდენად, დასაბუთებული იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც პირველ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სარჩელის წარდგენამდე ბოლო სამი წლის სარჩოს ანაზღაურება (24 ლარი X 36 თვეზე = 864 ლარი) დაეკისრა, ხოლო სხვა პერიოდზე (2007 წლიდან 2012 წლამდე) მოთხოვნას, ხანდაზმულობის გამო ეთქვა უარი.

13.3. პალატის განმარტებით, იმავე მხარეებს შორის, კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დადასტურებული იყო, რომ მოსარჩელის წინაშე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენდა პირველი მოპასუხე, ხოლო სხვა მოპასუხეთა ვალდებულებების თაობაზე რაიმე სახის მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა დანარჩენი სამართალმემკვიდრე სუბიექტების მიმართ დასაბუთებული იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

14. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

14.1. სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, სტატისტიკის სამმართველოს ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა მოპასუხეებთან არსებული ხელფასის რეალური ოდენობა, მხედველობაში არ მიიღო;

14.2. პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ სარჩოს ოდენობა ყოველთვიურად 24 ლარს შეადგენდა, ვინაიდან, ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა;

14.3. პასუხისმგებლობა ყველა მოპასუხეს სოლიდარულად უნ-

და დაჰკისრებოდა. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ უწყისებებში სხვადასხვა თანხაა მითითებული, კერძოდ: 150, 30 და 70 ლარი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მოსარჩელე თვეში 50 ლარის ოდენობით სარჩოს იღებდა და ამ თანხას არა მარტო პირველი მოპასუხე, არამედ სხვა სამართალმემკვიდრე სუბიექტებიც უხდიდნენ;

14.4. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა, თუ რა თანხა უნდა მიეღო მომავალში მოსარჩელეს ყოველთვიურად;

14.5. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიუთითა, რომ მოსარჩელეს მოპასუხეთათვის 2000 წლის შემდეგ თანხის გადაანგარიშების მოთხოვნით არ მიუმართავს და სწორედ აღნიშნული ადასტურებდა იმას, რომ მოსარჩელე ყოველთვიურად მხოლოდ 24 ლარს იღებდა. პალატას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ კანონი თავად ორგანიზაციას ავალდებულებდა საშუალო ხელფასის ცვლილებასთან დაკავშირებით გადაეანგარიშებინა დასახიჩრების პენსიის ოდენობა. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოპასუხეთათვის მიმართვის საჭიროება არ არსებობდა, ვინაიდან, მათ ხელფასის შესაბამისად, თავად გადაიანგარიშეს სარჩოს ოდენობა და მოსარჩელეს სარჩო 50 ლარამდე გაუზარდეს, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული უწყისებით.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

16. სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, საპელააციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვე-

ვებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

17. საკასაციო სასამართლო იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, თვლის, რომ გადაუხდელი სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 408-ე მუხლის მეორე (თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით) ნაწილის დანაწესიდან გამომდინარეობს.

18. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა მოსარჩელის სასარგებლოდ დასაკისრებელი თანხის ოდენობა, თუმცა, მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებმაც მოსარჩელის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

19. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას მის წინაშე მოპასუხეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო: თავდაპირველი საწარმოს გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროისათვის (2006 წლის 28 ივნისი) მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე აბზაცის მიხედვით გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1999 წლის 9 ივნისის №2073-II მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, გაყოფის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდაა დადგენილი, რომ მოსარჩელის წინაშე სარჩოს გადახდის ვალდებულება წარმოიშვა თავდაპირველი სა-

წარმოს გაყოფამდე. შესაბამისად, გაყოფის შემდეგ წარმოქმნილ სუბიექტებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოსარჩელის წინაშე სარჩოს გადახდის ვალდებულება. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხეთა პოზიციას, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება მოსარჩელის წინაშე გააჩნია მხოლოდ პირველ მოპასუხეს, ვინაიდან, მოპასუხეების პარტნიორთა გადაწყვეტილებით, საწარმოო ტრავმის პენსიონერები დაიყო მოქმედი დანაყოფებისა და იმ სამუშაო ადგილების მიხედვით, სადაც მოხდა საწარმოო ტრავმა, ხოლო მოსარჩელემ საწარმოო ტრავმა მიიღო პირველ მოპასუხესთან, რის შედეგადაც, სწორედ ეს უკანასკნელი იყო მოსარჩელის წინაშე პასუხისმგებელი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოთმითითებული კანონის შესაბამისად, გაყოფის შედეგად წარმოქმნილი ყველა სუბიექტი სოლიდარულად აგებს პასუხს გაყოფამდე წარმოქმნილი ვალდებულებებისთვის.

20. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეთა მხრიდან განხორციელდა მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს გადაანგარიშება, რის შემდეგაც მის მიერ მისაღები სარჩოს ოდენობა 50 ლარით განისაზღვრა. პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ამის საწინააღმდეგოდ საქმეში წარმოდგენილი უწყისებითა და მოპასუხის აღიარებით კი, დგინდება, რომ მოსარჩელის მიერ მიღებული სარჩო არ აღემატებოდა 24 ლარს (16 თვის განმავლობაში მიღებული აქვს 370 ლარი, რაც თვეში 23.12 ლარს შეადგენს). პალატა განმარტავს, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მისაღები სარჩოს ოდენობა 50 ლარს შეადგენდა, მოსარჩელეს აწევს, რომლის რეალიზებაც მას სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა მოეხდინა (სსსკ-ის 4.1 და 102.1 მუხლები).

21. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, მომავალში მისაღები სარჩოს ოდენობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არსებული მდგომარეობით, მოსარჩელის მიერ მისაღები ყოველთვიური სარჩოს ოდენობა 24 ლარს შეადგენს, ამდენად, სამომავლოდ მისაღები სარჩოს ოდენობაც ამ თანხით უნდა განისაზღვროს.

22. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქ-

ტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასნიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

24. კასატორი სსსკ-ის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ამდენად, მოპასუხეებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის – 864 ლარის 12 პროცენტით – 103.68 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე, 411-ე, 399-ე, 382-ე, 55-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინება, იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება შპს „ი-ს“, შპს „ხ-ს“, შპს „ტ-ს“ და შპს „დ. კ-ის“ მიუღებელი სარჩოს დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. მოპასუხეებს – სს „ი-ს“, შპს „ი-ს“, შპს „ხ-ს“, შპს „ტ-ს“ და შპს „დ. კ-ს“ გ. ლ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარის გადახდა;

4. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

5. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

6. სს „ი-ს“, შპს „ი-ს“, შპს „ხ-ს“, შპს „ტ-ს“ და შპს „დ. კ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის, 103.68 ლარის გადახდა;

7. სახელმწიფო ბაჟი გადახდილი იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

8. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1237-1157-2017

9 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ლ“-მ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე, კრედიტორი ან კომპანია) სარჩელი აღძრა სასამართლოში ს-ოს (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მოვალე ან სააგენტო) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის დავალიანების, 42 070 ლარისა და 2010 წლის 28 დეკემბრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს სახით დავალიანების, 0,1%-ის გადახდის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-

სარჩელესა და შპს „ს-სს“ (შემდგომში – შემკვეთი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მოსარჩელეს უნდა შეესრულებინა ქ. თბილისში, დ. სასნავლო საცდელი მეურნეობის №3... მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლის სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები, რის სანაცვლოდაც შემკვეთს მოსარჩელისთვის უნდა გადაეხადა 127 070,04 ლარი. შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულების ღირებულებიდან 85 000 ლარი უნდა გადახდილიყო შეთანხმების ძალაში შესვლის დღეს. ეს თანხა მოსარჩელემ მიიღო ავანსის სახით. მოსარჩელემ ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, თუმცა შემკვეთმა უარი განაცხადა მიღებაჩაბარების აქტის შედგენაზე, ხოლო, რამე პრეტენზია ვალდებულების შესრულებაზე არ განუცხადებია. შემკვეთი კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მესაკუთრე იყო შპს „ს.“, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნდა სახელმწიფოს მიერ და იყო მისი 100%-იანი წილის მესაკუთრე. მოპასუხის 2012 წლის 5 ოქტომბრის №1... ბრძანებით, სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნით, შპს „ს-ის“ კაპიტალიდან ამოღებულ იქნა 800 000 ლარი და მისივე კაპიტალში რიცხული შვილობილი კომპანიის (შემკვეთის) 100%-იანი წილი ღირებულებით – 73 932 431, 37 ლარი. სააგენტოს 2012 წლის 10 ოქტომბრის №1/1-82 ბრძანებით დადგინდა შემკვეთი კომპანიის ლიკვიდაცია და, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 10 ოქტომბრის №1... გადაწყვეტილებით, დარეგისტრირდა ლიკვიდაციის პროცესის დაწყება. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ შემკვეთთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სააგენტო.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ შემკვეთ კომპანიას არ ჰყოლია კრედიტორები, შესაბამისად არარსებულ კრედიტორთა შესახებ სია ვერ მიენოდებოდა საჯარო რეესტრს. სააგენტოს არ დაურღვევია დებულების 2.7 მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესის რეგისტრაციიდან დებულებით განსაზღვრულ 20 დღის ვადაში სააგენტოში ლიკვიდატორის მიერ წარდგენილ იქნა სალიკვიდაციო გეგმა, ამავე დებულების 2.8 მუხლით განსაზღვრული ყველა დოკუმენტაცია და საჯარო რეესტრს ჰქონდა სრული უფლებამოსილება, განეხორციელებინა საწარმოს ლიკვიდაცია. მოპასუხის 2012 წლის 10 ოქტომბრის №1/1-82 ბრძანება და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 15 ოქტომბრის №B... გადაწყვეტილება ძალაშია, სადავოდ არ არის გამხდარი მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილი წესით და არ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოაღ-

ნიშნული ბრძანებისა და გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შე-
სახებ.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2016 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწი-
ლობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ
დაეკისრა 38 098,12 ლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით
გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყ-
ვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ
დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა
უცვლელად, ამავ ე განჩინებით აპელანტს მოწინააღმდეგე მხარის
სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯის სახით (მოსარჩელის
მიერ წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯის 1 523,92
ლარის ოდენობით და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასა-
მართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გადახდილი თან-
ხა 2 683,73 ლარის ოდენობით) 4 207,65 ლარის გადახდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-
ჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვე-
ტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივ-
რებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის სა-
ფუძვლები და მიიჩნევს, რომ სასამართლო ხარჯების განსაზღვრის
ნაწილში იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოთხოვ-
ნის დანარჩენ ნაწილში, როგორც უსაფუძვლო, უცვლელად დარ-
ჩეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო გან- ხილვის ფარგლები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნა-
წილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტი-
ლებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს
არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვე-
ვები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მი-

თითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს კასატორის მიერ საჩივარში გამოთქმული შედავებების ფარგლებში. საკასაციო საჩივრის შესწავლით კი, ირკვევა, რომ კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნებს სარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნავს, რომ:

1.1. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა ერთობლივი კვლევის გარეშე არასწორად მიიჩნია დადგენილად მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები და სამართლის ნორმათა არასწორი გამოყენების გზით ჩათვალა, რომ სახელმწიფო გამდიდრდა უსაფუძვლოდ. მართალია, ორივე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ლიკვიდაციის პროცესში კასატორი ბრალეულად არ მოქმედებდა და არ არსებობდა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, თუმცა, მიიჩნიეს, რომ სახეზე იყო კონდიქციური ვალდებულება. სასამართლოებმა მოთხოვნის საფუძვლის შეცვლისას, იხელმძღვანელეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, რომლის თანახმადაც სარჩელის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, არ გაითვალისწინეს, რომ ამავე პრაქტიკის თანახმად, მოპასუხეს უნდა მიეცეს შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა და საქმე შეჯიბრებითობის პრინციპის სრული დაცვით უნდა იქნეს განხილული. გაურკვეველია ლიკვიდაციის თაობაზე სააგენტოს 2012 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებისა და მისი შედეგების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის 2012 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების ძალაში ყოფნის პირობებში სასამართლომ რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მოიძია სამართლის ნორმა და გამოიყენა სააგენტოს წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისათვის, რომ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის, 25-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე, შემკვეთი წარმოადგენდა დამოუკიდებელ სუბექტს, რომელიც მოსარჩელესთან საკუთარი სახელით შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში და მასვე წარმოემვა გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციამდე არსებობდა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფომ, როგორც შემკვეთის 100%-იანი წილის მფლობელმა მესაკუთრემ, მიიღო გადაწყვეტილება შემკვეთი კომპანიის ლიკვიდაციის თაობაზე, შესაბამისად, იმ კრედიტორთა დაკმაყოფილების საკითხს, რომლებმაც ლიკვიდაციის პროცესში ვერ მიიღეს ანაზღაურება ადგენს ამავე მუხ-

ლის მე-5 და მე-9 პუნქტები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემკვეთს ლიკვიდაციის პროცესში არ გააჩნდა ქონებრივი აქტივი, თუმცა, ასეც რომ არ იყოს, არ შეიძლება მოთხოვნაზე პასუხისმგებლად მხოლოდ კასატორი იქნეს მიჩნეული, რადგანაც სახელმწიფო სანარმოს ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონებრივი აქტივი ირიცხება სახელმწიფო ხაზინაში, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოა, ხოლო, თუ დავა უძრავ ქონებას შეეხება, პასუხისმგებელ პირად მიიჩნევა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი ს-ო. ვალდებულების დაკისრებისას სასამართლოს არ შეუხსნავლია ლიკვიდირებული სანარმოს 100%-იანი დამფუძნებლის – სახელმწიფოს მიერ 2012 წლის 5 ოქტომბერს გამოცემული №1-... ბრძანება, რომელიც მიუთითებს, რომ ლიკვიდაციის დროს სანარმოს აღარ გააჩნდა აქტივი, ხსენებული ბრძანებით სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზნით ამოღებულ იქნა შპს „ს-ის“ კაპიტალიდან 800 000 ლარი და მასში რიცხული შვილობილი კომპანიის – შპს „ს-სის“ 100%-იანი წილი. ამდენად, სახელმწიფოსათვის, როგორც პარტნიორისათვის, პასუხისმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის კანონით დადგენილ პასუხისმგებლობის ფარგლებს, ამასთანავე, თუკი სადავო ბრძანებას სასამართლო მიიჩნევდა პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობად, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ცნება ფართოდ უნდა განმარტებულიყო და მხოლოდ კასატორი არ უნდა მიჩნეულიყო ვალდებულ პირად;

1.2. სასამართლო სარჩელში მითითებული გარემოებებისა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ფონზე არ იყო უფლებამოსილი სარჩელის, თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძვლად გამოყენებინა სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული, რადგანაც კანონისმიერი მოთხოვნის წინაპირობები არ არსებობს, ამასთანავე, სარჩელის სამართლებრივი საფუძვლის შეცვლისას მოპასუხეს არ მიეცა შესაგებლის ნარდგენის შესაძლებლობა, რომელიც მათ შორის სათანადო მოპასუხის საკითხს შეეხება (მსგავს საქმეზე (სუსგ №ას-616-586-2013) საკასაციო სასამართლომ სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია იმ პირობებში, როდესაც დადგენილად ცნო რეორგანიზაციის მართლწინააღმდეგობრიობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება);

1.3. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შემკვეთსა და მოსარჩელეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებით მხარე-

ებმა შეათანხმეს მისი ყველა არსებითი პირობა, მათ შორის, საზღაურის გადახდის წესი, რომელიც სამუშაოს დასრულებასა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უკავშირდებოდა. უდავოა, რომ მათ შორის ხსენებული აქტი არ გაფორმებულა, ხოლო მოსარჩელე ვერ ამტკიცებს ლიკვიდაციამდე წაუყენა თუ არა მოთხოვნა შემკვეთს. გარდა ამისა, მოვალე კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ კრედიტორის ინფორმირების მიუხედავად, კრედიტორმა გაუშვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2014 ბრძანებით დამტკიცებული მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის წარდგენის საშეღავათო ვადა. ამ საკითხზე, მიუხედავად პრეტენზიის არსებობისა, არ იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ.

1.4. გარდა იმისა, რომ სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შეცვლით დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, დავის უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში შეფასების შემთხვევაში, მაინც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 987-ე მუხლის ფარგლებში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სწორედ მოსარჩელეს ეკისრებოდა განეულები სამუშაოების შედეგად სახელმწიფოს გამდიდრების ფაქტის მტკიცება, ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის კონსტრუქტში სასამართლოს უნდა შეეფასებინა მოსარჩელის განმარტება, რომ მისთვის ცნობილი იყო შემკვეთის ლიკვიდაციის თაობაზე, თუმცა, უდავოა, რომ კანონით გათვალისწინებულ საპრეტენზიო ვადაში კრედიტორს მოთხოვნა არ წარუდგენია. გამდიდრების ფაქტის, მისი ოდენობისა და კონკრეტულად განეული ხარჯების დაუდგენლობის პირობებში, სასამართლომ განჩინების დასაბუთებისას არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 976-ე და 991-ე მუხლები, რადგანაც სარჩელს გამორიცხავდა ამავე კოდექსის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილი – სახეზე არ იყო მოპასუხის გამდიდრების ფაქტი (წარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დ. მეურნეობის №3...-ე ნაკვეთზე არსებული სველი წერტილების რეაბილიტაცია და ხელშეკრულების თანახმად, საბოლოო თანხა უნდა განსაზღვრულიყო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული მოცულობით დასრულებისა და დამტკიცების შემდეგ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, რომელსაც დაემყარა სასამართლო თანხის განსაზღვრისას, დადგენილია, რომ ექსპერტმა ადგილზე დაათვალიერა ხილული სამუშაოები, რაც შეეხება ფარულს, მარ-

თალია, ნარდგენილ იქნა ფორმა №2-ები, თუმცა, ისინი არ იყო და-
დასტურებული მეორე მხარის მიერ. ამ დასკვნით არ დგინდება სა-
მუშაოთა ხანდაზმულობა, რაც არსებითი მნიშვნელობისაა სამარ-
თლის გამოყენებული ნორმების წინაპირობების დასადგენად);

1.5. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაარღვია საპროცესო
ნორმები, კერძოდ, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ხარჯები, სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის თა-
ნახმად, წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს, რომელთა
განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები მხარემ სააპელა-
ციო სასამართლოში წარადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექ-
სის 380-ე მუხლის დარღვევით. პალატას უნდა ეხელმძღვანელა
ამავე კოდექსის 104-ე მუხლით და უარი განეცხადებინა მათ მიღე-
ბაზე, რის სანაცვლოდაც, 53-ე მუხლის საფუძველზე ხსენებული
ხარჯის აპელანტისათვის დაკისრებით გააუარესა მისი მდგომარე-
ობა. სასამართლომ ერთმანეთისაგან ვერ გამოიჯნა სასამართლო და
სასამართლოს გარეშე ხარჯები და ადვოკატის მომსახურებისა და
ექსპერტიზაზე გაწეული ხარჯი მიიჩნია სწორედ სასამართლო ხარ-
ჯად.

**2. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გა-
რემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვე-
ტილების მიმართ:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწი-
ლის თანახმად (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად
ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო
სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და და-
საბუთებული პრეტენზია (შედავება)), წინამდებარე გადაწყვეტი-
ლების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია ქვემდგომი ინსტან-
ციის სასამართლოების მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარე-
მოებებს:

2.1. შპს „ს.“ რეგისტრაციაში გატარდა 2004 წლის 13 აგვისტოს
(ს/კ №-...), პარტნიორი 100% წილით – სახელმწიფო;

2.2. შპს „ს-სი“ რეგისტრაციაში გატარდა 2006 წლის 25 ივლისს.
პარტნიორი 100% წილით – შპს „ს.“;

2.3. 2010 წლის 30 ნოემბერს მოსარჩელესა და შემკვეთს შორის
გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება დ. სასწავლო-საცდელი მე-
ურნეობის №3.. მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლის
სველი წერტილების (88 კვ.მ) გარემონტების თაობაზე. სამუშაოს
ღირებულება განისაზღვრა 127 070,04 ლარით. მხარეები შეთან-
ხმდნენ, რომ შემკვეთი, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს
ავანსის სახით მენარდეს გადაუხდინა 85 000 ლარს, ხოლო, საბო-
ლო ანგარიშსწორება განხორციელდებოდა სამუშაოების სრული

მოცულობით დასრულებისა და მხარეებს შორის სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის ვადაში. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2010 წლის 30 ნოემბერს და ვალდებულების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2010 წლის 14 დეკემბერი. შემკვეთმა მენარდეს გადაურიცხა 85 000 ლარი;

2.4. მოსარჩელემ შემკვეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, თუმცა მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა, შესაბამისად, სამუშაოების შესრულების დარჩენილი ღირებულებაც არ გადაუხდია მენარდისათვის შემკვეთს;

2.5. 2011 წლის 17 მარტის მონაცემებით, შპს „ს-სის“ საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, დ. წ-ში, ს-ის ქუჩაზე, №0-... ნაკვეთზე მდებარე №1, №2, №3, №4 და №5 შენობა-ნაგებობები, ასევე, ქ. თბილისში, დ. წ-ში, ს-ის ქუჩაზე, №1-... ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3 (ს/კ №01..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ბრძანება №2... დამონმების თარიღი: 10/03/2011, შპს „ს.“; ს/კ №01... 01.110.0..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ბრძანება №2... დამონმების თარიღი: 10/03/2011, შპს „ს.“);

2.6. 2011 წლის 28 ოქტომბრის მონაცემებით, შპს „ს-სის“ საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, დ. წ-ში, „ა“ ზონაში №1-... ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3 (ს/კ №01.2... 01.110.007, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ბრძანება №2/75 დამონმების თარიღი: 10/03/2011, შპს „ს.“);

2.7. 2011 წლის 19 დეკემბრის მდგომარეობით, შემკვეთის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, დ. წ-ში, სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე №1-... ნაკვეთი, №1-... ნაკვეთზე მდებარე №1 და №2 შენობა-ნაგებობა (ს/კ №-... უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: წერილი №1/193, დამონმების თარიღი: 30/11/2011, შპს „ს-სი“ ბრძანება №2-109, დამონმების თარიღი: 10/06/2011, შპს „ს.“; ს/კ №0-... უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: წერილი №1/193 დამონმების თარიღი: 30/11/2011, შპს „ს-სი“ ბრძანება №2-109, დამონმების თარიღი: 10/06/2011, შპს „ს.“);

2.8. 2012 წლის 4 მაისის მონაცემებით, შემკვეთის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, დ. წ-ში, ზონა „ა-ში“, №1-... ნაკვეთზე მდებარე №1 და №2 შენობა-ნაგებობა (ს/კ №01... უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ბრძანება №2/75, დამონმების თარიღი: 10/03/2011, შპს „ს.“, ბრძანება №2/248, დამონმების თარიღი: 27/04/2012, შპს „ს.“, ბრძანება №ბ-07/100433-16, დამონმების თარიღი: 26/08/2011, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური);

2.9. შპს „ს-სის“ კაპიტალში ცვლილების შეტანის შესახებ სახელ-

მნიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 5 ოქტომბრის №1... ბრძანების თანახმად, სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნით ამოღებულ იქნა შპს „ს-ის“ კაპიტალიდან 800 000 ლარი და შპს „ს-ის“ კაპიტალში რიცხული შვილობილი კომპანიის – შპს „ს-სის“ (ს/კ №2...) 100% წილი, ღირებულებით 73 932 431,37 ლარი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 74 732 431,37 ლარი;

2.10. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2012 წლის 9 ოქტომბრის №1/149 წერილით მიმართა შპს „ს-სმა“ სანარმოს ლიკვიდაციის დაწყების თხოვნით და აცნობა, რომ შპს „ს-სს“ არ ჰყავს დებიტორ-კრედიტორები, შესაბამისად, არ ჰქონდა საბიუჯეტო დავალიანება;

2.11. შპს „ს-სის“ ლიკვიდაციის დაწყებისა და ლიკვიდატორად არჩილ კერვალიშვილის დანიშვნის შესახებ ს-ოს 2012 წლის 10 ოქტომბრის №1/1-82 ბრძანებით დადგინდა შპს „ს-სის“ ლიკვიდაციის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.12. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2012 წლის 10 ოქტომბერს მიიღო №1... გადაწყვეტილება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. 2012 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირდა ინფორმაცია შპს „ს-სის“ ლიკვიდაციის შესახებ, სტატუსით – ლიკვიდაცია დაწყებულია;

2.13. შემკვეთი კომპანიის ლიკვიდაციის გამო მოსარჩელესთან წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შეწყდა;

2.14. ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 2.5.-2.8. პუნქტებში მითითებული უძრავი ქონება, 2012 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრებად.

2.15. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 12 ნოემბრის №5... დასკვნის მიხედვით, რომელიც ემყარება შესრულებულ სამუშაოთა აქტს (ფორმა №2), ქ. თბილისში, დ. სასანავლო-საცდელი მეურნეობის №3.. მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სველ ნერტილებში (აბაზანა, ტუალეტი, სამზარეულო) შპს „ლ-ის“ მიერ 2010 წელს შესრულებული სარემონტო სამუშაოების მოცულობამ და მათმა ღირებულებამ დარიცხვებით, წარმოდგინდეს შესრულებულ სამუშაოთა აქტში (ფორმა №2) ნაჩვენები 128 454, 91 ლარის ნაცვლად, შეადგინა 123 098,12 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეფასების საგანს წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან მოთხოვნის მატერიალურ-სამარ-

თლებრივი საფუძვლის შეცვლით დაერღვა თუ არა მოპასუხეს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გარანტირებული
უფლება; წარმატებულია თუ არა მოთხოვნა იურიდიულად; დაარ-
ღვია თუ არა სასამართლომ საქმის განხილვის საპროცესო წესები.
თითოეულ საკითხს პალატა შეაფასებს ცალ-ცალკე.

3.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დემოკრატიული წეს-
წყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თა-
ნასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამარ-
თალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრე-
ბული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი
თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონ-
სტიტუციით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაც-
ვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასა-
ხულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნ-
დამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზ-
ღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითო-
ბის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებები-
თა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები,
უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთ-
ხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ-
ვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძ-
ვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქ-
ნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორ-
მის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო
მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული,
ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მი-
ზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასა-
მართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცე-
მული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახ-
დენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის
პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებული მხა-
რის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი
განკუთვნიანი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლება-
მოსილი, ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკი-
ცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-
ე, ასევე, 103-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინ-
ციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს
პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად
კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილე-
ბის მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, ამ-

გვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი). საკაცო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა ასახული ხსენებული მიდგომა (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი; №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი, ასევე, სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი), თუმცა, შეჯიბრებითობის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით გარანტირებული პირთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები უნდა იყვნენ ინფომირებული სასამართლოს მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრის თაობაზე და მიეცეთ სრული შესაძლებლობა, წარადგინონ საკუთარი პოზიცია. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ მის მიმართ დაირღვა კანონით გარანტირებული შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც შესაგებლის წარდგენის შეუძლებლობაში გამოიხატა, თუმცა საქმის მასალებით ეს გარემოება არ დგინდება, კერძოდ, მოპასუხეს დადგენილი წესით ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები, დაზუსტებული სარჩელი და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის წინაპირობები, ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილია, როგორც თავდაპირველი, ისე – დაზუსტებული სარჩელის წინააღმდეგ შეპასუხება, რაიმე საპროცესო აქტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოპასუხემ დააზუსტა საკუთარი პოზიცია, ხოლო სასამართლომ უარყო იგი, არ მოიპოვება, შესაბამისად, პალატა მხარის ამ არგუმენტს უარყოფს.

3.2. განსახილველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდირებული კომპანიის კრედიტორ მენარდეს შეუძლია თუ არა მოსთხოვოს სახელმწიფოს თანხის ანაზღაურება. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, სახელმწიფო (რომელიც მოვალე კომპანიის დამფუძნებელია, განკარგა მისი საწესდებო კაპიტალი, ხოლო შემდგომ მოახდინა კომპანიის ლიკვიდაცია და საკუთრებაში მიიღო ამ კომპანიის მიერ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაუმჯობესებული ქონება) უსაფუძვლოდ გამდიდრდა და მან კონდიქციური ვალდებულების ფარგლებში უნდა აგოს პასუხი კომპანიის ყოფილი კრედიტორის წინაშე. ამ დასკვნის სამართლებრივ საფუძველად გამოყენებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლი, ამასთანავე, სასამართლომ, დელიქტის წესებიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილება იმ დასაბუთებით გამორიცხა, რომ შემკვეთი კომ-

პანიის ლიკვიდაციის პროცესში ლიკვიდატორის მხრიდან კანონის მოთხოვნათა ფორმალური დაცვა გამორიცხავდა ზიანის შემადგენლობის არსებობას. ამ მსჯელობას არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ არ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უმთავრესი წინაპირობა – ვითომ კრედიტორის გამდიდრების ფაქტი, ასევე, ანაზღაურებას გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ნივთის გადაცემის დროისათვის გამდიდრების ოდენობა. საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში იზიარებს კასატორის სამართლებრივ პრეტენზიას და თვლის, რომ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები მართლაც არ გამომდინარეობს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მარეგულირებელი წესებიდან, თუმცა, მიიჩნევს, რომ ხსენებული პრეტენზიის საფუძვლიანობა დავის მატერიალური შედეგის კანონიერების თვალსაზრისით უნდა შემოწმდეს, კერძოდ, იქონია თუ არა გავლენა დამფუძნებელი ნორმის განსაზღვრის საკითხმა გადაწყვეტილების სისწორეზე.

3.3. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფაქტების სუბსუმირება სამართლის ნორმის წინაპირობებთან სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სარჩელის ფაბულა, ისე – დადგენილი და მხარეთა შორის უდავო ფაქტები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სახეზეა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და სარჩელის წარმატებულობა უნდა შეფასდეს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის ფარგლებში. სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღნიშნონ კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია, ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში. ანალოგიურ დანაწესს

ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბერის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულები“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი. მართალია, ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინა კანონით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც: ლიკვიდირებული საწარმოს მიმართ მოსარჩელის სახელმეკრულეო მოთხოვნა ნამდვილია; მოპასუხემ ლიკვიდაციის დაწყებამდე განკარგა კომპანიის ქონება; ლიკვიდატორმა კრედიტორი არ მოიწვია ლიკვიდაციის პროცესში და ქონების წინსწრებით განკარგვის გზით (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ. 2.14.) კანონით გარანტირებული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები პრაქტიკულად გაასხვისა („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 (5) (9) მუხლი, ასევე, ეკონომიკის მინისტრის №1-1/2044 ბრძანების მე-3 (8) (9) მუხლი), სახეზეა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედება, რომელსაც შედეგად მოსარჩელის ქონებრივი ინტერესების შელახვა მოჰყვა, რაც გამართლებულს ხდის დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილებას.

3.4. სააპელაციო სასამართლომ ლიკვიდირებულ საწარმოსა და მოსარჩელეს შორის დადებული წარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გამოთვლის წესისა და საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მისაღები თანხის ოდენობა და მის მიერ საავანსო ანგარიშსწორების წესით მიღებული თანხის სხვაობით დაიანგარიშა ზიანი. პალატის სხენებული მოსაზრება ემყარება საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის დადგენილი წესით კვლევას (სსსკ-ის 172-ე და 105-ე მუხლები) და ამ ფაქტის წინააღმდეგ დასაბუთებული შედაგება არ არის წარმოდგენილი (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 2.3.; 2.15.). რაც შეეხება პირგასამტეხლოს, ვინაიდან შემკვეთთან დადებული შეთანხმების საფუძველზე მენარდეს, როგორც კრედიტორს, შეეძლო ამ თანხის მოთხოვნაც, იგი შეიძლება სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში ასევე ზიანად შერაცხოდა მოვალეს, თუმცა, ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264-ე მუხლი), შესაბამისად, საკასაციო პალატა აღარ მსჯელობს მასზე.

3.5. სასამართლო უარყოფს კასატორის პოზიციას რომ იგი არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს. ამ პრეტენზიას მხარე უკავ-

შირებდა ფულადი თანხის სახელმწიფო ხაზინაში ჩარიცხვას და მიიჩნევდა, რომ კონდიციური ვალდებულების შესრულებაც თანხის მიმღებს უნდა დაკისრებოდა, თუმცა, პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ს-ოს 2012 წლის 10 ოქტომბრის №1/1-82 ბრძანებით იქნა დანიშნული შემკვეთი კომპანიის ლიკვიდატორი (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ. 2.11.), რომლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასაც მოჰყვა ზიანი, სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმად კი, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს (პრაქტიკის თვალსაზრისით დამატებით იხ. სუსგ №ას-616-586-2013, 24 დეკემბერი, 2015 წელი).

3.6. პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პოზიციას პროცესის ხარჯების არასწორად დაკისრების თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

3.6.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოგებულის მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სააპელაციო განხილვის ეტაპზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, წარადგინა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, სააპელაციო განხილვის ეტაპზე ამ მომსახურების გამო საზღაურის გადახდისა და ექსპერტიზისათვის განეული ხარჯის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებული განჩინებით მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და აპელანტს, მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, სააპელაციო სასა-

მართლოში იურიდიული მოსახურებისათვის განეული ხარჯიდან – 3 525 ლარიდან დააკისრა 1 523,93 ლარი, რაც კანონიერია და სრულად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ პროცენტულ ცენზს (სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის – 38 098,12 ლარის 4%), რაც შეეხება ექსპერტიზის ხარჯს, მისი დაკისრება ასევე სრულიად რელევანტურია ზემოხსენებული საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე, თუმცა წარმოდგენილი საგადახდო დავალებით ირკვევა, რომ ეს თანხა გადახდილია ჯერ კიდევ დავის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას, რაიმე საპატიო მიზეზი, რომელიც ამ მტკიცებულების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენისა და შესაბამისად, შუამდგომლობის დაყენებას გამოიწვევდა, საქმის მასალებით არ ირკვევა. ამ მხრივ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით დადგენილი მტკიცებულებათა სააპელაციო განხილვის ეტაპზე წარდგენის შეზღუდვა ძირითადად შეეხება არა პროცესის ხარჯების ანაზღაურების საკითხს, არამედ, მატერიალურ-სამართლებრივი მტკიცებულების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურებას, თუმცა, თუკი ესა თუ ის მტკიცებულება, მათ შორის პროცესის გარეშე განეული ხარჯების განმსაზღვრელი, მხარეს შეეძლო, ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარედგინა, ბუნებრივია, გამოირიცხება ამ მოთხოვნის ზემდგომ სასამართლოში დაყენება ამავე ნორმით განსაზღვრული საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე.

3.6.2. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ თითოეული ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯების საკითხი ამ ინსტანციის სასამართლოში უნდა იქნეს მოთხოვნილი და მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ თუკი მხარე, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შუამდგომლობს პროცესის ხარჯების ანაზღაურებას, მას სააპელაციო სასამართლოში აღარ აქვს უფლება პირველი ინსტანციის სასამართლოში გაღებული ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს, რადგანაც ივარაუდება, რომ უარი განაცხადა ამ მოთხოვნაზე (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი). რაც შეეხება ზემდგომი წესით საქმის განხილვისას წარმოშობილი ხარჯების მოთხოვნას, ის ყოველთვის დაიშვება, ვინაიდან საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე მხარეთათვის უცნობია გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და ზემდგომ ინსტანციებში დავის გაგრძელების ფაქტი, შესაბამისად, მხარე წინასწარ ვერც გაიღებს ზემდგომი წესით საქმის განხილვასთან დაკავშირებულ შესაძლო ხარჯებს და, ბუნებრივია, მას უფლების პრევენციული

დაცვა არც მოეთხოვება. სააპელაციო წარმოების დაწყება მოდავე მხარეთა დისპოზიციური ნების გამოვლინებაა და ხარჯების გაღებაც დამოკიდებულია იმაზე, გაასაჩივრებს თუ არა ერთ-ერთი მხარე ან ორივე მათგანი გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეუძლებელია, მოდავე სუბიექტს სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპისათვის განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა მოეთხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

4. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ შეცვლის პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები და ამ მოთხოვნის მიმართ სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებას უკანონო გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყოლია შედეგად, ისევე, როგორც კანონიერია გასაჩივრებული განჩინება სააპელაციო წარმოების ეტაპზე მოგებული მხარის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურებისათვის გაღებული ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებულ განჩინებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას) უცვლელად ტოვებს საკასაციო სასამართლო. რაც შეეხება ექსპერტიზის ხარჯების საკითხს, ამ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და რადგანაც არ იკვეთება, მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო, საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), თავად იღებს გადაწყვეტილებას მოსარჩელის შუამდგომლობის უარყოფის შესახებ.

5. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.11 მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე კასატორი ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლ-

ბულია, ხოლო დავა მის სანინალმდეგოდ გადაწყდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, საკასაციო განხილვის ეტაპზე წარმოშობილ პროცესის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, ამასთანავე, დავის მატერიალური შედეგის გათვალისწინებით, არ არსებობს საკასაციო სასამართლოში მხარეთა შორის ამ ხარჯების განაწილების წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. ს-ოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გადახდილი თანხის – 2 683,73 ლარის ს-ოსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინება და შპს „ლ-ის“ შუამდგომლობა 2 683,73 ლარის ს-ოსათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1215-2018

29 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: აქციათა ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნო-
ბა და აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვა.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2001 წლის 30 აპრილს ჩატარდა შპს „თ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე კომპანია ან კომპანია ან მოსარჩელე ან კასატორი) სადამფუძნებლო კრება. აღნიშნული კრების №1 ოქმით დამტკიცდა კომპანიის წესდება და დადგინდა ამ წესდების რეგისტრაციაში გატარების ვალდებულება. ამავე კრებაზე შეიქმნა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მის შემადგენლობაში თავმჯდომარედ დამტკიცდა ა. ს-ე (შემდეგში: კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), ნევრებად კი – ნ. რ-ი (შემდეგში: კომპანიის პირველი პარტნიორი) და ქ. ც-ე (შემდეგში: კომპანიის მეორე პარტნიორი).

2. კომპანია დარეგისტრირდა 2001 წლის 02 მაისს. კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ კომპანიის პირველი და მეორე პარტნიორი, რომელთა წილობრივი მონაწილეობა საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 50%-50%-ს. საზოგადოების ხელმძღვანელობა ეკისრებოდა სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც იქმნებოდა პარტნიორების გადაწყვეტილებით. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავდა საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიას. საზოგადოებას წარმოადგენდა დირექტორი (იხ., კომპანიის წესდების მე-6 და მე-7 მუხლები).

3. 2005 წლის 28 ივნისს ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც გამყიდველსა და მეორე მხრივ, მოსარჩელე კომპანიას, როგორც მყიდველს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი – ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა მყიდველს „სახელმწიფო ქონების პირდაპირი ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებისა და სხვა ნორმატიული

აქტების საფუძველზე, საკუთრებაში გადასცა სს „ე-ის“ (შემდეგში – ქარხნის) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (3 550 445 ცალი აქცია, რაც შეესაბამებოდა აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%) ღირებულებით 6 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საიდანაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მყიდველს გადახდილი ჰქონდა 600 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (შემდეგში – ქარხნის აქციათა პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება). ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა ვალდებულება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, 2005 წლის 01 აგვისტომდე, გადაეხადა ნასყიდობის დარჩენილი საფასური – 5 400 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4. 2007 წლის 29 ნოემბერს ქარხნის გენერალურმა დირექტორმა სარჩელი წარადგინა მოპასუხეების: შპს „ს-ისა“ და სს „თ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა: შპს „ს-ისათვის“ დავალიანების – 9 588 388 ლარის, ზიანის – 2 577 162 ლარის, ვალდებულებების შეუსრულებლობის და არაჯეროვნად შესრულების გამო, ქარხნის დავალიანების დასაფარად აღებული კრედიტის – 190 218 ლარის ანაზღაურების დაკისრება; აგრეთვე, №-... ხელშეკრულებით მიღებული 397 117.20 ლარის და №-... ხელშეკრულებით მიღებული 1 588 468.80 ლარის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნება. სარჩელი სასამართლომ მიიღო წარმოებაში. აღნიშნული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით (№2/5491-07) განუხილველად იქნა დატოვებული 2007 წლის 11 დეკემბერს ქარხნის გენერალური დირექტორის მიერ სარჩელის უკან გამოხმობის საპროცესოსამართლებრივი საფუძველით [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 83¹-ე და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი].

5. 2006 წლის 11 აპრილს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის 2006 წლის 28 თებერვლის №96 ბრძანების საფუძველზე, ქარხანაში შემონმდა პრივატიზაციის საკითხების სისწორე, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი. ამ აქტში მითითებულია, რომ „... შემონმების პერიოდში, გამოძიების მიერ ამოღებული დოკუმენტაციით და ქარხნის მიერ მიწოდებული წერილობითი ინფორმაციით ირკვევა, რომ დარღვეულია მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ყოველწლიურად პროდუქციის მოცულობის 3-5%-ით ზრდის თაობაზე. ქარხანაში რეალურად ზრდის ნაცვლად გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შემცირდა. არ შესრულდა ვალდებულება სს

„ე...“-ში 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების თაობაზე, არ მოხდა სანარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის და მასთან გათანაბრებული ფონდების მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვა. საინვესტიციო პროგრამის პერიოდში არ გაიზარდა სამუშაო ადგილები. პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის ნაცვლად, შემცირებამ შეადგინა 65.7%. აქტის შედგენის თარიღისათვის ქარხნის სანესდებო კაპიტალი შეადგენს 6864317 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და დაყოფილია 6864317 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, რომელთაგან თითოეულის ღირებულება შეადგენს 1 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. აქედან, მოპასუხის მფლობელობაშია აქციების 47,737037 ანუ, 3276821 ჩვეულებრივი სახელობითი აქცია“.

6. 2006 წლის 12 აპრილს შედგა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აქტი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ქარხანაში 2003 წლის 01 იანვრიდან 2006 წლის 01 იანვრამდე საანგარიშო პერიოდის საფინანსო საქმიანობის შემონმების შესახებ. ამ აქტში მითითებულია შემდეგი: „... შემონმებით ირკვევა, რომ მოპასუხემ ქარხნის საბრუნავი სახსრებიდან პირად საკუთრებაში არსებული სანარმოს კაპიტალურ-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას მოახმარა 1215818.13 ლარი, ამასთან, საზოგადოებაში გასანაწილებელი მოგების არარსებობის მიუხედავად, გაიცა (დევიდენდის სახით) 852024 ლარი. მითითებული ოპერაციებით ქარხანას მიაღდა ზიანი – 2067842.13 ლარი“.

7. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2008 წლის 09 იანვრის შემონმების აქტი, რომლის მიხედვით, ქარხანაში ჩატარდა დოკუმენტური რევიზია, რაც მოიცავდა 2005 წლის 01 იანვრიდან 2007 წლის 01 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდს.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს საგამოძიებელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მოსარჩელე კომპანიიდან და ქარხნიდან 2004-2007 წლების საანგარიშო პერიოდში, საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების დედნების, ასევე, კომპიუტერების პროცესორების და სხვა დოკუმენტების ამოღების მოთხოვნით. შუამდგომლობა, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ, დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 07 თებერვლის ბრძანებით.

9. 2008 წლის 17 სექტემბერს, მოსარჩელე კომპანიას, როგორც გამყიდველს წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით და ბ. ნ-ს

(შემდეგში – მოპასუხე ან აპელანტი) შორის გაფორმდა სანოტარო აქტი – აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №-...) (შემდეგში – ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება ან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება), რომლის საფუძველზე, გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული ქარხნის 1 775 223 აქცია, რაც შეადგენდა აქციათა საერთო რაოდენობის 25.817895%-ს. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იყო 1 აშშ დოლარი, რაც ჯამში შეადგენდა 1 775 223 აშშ დოლარს. ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობის საგანი პირობადებული საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა გამყიდველს – მოსარჩელე კომპანიას. ამასთან, ნასყიდობის საგანი დაგირავებული იყო ერთ-ერთი საკრედიტო დაწესებულების (ბანკი) სასარგებლოდ. ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა 1 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. ნასყიდობის ფასი გადახდილი უნდა ყოფილიყო ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის (1 აშშ დოლარი = 1.4020 ლარს) შესაბამისად, რაც შეადგენდა 1 542 200 ლარს. ნასყიდობის საფასური უნდა ჩარიცხულიყო მოსარჩელე კომპანიის მიერ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაშივე მითითებული საბანკო ანგარიშზე. ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით 08.09.2008 წლის მდგომარეობით ქარხნის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 40661550.47 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება – 64149265.24 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ ქარხნის დავალიანება აღმოჩნდებოდა მითითებულზე მეტი, რაც არ იყო გაცხადებული გამყიდველის მიერ, გამყიდველი ვალდებული იყო მყიდველისათვის აენაზღაურებინა ზიანი სრულად.

10. 2008 წლის 17 სექტემბერს, ვ. ჭ-ს, როგორც ქარხნის განსაზღვრული რაოდენობის აქციათა მესაკუთრეს (შემდეგში – მეორე გამყიდველი) და მოპასუხეს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი – აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №-...), რომლის საფუძველზე, ქარხნის აქციათა მესაკუთრემ მოპასუხეს მიჰყიდა ქარხნის 1775222 აქცია, რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 25.817881%-ს (შემდეგში – ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულება). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი, სულ ნასყიდობის საგნის – 1775222 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1775222 აშშ დოლარი. ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა 1 100

000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. ნასყიდობის ფასი გადახდილი უნდა ყოფილიყო ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის (1 აშშ დოლარი = 1.4020 ლარს) შესაბამისად, რაც შეადგენს 1 542 200 ლარს. ნასყიდობის საფასური უნდა ჩარიცხულიყო მოსარჩელე კომპანიის მიერ ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 06 ნოემბრის დადგენილებით მოსარჩელე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამ დადგენილების მიხედვით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც იმავდროულად, არჩეული იქნა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, განიზრახა თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად ქარხანაში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ამავე ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ქარხნიდან დიდი ოდენობით თანხა გადაქაჩა მოსარჩელე კომპანიაში, სადაც 50%-იან წილზე საკუთრების უფლება გააჩნდა მის მეუღლეს – კომპანიის პირველ პარტნიორს. მოსარჩელე კომპანიის მიერ შესყიდული მომსახურების გაუნაღებლობის გამო, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უშუალო ჩარევითა და მითითებით, ბანკებიდან აღებული დიდი ოდენობით სესხებზე სარგებლისა და პირგასამტეხლოს სახით (სარგებლის 18%-იანი და პირგასამტეხლოს 0.12%-იანი განაკვეთიდან გამომდინარე) განეული დანახარჯებით ქარხანამ განიცადა ზიანი – 3 355 042 ლარი, მათ შორის, სარგებლის სახით 990 408 ლარი და პირგასამტეხლოს სახით 2 364 634 ლარი.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის ბრძანებით ყადაღა დაედო ქ, თბილისში, ფ-ის ქ. №..., ბინა №...-ში მდებარე მოსარჩელე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით ყადაღა დაედო მისივე კუთვნილ 25%-იან წილს შპს „ნ-ში“.

13. მოსარჩელე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის 2008 წლის 28 ნოემბრის მოთხოვნის საფუძველზე, მას მიენიჭა ა-ის სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის დამადასტურებელი სტატუსი.

14. პირველმა კომპანიამ აღძრული სარჩელით მოპასუხის მი-

მართ მოითხოვა ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №-...) ბათილად ცნობა და აქციების აღრიცხვა მოსარჩელე კომპანიის სახელზე (იხ., შუამდგომლობა სარჩელის მოთხოვნის დაზუსტების შესახებ; იხ., ამ განჩინების – 9).

15. სარჩელი ეფუძნება ამ განჩინების პპ: 1-12-ში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

16. იმავდროულად, მოსარჩელემ განმარტა, რომ აქციათა ნასყიდობის პირველი ხელშეკრულების დადების შემდეგ, აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%-ზე (ნასყიდობის საგანი) საკუთრების უფლება მოიპოვა მოსარჩელე კომპანიამ (იხ., ამ განჩინების პ-3), ხოლო დარჩენილი აქციები საკუთრებაში რჩებოდა ამავე ქარხნის თანამშრომლებს, მათ შორის, ქარხნის აქციების დაახლოებით 47% ეკუთვნოდა მოპასუხეს. 2006 წლის 25 იანვრიდან ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა პირი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა მოსარჩელე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და სხვა პარტნიორებზე განხორციელებული ზენოლის შედეგად, მოსარჩელე კომპანიამ თავის საკუთრებაში არსებული ქარხნის აქციები საკუთრებაში გადასცა ქარხნის სხვა აქციების მესაკუთრეს – მოპასუხეს.

17. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ ვინაიდან ქარხნის ძირითადი საქმიანობა იყო ე-ების შეკეთება და მშენებლობა, მისი უმთავრესი დამკვეთი იყო სახელმწიფო საწარმო – შპს „ს-ა“, რომელთანაც, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელი საწარმოს მხრიდან ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას, მხარეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მოთხოვნით სარჩელიც აღიძრა სამართლოში (იხ., ამ განჩინების პ-4), თუმცა, სარჩელი განხორციელებული ზენოლის შედეგად ქარხანამ უკან გამოხმო. ზენოლა გამოიხატა კომპანიის დირექტორის, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორის დაპატიმრების მუქარაში. პარალელულად, ზენოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, გაცა ბრძანება მოსარჩელე კომპანიასა და ქარხანაში საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების დედნების, კომპიუტერების პროცესორების და ა.შ. ამოღების მოთხოვნით, იმის მიუხედავად, რომ შედგენილი იქნა ქარხნის პრივატიზაციის საკითხების სისწორის და საგადასახადო შემომწების შესახებ არაერთი აქტი (იხ., ამ განჩინების პპ: 5-8, 11).

18. მოსარჩელის მოსაზრებით, მითითებული ქმედება მიმართუ-

ლი იყო კომპანიის ფუნქციონირების შეფერხებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის დამძიმებისკენ. განხორციელებული ზეწოლის მიზანს კი, წარმოადგენდა მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული ქარხნის აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%-ის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც იმავდროულად, იყო ქარხნის დაახლოებით 47% აქციების მესაკუთრე.

19. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნულ მოვლენებამდე, ოფშორულ კომპანია „C...“-ს წარმომადგენელს საქართველოში – მეორე გამყიდველს, გარკვეული ინვესტიციის, უფრო ზუსტად – სესხის სანაცვლოდ გადაეცა ქარხნის აქციების 25.8%, იმ პირობით, რომ თანხის დაბრუნების შემდეგ აღნიშნული აქციები ისევ უნდა დაბრუნებოდა მესაკუთრეს – მოსარჩელე კომპანიას. 2008 წლის სექტემბრისთვის მოსარჩელე კომპანიას C...“-ს წარმომადგენლის მიმართ შესრულებული ჰქონდა ნაკისრი ვალდებულება. შესაბამისად, მეორე გამყიდველი ვალდებული იყო დაებრუნებინა მისთვის დროებით საკუთრებაში გადაცემული ქარხნის აქციები. თუმცა, ეს პროცესი ობიექტური მიზეზების გამო, დროში გაჭიანურდა. შესაბამისად, 2008 წლის 17 სექტემბრისთვის (იხ., ამ განჩინების 3-10), აქციების 25.8%-ის მესაკუთრედ, რეესტრში რეგისტრირებული კვლავ რჩებოდა კომპანია C...“-ს წარმომადგენელი – მეორე გამყიდველი. ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №... გაფორმების დღეს (იხ., ამ განჩინების 3-10) ფინანსური პოლიციის შეიარაღებულმა, ნილბიანმა თანამშრომლებმა მოსარჩელე კომპანიისა და იმავდროულად, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, და ქარხნის იურიდიული სამსახურის უფროსი მიიყვანეს სანოტარო ბიუროში, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მოპასუხე, აქციათა რეგისტრატორი და რამდენიმე შეიარაღებული პირი. ამავე სანოტარო ბიუროში, ძალის გამოყენებით მიყვანილი იქნა მეორე გამყიდველი, რომელსაც აიძულეს ხელი მოეწერა ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებაზე (რეგისტრაციის №-...). შესაბამისად, მოსარჩელის განმარტებით აქციათა ნასყიდობის მეორე (რეგისტრაციის №-...) და მესამე (რეგისტრაციის №-...) ხელშეკრულებები გაფორმდა ძალადობრივი მოქმედებების შედეგად.

20. 2008 წლის 06 ნოემბრის სასამართლო დადგენილებით, პირველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც იმ დროისთვის იყოფებოდა საზღვარგარეთ და არ დაემორჩილა მითითებას ჩამოსულიყო საქართველოში დარჩენილი საქმეების მოსაგვარებლად, აბსურდული ბრალდებით, მიეცა პასუხისგებაში, ყადაღა დაედო მის სახელზე რეგისტრირებულ ქონებას. ბრალის წაყენების შემდეგ, მან ა-ში მოითხოვა პოლიტიკური თავშე-

საფარი.

21. აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №-...) ბათილად ცნობისა და აქციების მოსარჩელე კომპანიის სახელზე აღრიცხვის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის მიმართ (იხ., ამ განჩინების პ-14) მოპასუხემ წარმოადგინა, როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მოთხოვნის განხორციელების შემთხვევითი შესაგებელი, სახელდობრ, მოპასუხემ სადავოდ გახადა ძალადობის ფაქტები რელევანტურ მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის საფუძველით. იმავდროულად, განსახილველ დავასთან შეუსაბამო გარემოებად მიიჩნია პირველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

22. ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ პირველი კომპანიის მიერ ქარხნის აქციების მფლობელობის პერიოდში, ქარხანაში არაერთხელ ჰქონდა ადგილი ქარხნისთვის განზრახ, სერიოზული, ფინანსური ზიანის მიყენების ფაქტს. ამ პერიოდში, ქარხნის მიერ საქართველოში არსებული თითქმის ყველა ბანკიდან აღებულ იქნა რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის კრედიტი, რომელთა დასაფარად არათუ არავითარ ღონისძიებას არ ატარებდა ქარხნის მანდინელი ხელმძღვანელობა, არამედ, ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც ბანკები აგზავნიდნენ მიმდინარე პროცენტზე მოთხოვნის წერილებს და ემუქრებოდნენ სასამართლოსთვის მიმართვით, ქარხნის სალაროდან გატანილ იქნა 6 000 000 ლარზე მეტი ოდენობის თანხა. ამის გამო, ქარხანამ სასამართლოსაც მიმართა პირველი კომპანიისათვის 28 000 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. გარდა ამისა, 2013 წელს შემოსავლების სამსახურმა, 9 მილიონ ლარზე მეტით დააჯარიმა ქარხანა, იმ პერიოდზე არსებულ ფინანსური ტრანზაქციებისთვის, რა დროსაც, ქარხანას მართავდა მოსარჩელე კომპანია.

23. შესაგებლით აგრეთვე იქნა უარყოფილი შპს „ს-ის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. მოპასუხემ განმარტა, რომ 2006-2008 წლებში მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა სრულად იღებდა შპს „ს-ისგან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების სანაცვლო ანაზღაურებას, ქარხანა ვერ უზრუნველყოფდა კონტრაგენტის მიმართ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

24. სადავო ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობის გამომრიცხავ შედეგებაში მოპასუხემ იძულების ფაქტის გამომრიცხავ გარემოებად დაასახელა გადახდილი ნასყიდობის საფასურის შესაბამისობა, ნასყიდობის დროისათვის, ქარხნის აქციების საბაზრო ღი-

რებულებასთან.

25. მოთხოვნის მუდმივად შემაფერხებელი შედეგებით კი, მოპასუხემ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია, იმ დასაბუთებით, რომ თუკი ადგილი ჰქონდა მუქარასა და იძულებას, ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო სადავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან – 2008 წლის 17 სექტემბრიდან, სარჩელი კი, სასამართლოში აღიძრა 2014 წელს [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 85-ე, 86-ე და 89-ე მუხლები]. ამასთან, ხანდაზმულობის დენა შეჩერებული ან შეწყვეტილი არ ყოფილა [სსკ-ის 132-ე, 135-ე, 136-ე, 139-ე] .

26. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით კომპანიის სარჩელი (იხ., ამ განჩინების პ-14) ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №-...) ბათილად ცნობისა და აქციების კომპანიის სახელზე აღრიცხვის შესახებ დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი კომპანიასა და მოპასუხეს შორის დადებული ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №-...) და მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქარხნის აქციების 25.817895% -ის მესაკუთრედ აღირიცხა კომპანია. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაეა სამართლებრივად მოაწესრიგა სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის იძულება, ნების სანინაალმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას. სასამართლომ წარმოშობილად მიიჩნია ა) მოსარჩელის წინააღმდეგ მესამე პირების მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება – უპირობოდ დაცული ფასეულობის, საკუთრების უფლების ხელყოფა; ბ) ბრალეულობა – მოპასუხემ შეგნებულად, სადავო გარიგების გაცნობიერებულად დადებით, ხელი შეუწყო მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხელყოფას; გ) ზიანი – მესაკუთრემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, დაკარგა აქციებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლება; დ) მიზეზ-შედეგობრიობა – მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი გამომწვეულია მოპასუხის ქმედების შედეგად.

27. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ.

28. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №-...) ბათილად ცნობისა და აქციების კომპანიის სახელზე აღრიცხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა (იხ., ამ განჩინების პ-14).

29. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ამ განჩინების პ-9-ში მითითებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები. იმავდროულად, დადგენილად მიიჩნია, რომ ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით მყიდველს გამყიდველისათვის ნასყიდობის ფასი სრულად უნდა გადაეხადა სანოტარო აქტის დამონმებისთანავე. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველს უფლება გააჩნდა მოეთხოვა და მიეღო საურავი გადასახდელი ნასყიდობის ფასის ნოლი მთელი და ერთი მეათედი პროცენტის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება მიაღწევდა ხუთ საბანკო დღეს, გამყიდველს უფლება ჰქონდა მოეთხოვა წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი).

30. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის (იხ., ამ განჩინების პ-14) სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 54-ე მუხლები. მითითებულ ნორმათა წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევა მოსარჩელის მოსაზრებით გამოიხატა იმაში, რომ სადავო ხელშეკრულების დადების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის სასარგებლოდ განხორციელდა იძულება.

31. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა ორ საკითხზე: პირველი, დაიცვა თუ არა მოსარჩელემ სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი იძულებით დადებული საცილო გარიგებებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული შეცილების ვადა [დისპოზიცია: იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან] და მეორეც, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის სასარგებლოდ იძულებას სადავო გარიგების დადების მიზნით.

32. ამ მიმართულებით, სააპელაციო საჩივრის საფუძვლების შემონიშნების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩ-

ნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

33. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2013 წლის 16 მაისს დარეგისტრირდა პირველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადება „გამოძიების დაწყების და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნის თაობაზე“, რომელიც 2013 წლის 12 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს. პირველმა კომპანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა 19.08.2014. წელს, რაც დაკმაყოფილდა 26.08.2014. წლის განჩინებით, ხოლო სარჩელი აღიძრა 05.09.2014 წელს.

34. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელეზე იძულების განხორციელების დასრულების თარიღად 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიჩნევის მართებულობის პირობებშიც კი, როგორც ეს მითითებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 6.6. პუნქტში, მოსარჩელემ არ დაიცვა სსკ-ის 89-ე მუხლით იძულებით დადებული საცილო გარიგებებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული შეცდომის ვადა.

35. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-2-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ 2008 წლის 23 აპრილს შედგა მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებელ-პარტნიორთა კრება (№1/2008 ოქმი), რომელზედაც: გაუქმდა სამეთვალყურეო საბჭო, გათავისუფლდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, მათ შორის, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პირველი და მეორე პარტნიორები, მეორე გამყიდველი და სხვა პირები. დამტკიცდა საზოგადოების წესდება ახალი რედაქციით. მიღებული გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა დაევალა პირველი კომპანიის დირექტორს (იხ., ამ განჩინების პ-2). კომპანიის წესდების 2008 წლის 23 აპრილის რედაქციის თანახმად (რეგისტრირებულია 2008 წლის 06 მაისს) ზემოხსენებულ შპს-ს არ გააჩნია სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო 9.2 მუხლის თანახმად კომპანიის მართვის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი, დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომდგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 2008 წლის 23 აპრილის წესდებით გათვალისწინებული არ არის. მასშადადამე, მოსარჩელე კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭო არსებობდა 2001 წლის 2 მაისიდან 2008 წლის 6 მაისამდე. შესა-

ბამისად, 2008 წლის 17 სექტემბერს პირველ კომპანიას და მოპასუხეს შორის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ 2013 წლის 16 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მისი განცხადების რეგისტრაციის მომენტისთვის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მოსარჩელე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვერ იქნებოდა ზემოაღნიშნულ საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის გამო.

36. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2013 წლის 28 ივნისისათვის კომპანიის დირექტორის უფლებამოსილებას ახორციელებდა დ. ა-ი (შემდეგში – კომპანიის დირექტორი).

37. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით და მიიჩნია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დირექტორი წარმოადგენდა კომპანიას ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტსა (2008 წლის 17 სექტემბერი) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განცხადების რეგისტრაციის დროისათვის (2013 წლის 16 მაისი). თუმცა, ის გარემოება, რომ ამ დროისათვის, კომპანიის ხელმძღვანელობასა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება აგრეთვე გააჩნდა ამავე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესაც, სააპელაციო სასამართლომ დაუდასტურებელ ფაქტად მიიჩნია, მტკიცებულებათა არარსებობის მოტივით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 6 მაისის შემდგომ პერიოდში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება ა. ს-ეს აღარ გააჩნდა და მისი ამ რანგში მოხსენიება, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაუსაბუთებელი იყო.

38. სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“, ხოლო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით“. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, კომპანიას დამოუკი-

დებელი საკუთრების უფლება გააჩნია საკუთარ ქონებაზე, რომელიც გამიჯნული იყო მისი პარტნიორების ქონებისგან. სააპელაციო სასამართლომ ამავე დასაბუთებით უარყო სააპელაციო შესაგებელში განვითარებული მსჯელობა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კომპანიის პირველ პარტნიორთან ქორწინებაში ყოფნა წარმოუშობდა რაიმე დამატებით უფლებამოსილებას.

39. სსკ-ის 1158-ე მუხლის [დისპოზიცია: მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უფლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი] ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არც მითითებული ნორმა ანიჭებდა კომპანიის პირველი პარტნიორის მეუღლეს პარტნიორის უფლებამოსილებას კომპანიის საქმიანობაში.

40. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიის პირველი პარტნიორის მეუღლეს, როგორც კომპანიის წილის თანამესაკუთრეს, მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ფარგლებში [სსკ-ის 1158-ე მუხლი] დაინტერესებულ პირს, გააჩნდა უფლება დაეცვა საკუთარი ინტერესები კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოების ქონების შენარჩუნების, საზოგადოების საქმიანობის შედეგად მოგების მიღების საკითხში, მაგრამ ეს არ ანიჭებდა მას უფლებამოსილებას კომპანიის ნაცვლად და კომპანიის ინტერესებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებას გარეშე [სსკ-ის 709-ე მუხლი] განეხორციელებინა აქტიური მოქმედება.

41. საქმის მასალებით დაუდასტურებელი იყო, რომ მოსარჩელე კომპანიამ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 1 წლის განმავლობაში მიმართა რომელიმე უფლებამოსილ ორგანოს მის საწინააღმდეგოდ მიმართული იძულების ფაქტთან დაკავშირებით, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართვამდე – 19.08.2014 წლამდე, უშუალოდ სარჩელი კი, სასამართლოს წარედგინა 05.09.2014 წელს.

42. ამასთან კომპანიას არ გამოუვლენია ნება და რაიმე ფორმით არ გამოუხატავს საკუთარი თანხმობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2013 წლის 16 მაისს რეგისტრირებულ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სახელით შეტანილ განცხადებასთან მიმართებით, ხოლო თავად კომპანიის სამეთვალყურეო

საბჭოს თავმჯდომარეს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 1 წლის განმავლობაში და შემდგომ პერიოდშიც არ მიუმართავს სასამართლოს-თვის მხარეთა შორის სადავოდ გამხდარი გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე. ამდენად, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სახელით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი 2013 წლის 16 მაისს განცხადებით მიმართვა სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა, როგორც კომპანიის მიერ იძულებით დადებული საცილო გარიგების შეცილება.

43. დაუდასტურებელი იყო კომპანიის დირექტორის, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და ემიგრაციაში არ იმყოფებოდა, ან კომპანიის რომელიმე პარტნიორის მიერ ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების რაიმე ფორმით სადავოდ ქცევა სამისოდ უფლებამოსილი ორგანოსადმი მიმართვის გზით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან კომპანიის მიერ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვის დღემდე – 19.08.2014წ.

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი სასამართლოს წარედგინა სსკ-ის 89-ე მუხლით განსაზღვრული იძულების დამთავრების მომენტიდან იძულებით დადებული საცილო გარიგებისთვის შეცილების ერთწლიანი ვადის დარღვევით.

45. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 3.2.1. პუნქტი) და მიიჩნია, რომ ჩვენებები წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი იყო, რაც სააპელაციო სასამართლოს აზრით, განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორით:

46. – კომპანიის მოწმეები გარკვეულწილად დაინტერესებულნი იყვნენ საქმის გადაწყვეტის შედეგით მხარესთან ნათესაური ან საქმიანი ურთიერთობის გამო ან მესამე პირებისგან ჰქონდათ შეტყობინება აქციების გადაფორმების შესახებ. კერძოდ: ერთ-ერთი მოწმე იყო კომპანიის მეორე პარტნიორი და ქარხნის ყოფილი გენერალური დირექტორის მეუღლე (იხ., ამ განჩინების პ-1).

47. – ა. ს-ე არის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და კომპანიის პირველი პარტნიორის მეუღლე (იხ., ამ განჩინების პ-1). იგი, 2005 წლის 1 ივლისს, იმავდროულად, გახდა ქარხანის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო 2006 წლის 25 იანვრიდან 2008 წლის 26 სექტემბრამდე პერიოდში თავმჯდომარეობდა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს.

– ი. კ-ი არის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის და იმავდროულად, კომპანიის პირველი პარტნიორის

მეუღლის ნათესავი.

– ბ. ნ-ი არის ქარხანის იურიდიული სამსახურის უფროსი 2005 წლის 28 ივნისიდან 2008 წლის 17 სექტემბრამდე ანუ ფაქტიურად კომპანიის მიერ ქარხნის აქციების შეძენის მომენტიდან აღნიშნული აქციების გასხვისებამდე პერიოდში.

– ა. ხ. – ქარხნის ტექნიკური დირექტორი 2006-2008 წლებში.

– გ. ყ-ი – კომპანიის დამფუძნებლები და ხელმძღვანელი პირები წარმოადგენდნენ მის კლიენტებს.

– ა. ს-ე – კომპანიაში მუშაობდა საბაჟო განყოფილების ექსპერტად 2003 წლიდან 2009 წლის დასაწყისამდე.

48. – ნ. ბ-ი – აქციების გადაფორმების პროცესს არ დასწრებია და აქციების გასხვისების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მეორე დღეს ბ. ნ-ისგან და ფინანსური მენეჯერი თ. გ-ესგან.

49. – რაც შეეხება მოპასუხის მოწმეებს, თავად მოპასუხე არის ვ. ა-ის სიმამრი, მ. დ-ესა და გ. რ-ს მოპასუხესთან ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს და 26.09.2008. წელს ქ-ის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სს-ის დირექტორად დაინიშნა გ. რ-ი.

50. – საქმეზე ასევე დაკითხული იყო ქარხნის აქციების მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამმონშებელი ნოტარიუსი თ. ზ-ე (შემდეგში – ნოტარიუსი). სახელმწიფოს მხრიდან იძულებაზე მითითებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების კომპლექსურობიდან გამომდინარე, პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას იყო თუ არა სადავო გარიგების მომზადებისა და დადების დროს ნოტარიუსი სახელმწიფოს მხრიდან იძულების ქვეშ და ხომ არ იცავდა იგი „მუნდირის ღირსებას“ თუნდაც, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, რასთან დაკავშირებითაც, სააპელაციო სასამართლო მივიდა უარყოფით დასკვნამდე. გარდა ამისა, ნოტარიუსის, როგორც ნეიტრალური მოწმის არსებობას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხაზს უსვამდა ის გარემოებაც, რომ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სახელდობრ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.06.2013 წლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნოტარიუსის სარჩელი და მოპასუხე დ. ბ.-ს დაევალა მის მიერ გაზეთ „ა-ში“ გამოქვეყნებული ნოტარიუსის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა. ამ გადაწყვეტილებით, ცილისწამებად და სინამდვილესთან შეუსაბამოდ შეფასდა გამოქვეყნებული ინფორმაცია (გაზეთი „ა.“, 18-22 ოქტომბერი, 2012წ.), თითქოს ნოტარიუსმა დაამონშა მუქარით დადებული რამდენიმე ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია

შესული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 აპრილის განჩინება).

– განსახილველ დავაში კი, ნოტარიუსმა ჩვენება მისცა ქარხნის აქციათა მეორე და მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებების მომზადებასა და დადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ. ნოტარიუსის ჩვენების შინაარსი კი, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გასაჩივრებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებულად შეფასების საფუძველს იძლეოდა.

51. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო იძულების საკითხზე მსჯელობისას, უტყუარი მტკიცებულებები იყო საქმეში მატერიალური სახით არსებული დოკუმენტები და ნოტარიუსის ჩვენება.

52. სარჩელის ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენდა ამ განჩინების პპ:19-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მოსარჩელე კომპანია განმარტავდა, რომ ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №...) გაფორმების დღეს (იხ., ამ განჩინების პ-10) ფინანსური პოლიციის შეიარაღებულმა, ნილბიანმა თანამშრომლებმა მოსარჩელე კომპანიისა და იმავდროულად, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, და ქარხნის იურიდიული სამსახურის უფროსი მიიყვანეს სანოტარო ბიუროში, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მოპასუხე, აქციათა რეგისტრატორი და რამდენიმე შეიარაღებული პირი. ამავე სანოტარო ბიუროში, ძალის გამოყენებით მოიყვანილი იქნა მეორე გამყიდველი, რომელსაც აიძულეს ხელი მოეწერა ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებაზე (რეგისტრაციის №...). შესაბამისად, მოსარჩელის განმარტებით აქციათა ნასყიდობის მეორე (რეგისტრაციის №...) და მესამე (რეგისტრაციის №...) ხელშეკრულებები გაფორმდა ძალადობრივი მოქმედებების შედეგად. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატის დასკვნით, მეორე გამყიდველზე სახელმწიფოს მხრიდან იძულებას, მოპასუხის სასარგებლოდ აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით, ადგილი არ ჰქონია შემდეგ გარემოებათა გამო:

53. მეორე გამყიდველს ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №...) 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სადავოდ არ გაუხდია. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 19 დეკემბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მონმის დაკითხვის მოთხოვნის მოხსნის შესახებ და სასამართლოს სხდომაზე მონმის სახით აღარ დაიკითხა მეორე გამყიდველი. თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე დადასტურდა ნოტარიუსის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 06 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება, რომ ქარხნის აქციათა მესამე ნაყოფის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის (2008 წლის 17 სექტემბერი) მეორე გამყიდველი იყო საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის გ. ბ-ის (2008-2014 წლებში ანუ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდშიც) ახლო ნათესავი და ბიზნესმენი. ამასთან, მეორე გამყიდველის სახლში კარების შემტვრევის, ძალის გამოყენებით წამოყვანის და ა.შ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არ არსებობდა.

54. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია თბილისის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 6 ოქტომბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ნოტარიუსის ჩვენების შინაარსი, რომლის მიხედვით: 2008 წლის 17 სექტემბერს მეორე გამყიდველისაგან დაგვიანება არ გაკვირვებია, რადგან მისგან დაგვიანება პირველი შემთხვევა არ იყო, კერძოდ, ზემოხსენებულ მოვლენებამდე დაახლოებით 1 თვით ადრე ერთ-ერთმა ბანკმა მას სთხოვა ხელმოწერის დამონშევა და მან ტექსტი გაამზადა, მივიდა ბანკში, სადაც მეორე გამყიდველს ელოდნენ საათნახევარი, მაგრამ იგი არ მოვიდა, ხოლო როდესაც იკითხა, თუ რა წესი იყო საათნახევარი რომ ალოდინეს და ვინ იყო ეს პიროვნება, მას განუმარტეს რომ მეორე გამყიდველი იყო ბ-ის სიმამრი, რის შემდეგაც ნოტარიუსი აღარ დაელოდა მას და წავიდა. 2008 წლის 17 სექტემბერს მეორე გამყიდველი დაახლოებით 9 საათზე მივიდა სანოტარო ბიუროში, კარი გააღო, ჩვეულებრივად შემოვიდა, მოპასუხეს ხელი ჩამოართვა, პირზე კოცნით შეხვდნენ ერთმანეთს და მეორე გამყიდველი დაუჯდა მოპასუხეს პირდაპირ. აღმოჩნდა, რომ მეორე გამყიდველს არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მაშინ ელექტრონული ბაზები არ იყო და ნოტარიუსი მის პიროვნებას ვერ შეამოწმებდა, შესაბამისად, უთხრა, რომ პირადობის მოწმობის გარეშე ვერ დაამოწმებდა ხელმოწერას, რაზედაც მეორე გამყიდველმა თქვა, რომ დაურეკავდა ოჯახის წევრს და მოატანიებდა პირადობის მოწმობას. მან დარეკა სახლში, ამასობაში მხარეებმა გააგრძელეს კონტრაქტის კითხვა. მეორე გამყიდველმა ნოტარიუსის თანდასწრებით თავიდან ბოლომდე წაიკითხა კონტრაქტი და როცა კითხვა დაამთავრა, თქვა, დიახ ეს ისაა, რაზეც შევთანხმდით, მაგრამ მე ამ კონტრაქტზე არ მოვანერ ხელს, სანამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ დამიდასტურებს, რომ ამ კონტრაქტის გამო ჩემთან პრეტენზია არ ექნებაო. ნოტა-

რიუსმა განმარტა, რომ მას გაუკვირდა, რადგან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ იცნობდა, რომელიც არც პარტნიორი იყო კომპანიის, არც დირექტორი და არც აქციონერი და, საერთოდ, ამ საქმესთან შეხება არ ჰქონდა, რაზედაც მეორე გამყიდველმა უთხრა ნოტარიუსს, რომ შენ ვინ გეკითხება ამას, ჩვენი ურთიერთობები გვაქვს და ეს შენი საქმე არ არის, მთავარია ხელმოწერები დაამოწმო. ნოტარიუსმა შესთავაზა მეორე გამყიდველს, რომ თუ მისი საქმე არ იყო, კონტრაქტი როგორ უნდა გაემზადებინა პრეტენზიები აქვს თუ არა აქვს და ამიტომ მათ ადვოკატს ბ. ნ-ს შეედგინა ტექსტი და ის ხელმოწერებს დაამოწმებდა. ბ. ნ-ი დაჯდა ნოტარიუსის კომპიუტერთან, შეადგინა შეთანხმების ტექსტი, რომელზეც მოაწერეს ხელი მეორე გამყიდველმა, კომპანიის დირექტორმა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ. ნოტარიუსმა დაამოწმა ხელმოწერები. ბ. ნ-ის ახსნა-განმარტებით დასტურდება ზემოაღნიშნული შეთანხმების მის მიერ შედგენის ფაქტი. ზემოაღნიშნული შეთანხმების მიხედვით, „კომპანიას არ გააჩნია პრეტენზია მეორე გამყიდველთან, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ქარხანაში არსებული აქციების ყიდვა-გაყიდვასთან“. ხელისუფლების ცვლილების შემდგომ 2012 წელს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისგან და ბ. ნ-ისგან წამოვიდა ცილისწამება, რომელიც ჯ. ბ-მაც აიტაცა, ხოლო შემდეგ დ. ბ.-მა დაიწყო წერა. განცხადება, თითქოს მეორე გამყიდველი ტრუსიკ-მაიკით და ხელბორკილებში მოვიდა მის სანოტარო ბიუროში, სინამდვილეს არ შეეფერება. ცხადია, ზუსტად რა ტანსაცმელი ეცვა მეორე გამყიდველს ნოტარიუსს არ ახსოვს, მაგრამ არანაირი მაიკა, ტრუსი და ასე შემდეგ იგი მოსული არ იყო, იგი იყო ჩვეულებრივად ჩაცმული. ნოტარიუსთან ოთახში მაგიდა იმდაგვარად არის განთავსებული, რომ შემომსვლელის მხოლოდ ზედა ტანი ჩანს, ქვედა ტანს შემოსასვლელში მდგარი მაგიდა ფარავს, მაგრამ, რომ დაჯდა, ნამდვილად ტრუსი არ ყოფილა. მეორე გამყიდველს არანაირი ხელბორკილები არ ეკეთა და მას ორი პიროვნება მოყვა ნიღბების გარეშე და არა სპეცრაზმელების ტანსაცმელში ან ფორმაში, არამედ „პიჯაკები“ ეცვათ და იარაღი არ დაუნახავს ჰქონდათ თუ არა, რადგან გამოსაჩენად არ ჰქონიათ. ნოტარიუსმა გამოკითხა მეორე გამყიდველს მისი თანხლები პირების ვინაობა და მან ნოტარიუსს განუმარტა, რომ ეს მისი დაცვა იყო. ისინი კუთხეში დასხდნენ და ხმა არ ამოუღიათ მთელი პროცედურის განმავლობაში, თუმცა მერე ერთი წავიდა და მოუტანა მეორე გამყიდველს პირადობის მოწმობა. ნოტარიუსს არ გაკვირვებია რომ ბ-ის სიმამრი დაცვით მოვიდა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაახლოებით ერთი თვე იყო გასული. ნოტარი-

უსს მეორე გამყიდველის რაიმე ნერვიულობა არ შეუმჩნევია და არც მეორე გამყიდველსა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შორის ყოფილა მის სანოტარო ბიუროში რაიმე დაძაბულობა. არანაირი ნიღბიანები და ავტომატიანები მის სანოტარო ბიუროში არ ყოფილან და ამაზე საუბარი უბრალოდ სასაცილოა და არასერიოზული. კონტრაქტის ხელმოწერიდან მეორე დღეს ნოტარიუსს დაურეკა კომპანიის დირექტორმა და სთხოვა კონტრაქტების დამოწმებული ასლები, რომელთაც ერთვოდა დანართები დოკუმენტების სახით, კერძოდ: წერილები ეკონომიკის სამინისტროდან და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტები, რეესტრის ჩანაწერების მიხედვით, გაცემულ იქნა 19 სექტემბერს კომპანიის დირექტორზე, რომელსაც იძულებაზე არაფერი უთქვამს. ნოტარიუსის განმარტებით, იგი, ამ დროს, იყო ... პარტიის წევრი, რომელიც საკმაოდ დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან და მას ჰქონდა დებატები ნ-თან, ჟ-ასთან, ბ-ესთან, ბ-ასთან. მათ შორის, ტელევიზიით, ხოლო ბ. ნ-ი იყო ... პარტიის წევრი და შეეძლო რაიმე ეთქვა მისთვის, მაგალითად, არ დაამოწმო ეს გარიგება, ასეთი რამ ხდება და ბ. ნ-ს ამის საშუალება არაერთგზის ჰქონდა, მაგრამ აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. კომპანიის დირექტორი სადავოდ გამხდარი გარიგების პირობებთან დაკავშირებით ნოტარიუსთან მიდიოდა, ასევე, ბ. ნ-თან ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით ურთიერთობა, ასევე მხარეთა ადვოკატებთან და ისინი აძლევდნენ მითითებებს კონკრეტული მუხლების შინაარსთან დაკავშირებით. საბოლოოდ, რომ შეთანხმდა კონტრაქტის ტექსტი, მერე დაითქვა კონტრაქტზე ხელმოწერის დრო და დაიწყეს შესაბამისი დოკუმენტების შეგროვება. კონტრაქტის ხელმოწერისას იყვნენ მხოლოდ მხარეები და კონტრაქტის ხელმოწერის დღემდე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან შეხება ნოტარიუსს არ ჰქონია. სადავოდ გამხდარი გარიგების შედეგის პროცესში ნოტარიუსი მისი სანოტარო ბიუროდან არ გასულა ამის საჭიროების არარსებობის გამო, ხოლო მეორე გამყიდველისათვის მისი თანდასწრებით არავის დაურეკავს. პირველ კონტრაქტზე ხელმოწერის პროცედურა დასრულდა დაახლოებით 20 საათზე, რის შემდეგაც, მეორე გამყიდველს ელოდნენ დაახლოებით ერთი საათი. მეორე გამყიდველის ტელეფონის ნომერი ნოტარიუსს არ ჰქონდა და მას ვერ დაუკავშირდებოდა. მის სანოტარო ბიუროში არანაირი იარაღის ტრიალი და ავტომატები არ ყოფილა, სპეცრაზმი არ ყოფილა. კონტრაქტი მომზადდა ჩვეულებრივად, ყოველგვარი აჩქარების გარეშე. კონტრაქტის შესადგენად მას პ. ლ-ემ მიმართა, რომელიც იძულებით დადებულ გარიგებებთან, ქონების წართმევასთან არასდროს იყო კავშირში, ხოლო ბ. ნ-ი ოპოზიციონერი იყო და

გამორიცხული იყო იძულებით დადებულ გარიგებაში მონაწილეობა მიეღო. ნოტარიუსი ურთიერთობდა მხარეთა ადვოკატებთან და ორივე ადვოკატს ჰქონდა ნოტარიუსის ბიუროში პირადად ნოტარიუსთან ცალ-ცალკე ყოფნის საშუალება და მას, რომელიც საკუთარ ოპოზიციურ განწყობებს საჯაროდ გამოხატავდა იმ პერიოდში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და იმ ხელისუფლების წამყვან პირებთან დაპირისპირებას, თუ რაიმეს ეტყოდნენ, გამო-რიცხული იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ძალადობაში მონაწილეობა მიეღო, ვინაიდან მისთვის ეს მორალურად, მრწამ-სით მიუღებელია. სადავოდ გამხდარ ნასყიდობასთან დაკავშირე-ბით მის სანოტარო ბიუროში აბსოლუტურად არანაირ იძულებას ადგილი არ ჰქონია და არაფერი არ მომხდარა ისეთი, რაც მას სანო-ტარო მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველს მისცემდა. პ. ლ-ის პროფესიული რეპუტაციიდან გამომდინარე, ასე-ვე ბ. ნ-ის პოლიტიკური რეპუტაციიდან გამომდინარე მას არანაი-რი ეჭვი არ გასჩენია, რომ რაიმე ბინძურ საქმეში შეიძლება ყოფი-ლიყვნენ გარეულნი. ნოტარიუსის განმარტებით, წინა ხელისუფ-ლების დროს მას ერთ-ერთი გარიგების ნამდვილობაში ეჭვი შეეპა-რა, ვინაიდან ერთ-ერთი ქარხნის აქციების სახელმწიფოსთვის ჩუ-ქების გაფორმება უნდოდათ, რაზედაც ნოტარიუსმა უარი განუც-ხადა, ვინაიდან წარმოუდგენელი იყო სახელმწიფოსთვის ჩუქება, ხოლო სადავო შემთხვევაში, ნოტარიუსს ყველა პირობა ჰქონდა ეფიქრა, რომ ეს იყო რეალური გარიგება.

55. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კომ-პანიასა და C-...-ს შორის, რომელსაც წარმოადგენდა მეორე გამ-ყიდველი, დაიდო გარიგება, რომლის თანახმად, C-ს საკუთრებაში გამოსყიდვის უფლებით გადაეცა კომპანიის უძრავი ქონება C-ს წი-ნაშე არსებული 2 306 961,62 აშშ დოლარის ოდენობის დავალიანე-ბის დასაფარად, რომელიც გამომდინარეობდა C-სა და კომპანიის პირველ და მეორე პარტნიორს შორის 2006 წლის 27 იანვარს დადე-ბული „ვალის აღიარების, წილის გირავნობისა და მართვაში გადა-ცემის ხელშეკრულებიდან“.

56. ამ განჩინების პპ: 35-ში დადგენილია ფაქტობრივი გარემოე-ბები, რომ 2008 წლის 23 აპრილს შედგა მოსარჩელე კომპანიის დამ-ფუძნებელ-პარტნიორთა კრება (№1/2008 ოქმი), რომელზედაც: გა-უქმდა სამეთვალყურეო საბჭო, გათავისუფლდნენ სამეთვალყუ-რეო საბჭოს წევრები, მათ შორის, კომპანიის სამეთვალყურეო საბ-ჭოს თავმჯდომარე, პირველი და მეორე პარტნიორები, მეორე გამ-ყიდველი და სხვა პირები. დამტკიცდა საზოგადოების წესდება ახა-ლი რედაქციით. მიღებული გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა დაევალა პირველი კომპანიის დირექტორს. აღნიშნულიდან გამომ-

დინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მეორე გამყიდველს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მეუღლეს (კომპანიის პირველი პარტნიორი) შორის საქმიანი ურთიერთობის არსებობა და ერთ სანარმოში მუშაობის ფაქტი.

57. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ მეორე გამყიდველის მოთხოვნით შედგა ბ. ნ-ის მიერ შედგენილი შეთანხმების ტექსტი, რომელსაც ხელი მოაწერა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან იძულების შემთხვევაში მეორე გამყიდველი ამდაგვარი საკუთარი მოთხოვნების წამოყენებისა და მათი რეალიზების შესაძლებლობას არავინ მისცემდა იძულების განმახორციელებელი ორგანოს წინასწარი ნებართვის გარეშე, რის თაობაზეც საქმეში რაიმე მტკიცებულება არ მოიპოვება, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან იძულების განხორციელების შესახებ მოსარჩელის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების ნამდვილობასთან მიმართებით სამართლებრივი თვალსაზრისით ლოგიკას არის მოკლებული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ზემოხსენებულ შეთანხმების ტექსტზე ხელის მოწერის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი კომპანიის პირველი პარტნიორის მეუღლეა. სახელმწიფოს მხრიდან ინტერესის არსებობისა და იძულების განხორციელების პირობებში სწორედ პირველ პარტნიორს, რომელიც 2008 წლის 17 სექტემბერს ასევე იმყოფებოდა ნოტარიუსთან ბიუროში და ხელი მოაწერა თანხმობის ტექსტს, დირექტორის მიერ აქციების გასხვისების შესახებ, აიძულებდნენ მოეწერა ხელი შეთანხმების ტექსტზე, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით არც ზემოაღნიშნულის საჭიროება არსებობდა სადავოდ გამხდარი გარიგების ნამდვილობისათვის.

58. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენელმა მეორე გამყიდველის ნოტარიუსის ბიუროში მისვლის ფაქტის ირგვლივ 19.02.2018 წლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმარტა შემდეგი: სადავო გარიგების დადების დღეს, ნოტარიუსის ბიუროში შემოიყვანეს მეორე გამყიდველი. იარაღი შუბლზე არავის დაუდია. ეს თემა წინასწარ იყო დარეგულირებული და იარაღით არავინ არ ადგა თავზე, რათა ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა, ხოლო მეორე გამყიდველის ხელბორკილების და საცვლების თემა კი არის აღქმის საკითხი, ხელები უკან თუ უკავია ადამიანს და შეიძლება ხელბორკილები არ აქვს და ასე შედის ოთახში ორ თანმხლებ პირთან ერთად, შეიძლება აღქმა იყოს, რომ ხელბორკილები უკეთია, ხოლო ხელბორკილები ჰქონდა თუ არა საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს პიროვნება იძულებით მოიყ-

ვანეს. გარდა ამისა, შეიძლება ვიღაც იყო ნიღბით, ხოლო ვიღაც კი არა – ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, იქ იყო იძულება, იქ იყო სპეცრაზმი.

59. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შეუძლებელია მოწმეებს არ დაენახათ საცვლიანი და ხელბორკილებში მყოფი მეორე გამყიდველი. ასევე, ხელბორკილების მოხსნისა და გაკეთების პროცედურა მის მიერ დოკუმენტების ხელმოწერის დროს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენლის განმარტება იმის თაობაზე, რომ მეორე გამყიდველს ხელბორკილები ეკეთა ან არ ეკეთა, მთლიანობაში ეჭვქვეშ აყენებს მეორე გამყიდველზე იძულების განხორციელების გამომრიცხავ სხვა მტკიცებულებებთან ერთად იმ გარემოებას, რომ ფინანსური პოლიციის შეიარაღებული ნიღბიანი თანამშრომლების, სპეცრაზმელების მიერ ნოტარიუსის ბიუროში მეორე გამყიდველის იძულებით მოყვანისა და გარიგების იძულებით დადების ფაქტს.

60. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნოტარიუსის ჩვენებით, მას დოკუმენტის მომზადება სთხოვა პ. ლ-ემ, რომელსაც ადრეც იცნობდა. პ. ლ-ეს იცნობს და იგი იძულებით დადებულ გარიგებებში არასდროს იღებდა მონაწილეობას. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ორივე მხარის ადვოკატები, პ. ლ-ე და ბ. ნ-ი, რომელთაც ცალ-ცალკე მის ოფისში ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდათ. კონტრაქტზე მუშაობა გაგრძელდა დაახლოებით 10 დღე, 2 კვირა. იშვიათია, ასეთ რთულ გარიგებებს სწრაფად ამზადებდე და სწრაფად ამოწმებდე, როგორც წესი, დღეების განმავლობაში გრძელდება კონტრაქტის მომზადება. მხარეებს ერთ მუხლზე ჰქონდათ დავა, რომელმაც რამდენიმე დღე წაიღო, კერძოდ, რომ ქარხანას ჰქონდა დებიტორული დავალიანება და მყიდველი ითხოვდა, რომ, რასაც აუდიტორი დაადასტურებდა, იმ ვალებზე პრეტენზია არ ექნებოდა გამყიდველთან, მაგრამ თუ შემდგომში აღმოჩნდებოდა სხვა ვალები ამაზე ექნებოდა პრეტენზია და ეს არის კონტრაქტის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი და ეს იყო უთანხმოების ძირითადი მიზეზი, სხვა არაფერი. როდესაც მხარეები შეთანხმდნენ კონტრაქტის ტექსტზე, ნოტარიუსმა მხარეებს მოსთხოვა დოკუმენტების შეგროვება. ეს დოკუმენტები სხვადასხვა დღეს მიჰქონდათ ბ. ნ-ს და კომპანიის დირექტორს. მაგ: მოსარჩელე კომპანიამ წარმოადგინა ამონაწერი რეესტრიდან 15.09.2008 წელს, შემდეგ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერი წარმომადგენელია 16.09.2008 წელს, ეკონომიკის სამინისტროდან წარმოადგინეს თანხმობა წილის გასხვისებაზე 17.09.2008 წელს. ბ. ნ-ს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წერს წერილს ასევე 16 სექტემბერს.

როცა ყველა საბუთი შეიკრიბა, დათქვეს შეხვედრა 17 სექტემბერს და მოვიდა კომპანიის ორივე პატნიორი, სავარაუდოდ მათ ახლდათ კომპანიის დირექტორი. თანხმობის ტექსტი (კომპანიის პარტნიორებმა დირექტორს მისცეს აქციების გასხვისების თანხმობა) გამზადებული ჰქონდა, მათ მოაწერეს ხელი თანხმობას და წავიდნენ. სანოტარო ბიუროში ძალადობის მსგავსი არაფერი ყოფილა შემჩნეული. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი ნოტარიუსს არ ჰქონდა. 2008 წლის 17 სექტემბერს სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დადებისას სანოტარო ბიუროს გარეთ რა ხდებოდა, ნოტარიუსმა ნამდვილად არ იცის – არ დასჭირვებია და არ გასულა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სანოტარო ბიუროში სადავო გარიგების დადებისას ფინანსური პოლიციის შეიარაღებული ნიღბიანების, სპეცრაზმელების ყოფნის საკითხი არ არის სარწმუნო, ასევე იმიტომ, რომ, თუ აპელანტის მხარის გადმოცემით, სახელმწიფო იძულებას სხვადასხვა პირთა ოჯახის წევრებზე ფაქტიურად იმდაგვარად ახორციელებდა, რომ „მძევლების“ როლში ყავდათ ისინი, არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა სადავო გარიგების დადების დღეს, ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირების ფინანსური პოლიციის შეიარაღებული ნიღბიანების, სპეცრაზმელების მიერ სანოტარო ბიუროში იძულებით მიყვანა და შეიარაღებული ნიღბიანების, სპეცრაზმის სანოტარო ბიუროში ყოფნა.

61. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 04.10.2005. წლისა და 22.11.2005. წლის წერილების თანახმად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ იყო წინააღმდეგი კომპანიის მიერ ქარხნის აქციათა პაკეტის 15%, 10% და 1% (მთლიანობაში 26%) გასხვისებული ყოფილიყო მეორე მყიდველზე, იმ პირობით, თუ მყიდველი იკისრებდა ვალდებულებას შესრულებინა კომპანიასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2005 წლის 28 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მის მიერ შესყიდული წილის შესაბამისად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2008 წლის 17 სექტემბერს კომპანიისთვის გაგზავნილი წერილის მიხედვით „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ იყო წინააღმდეგი გასხვისებული ყოფილიყო მეორე გამყიდველზე კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი ქარხნის აქციათა პაკეტი 25,817% (1 775 222 ცალი აქცია)“ იმ პირობით, თუ მყიდველის მიერ უზრუნველყოფილი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და კომპანიას შორის 2005 წლის 28 ივლისს დადებული ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების და პირობების

სრულად და ჯეროვნად შესრულება, რაზედაც სამინისტროში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხარეთა შორის გაფორმებული უფლებების დათმობის შესაბამისი ხელშეკრულება.

62. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.04.2015 წლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილი იქნა ბ. ნ-ის სარჩელზე, დავის საგანს წარმოადგენდა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა. მოწმის სახით დაკითხულმა ნოტარიუსმა განაცხადა, რომ მართალია ნილების გადაფორმება მოხდა სალამოს საათებში, თუმცა ეს გამონგვეული იყო გადატვირთული გრაფიკით, იძულებას ადგილი არ ჰქონია (06.10.2016. წლის სხდომის ოქმი, 14:33:17-15:23:14, ტრეკი 019, 19.02.2018. წლის სხდომის ოქმი 00:34:49-00:36:23).

63. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო გარიგების დადების დროისათვის ქარხანა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო და რეალურად არსებობდა აქციების გასხვისების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნოტარიუსის ჩვენებაზე, რომლის მიხედვით, სადავო გარიგების გაფორმების მომენტისთვის ქარხანა ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში იყო, კონტრაქტს თან ერთვოდა ქარხანის მეურვე ნ. ბ-ის მიერ გაცემული შეფასება კომპანიის 64 მილიონ ლარიანი დავალიანების შესახებ, ამიტომ აქციების ფასში ეჭვი არ შეპარვია. დებიტორული დავალიანების დიდი ნაწილი დაახლოებით 26 თუ 28 მილიონი ლარი მოსარჩელე კომპანიას ამოუღებადი დავალიანება იყო, რომელსაც აქციები ჰქონდა დაგირავებული 3 მილიონ დოლარად და რომელიც ყიდდა ამ აქციებს. ნასყიდობის ფასი კომერციულად საეჭვო არ იყო. თან საწარმო იყო გაკოტრების რეჟიმში ე.ი. არ ჰქონდა გადახდის საშუალება. ნოტარიუსი მივიდა სს ბანკ „რ-ში“, სადაც დაამონმა ბანკი „რ-ს“ თანხმობა აქციების გასხვისებაზე, ვინაიდან 25-25% აქციების პაკეტი იყო დაგირავებული სს ბანკ „რ-ში“ რამდენიმე მილიონი დოლარის სანაცვლოდ, საჭირო იყო ბანკის თანხმობა, რომელიც მან მიიღო ბანკი „რ-ას“ სათავო ოფისში.

64. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 16 სექტემბრის წერილით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კომპანიის კუთვნილ 1 775 223 ჩვეულებრივი სახის აქციაზე, რაც შეადგენს ქარხნის საწესდებო კაპიტალის 25.81789%-ს რეგისტრირებულია სს ბანკი „რ-ას“ გირავნობის უფლება.

65. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სახელზე შედგენილი ქარხნის მეურვის ნ. ბ-ის მოხსენებითი ბარათიდან სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩ-

ნია, რომ საზოგადოების მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანებების სრული მოცულობა 2008 წლის 19 მარტის მდგომარეობით შეადგენდა 58 021 510,95 ლარს და 2 491 043,00 აშშ დოლარს. 2008 წლის 1 ივნისს ქარხანასა და კომპანიას შორის გაფორმებული შედარების აქტის მიხედვით, კომპანიას ქარხნის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება – 19 355 064 ლარი. ამასთან, მხარეებმა დაადასტურეს, რომ 2007 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, ქარხანა იღებდა ვალდებულებას კომპანიის კრედიტორების წინაშე თანხით 9 375 914 ლარი. 2007 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის მიხედვით, ქარხნის მიერ გადახდილი თანხა გადახდის დღიდან ჩაითვლება კომპანიის სასარგებლოდ გაცემულ სესხად წლიური 13%-ის ფარგლებში. 2008 წლის 01 სექტემბრის შედარების აქტის მიხედვით კომპანიის დავალიანება ქარხნის მიმართ 2008 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენდა 28 000 000 ლარს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ქარხნის სარჩელი დაკმაყოფილდა და კომპანიას ქარხნის სასარგებლოდ დაეკისრა 28 000 000 ლარის გადახდა, რომელზეც 27.08.2012. წელს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

66. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ნოტარიუსის ჩვენების შინაარსი, რომლის თანახმადაც მეორე გამყიდველის დაგვიანების გამო, ხელშეკრულების ხელმოწერა არ გადაიდო, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას სანოტარო ბიუროში მყოფმა პირებმა უთხრეს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერას ვერ გადადებდნენ, რადგან, თუ დღეს ეს კონტრაქტი არ დამონმდებოდა, მაშინ ეს ფული არ გადაირიცხებოდა და ბანკებს აქციები შეიძლება გაეტანათ აუქციონზე, ამიტომ, ნოტარიუსი იძულებული გახდა დალოდებოდა მეორე გამყიდველის მოსვლას, რომელიც აგვიანებდა.

67. ქარხანის მძიმე ფინანსური მდგომარეობა დადასტურებულად იქნა მიჩნეული საქმეში წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებებითაც: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 18 თებერვალს გაცემული სააღსრულებო ფურცლით დადგენილია, რომ ქარხანას განმცხადებლის სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა 24 429 275.67 ლარის ოდენობით. ქარხნის 2008 წლის 13 მარტის წერილიდან სს „თ-ის“ მიმართ ირკვევა შემდეგი: „თქვენი 4/02/08 №356/106-02 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეისათვის ქარხანას აქტივებიდან და მოსალოდნელი შემოსავლებიდან გამომდინარე არ აქვს შესაძლებლობა დაფაროს უზრუნველყოფილი კრედიტო-

რების (მათ შორის, „თ-ის“) წინაშე ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებები“. 2008 წლის 14 მარტს სს „თ-მა“ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ქარხნის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე. აღნიშნული განცხადება 2008 წლის 19 მარტს მიღებულ იქნა წარმოებაში.

68. იმავდროულად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 28.03.2008 წელს განცხადებით მიმართა სს „ტ-მა“ მოთხოვნით მიეღო გადანყვეტილება სს „ტ-ის“, როგორც ქარხნის კრედიტორის მოთხოვნის აღიარებისა და მისი კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში ჩართვის შესახებ, ვინაიდან 2007 წლის 17 აგვისტოს სს „ტ-სა“ და ქარხანას შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება №-..., რომლის საფუძველზე ბანკსა და მოპასუხეს შორის დაიდო დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება №-..., რომლის შესაბამისადაც ქარხანამ მიიღო კრედიტი 6 158 650 ლარი, 12 თვის ვადით, წლიური 16%-იანი საპროცენტო განაკვეთით. ამავე განცხადებიდან ირკვევა, რომ სს „ტ-ის“ მიერ 2008 წლის 25 მარტს შეტანილი იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია ქარხნის წინააღმდეგ.

69. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 07.04.2008 წელს განცხადებით მიმართა სს „ს-მა“, რომლის თანახმად ქარხნის დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენდა 2 482 855 აშშ დოლარს, რის საფუძველზეც ბანკი ითხოვდა მისი მოთხოვნის გათვალისწინებას.

70. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 07.04.2008 წლის ბანკ „რ-ას“ განცხადებით, რომელიც წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, დასტურდება, რომ ქარხანას ჰქონდა ბანკ „რ-ას“ დავალიანება 12,285,426.96 ლარის ოდენობით და ბანკი სასამართლოსგან ითხოვდა მის წარმოებაში არსებულ სს „თ-ის“ განცხადების საფუძველზე ქარხნის მიმართ ვაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით, მის კრედიტორთა სიაში ჩართვას.

71. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ქარხნის მომრიგებელი საბჭოს 2008 წლის 07 ნოემბრის გადანყვეტილების საფუძველზე, დაიწყო ქარხნის მიმართ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეაბილიტაციის პროცედურები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია მოსარჩელე ადასტურებს ქარხნის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტს, თუმცა აღნიშნულს აბრალებს, მათ შორის, შპს „ს-ას“.

72. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 3-3-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ სწორედ ამ პერიოდიდან იყო შესაფასებელი კომპანიის ეფექტურობა ქარხანასთან მიმართებით. მოსარჩელის განმარტებით, რომ ვინაიდან ქარხნის ძირითადი საქმიანობა იყო ელექტროვაგონების შეკეთება და მშენებლობა, მისი უმთავრესი დამკვეთი იყო სახელმწიფო საწარმო – შპს „ს-ა“, რომელთანაც, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელი საწარმოს მხრიდან ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას, მხარეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა (იხ., სარჩელის საფუძვლები – ამ განჩინების 3-17). მოსარჩელის აღნიშნული პოზიციის საპირწონედ საქმეში წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ შპს „ს-ა“-ს მთელი რიგი საფუძვლიანი და წონადი ხასიათის პრეტენზიები ჰქონდა ქარხნის მიმართ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებასთან დაკავშირებით, რაც გამოირიცხავს ამ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მოვლენათა განვითარების სისწორესა და მისი მსჯელობის მართებულობას, კერძოდ: 2005 წლის 17 ოქტომბრის წერილით შპს „ს-ა“-მ მოითხოვა ქარხნისაგან 40 ვაგონ ცისტერნისა და 35 ცალი ნახევარ-ვაგონის შეკეთება და 320 თელისა და 107 გოგორწყვილის დაბრუნება შეკეთებულ მდგომარეობაში. 2005 წლის 22 დეკემბრის წერილის მიხედვით, შპს „ს-ის“ მიერ ქარხანას გადაერიცხა 1 067 936 ლარი, მათ შორის, ავანსის სახით 717 600 ლარი, მაგრამ ქარხანამ ვერ უზრუნველყო გოგორწყვილების სრული ოდენობის საქარხნო შეკეთება. ქარხანას უნდა კაპიტალურად შეეკეთებინა 50 ცისტერნა და 50 ნახევარვაგონი, რასთან დაკავშირებითაც მას გადაერიცხა 815 302 ლარი, მაგრამ მან ამჯერადაც დაარღვია ნაკისრი ვალდებულება – შეკეთდა მხოლოდ 10 ცისტერნა და 15 ნახევარვაგონი, მან ასევე დაარღვია 30 ერთეული მოძრავი შემადგენლობის შეკეთების ვალდებულება – შეაკეთა მხოლოდ 25; ასევე 62 მოძრავი შემადგენლობის შეკეთების ნაცვლად შეაკეთა 55, ასევე 25 მოძრავი შემადგენლობის შეკეთების ნაცვლად შეაკეთა მხოლოდ 2 და, იმ შემთხვევაში, თუ ქარხანა 2005 წლის 31 დეკემბრამდე არ უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებას, შპს „ს-ა“ მიმართავდა სასამართლოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

73. 2006 წლის 11 იანვრის წერილის თანახმად, 2001 წლიდან ქარხნის ტერიტორიაზე იმყოფება შპს „ს-ის“ კუთვნილი 33 სატვირთო ნახევარვაგონი და 1 ვაგონ ცისტერნა, ასევე, სხვადასხვა ტიპის 39 სამგზავრო ვაგონი, რომელთა კომისიური წესით დათვალიერების

შემდეგ დადგინდა, რომ სატვირთო ვაგონებზე მოხსნილია მნიშვნელოვანი დეტალები; ერთ-ერთი ვაგონი შემდგომი ექსპლუატაციისთვის უვარგისია, ხოლო სამგზავრო ვაგონებზე სხვადასხვა ოდენობით ასევე მოხსნილი და დაშლილია ვაგონის ცალკეული დეტალები და კვანძები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქარხანამ ფაქტიურად ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რამაც უკიდურესად გაართულა როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო გადაზიდვებისთვის საქართველოს რკინიგზის უზრუნველყოფა სალი ვაგონებით. აქედან გამომდინარე, უარყოფითი ფინანსური შედეგებით და, ამასთან ერთად, ქარხნის წარმომადგენლებმა ერთობლივი შემონმების აქტის ხელმოწერაზე არამოტივირებული უარი განაცხადეს. 2006 წლის 18 იანვრის წერილით შპს „ს-ა“ მოითხოვდა ქარხნისაგან 356 ბორბლის და 95 ცალი წყვილთვლის ლერძის დაბრუნებას მიღება-ჩაბარების აქტით და მათ გაგზავნას თბილისის სავაგონო დეპოს დანიშნულებით; 2006 წლის 30 იანვრის წერილით შპს „ს-ა“ ითხოვდა ქარხნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მისთვის 34 სატვირთო ვაგონის და ე-ი სექციის 8 ვაგონის დაბრუნებას; 2006 წლის 7 თებერვლის წერილიდან ირკვევა, რომ ქარხნის აქციონერების მიერ შპს „ს-ას“ და სხვა დამკვეთების მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ქარხნის გენერალური დირექტორი და პირველი მოადგილე, გადახალისდა მართვის რამოდენიმე რგოლი, მოხდა რკინიგზის სარემონტო ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების სრულყოფილი აღწერა და ჩამოყალიბდა მუშაობის კონკრეტული გეგმა. 2006 წლის 10 თებერვლის წერილით შპს „ს-ამ“ აცნობა ქარხანას, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, მისი სატენდერო წინადადება არ ჩაითვა მისაღებად, არ დაუშვა შეფასებისთვის სატენდერო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო და მიუთითა, რომ ქარხანასთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ქარხნის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შპს „ს-ა“-ს დიდი მატერიალური ზიანი ადგება. 2006 წლის 27 მარტის წერილის თანახმად, ქარხანას შეთანხმებული გრაფიკით არ აღუდგენია და არ დაუბრუნებია შესაკეთებლად მინოდებული და ქარხნის ტერიტორიაზე მყოფი 34 სატვირთო ვაგონი და არც ვაგონების აღდგენისა და დაბრუნების გრაფიკი დღემდე არ იყო წარმოდგენილი, ს-ას არ ჰქონდა დაგეგმილი მიმდინარე წელს სატვირთო და სამგზავრო ვაგონების შეკეთება, მიუხედავად ამისა, 22 მარტს გამოშვებული იქნა კაპიტალური შეკეთებით სამი ნახევარვაგონი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს-ა ითხოვდა ყველა სატვირთო ვაგონის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას და შპს

„ს-ა“-ს ქარხნის ტერიტორიაზე დაბრუნებას; 2006 წლის 31 ივლისის წერილის მიხედვით, ქარხანაში გარემონტებულ ვაგონებზე, რომლებიც მოძრაობს თბილისი-მოსკოვის რეისზე, გამოვლინდა მთელი რიგი ტექნიკური უნესრიგობები, რის გამოც, შემკვეთი ითხოვდა ზემოაღნიშნული დარღვევების გათვალისწინებას და შესაბამისი ზომების მიღებას ვაგონების ხარისხიანი მაკომპლექტებული მასალებით დაკომპლექტებისთვის და შეკეთების ხარისხის გამოსასწორებლად. 2006 წლის 29 აგვისტოს წერილიდან ირკვევა, რომ ქარხნიდან გეგმიური შეკეთებით გამოსული ვაგონების გარკვეული რაოდენობა, მათ შორის, თ-ის მარშუტზე მოძრავი ვაგონები ტექნიკური მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდნენ საექსპლუატაციო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, რის შესახებაც მიღებული იქნა არაერთი წერილობითი შეტყობინება რუსეთის ფედერაციის გზებიდან და აღნიშნულის საფუძველზე შპს „ს-ა“ ითხოვდა ვაგონების შეკეთების ხარისხის გაუმჯობესებას და ვაგონების გამოშვების განხორციელებას საცდელი გარბენის ჩატარების შემდგომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაგონები დაბრუნებული იქნებოდა ქარხანაში განმეორებით შეკეთებაზე სათანადო რეკლამაციითა და საჯარიმო სანქციების წარმოდგენით. 2007 წლის 10 სექტემბრის წერილის მიხედვით ქარხანა აღიარებს, რომ მან ვერ მოახერხა ხელშეკრულება შს/ 07-216 დროულად შესრულება, რის გამოც მას დაერიცხა ჯარიმა (იხ., 2007 წლის 10 სექტემბრის წერილი).

74. ყოველივე ზემოაღნიშნულის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2005 წლის 1 ივლისიდან იყვნენ ა. ს-ე, ვ. ა-ე და ზ. კ-ე, ხოლო 2005 წლის 14 სექტემბრიდან ა. ს-ე, ბ. ნ-ი და ზ. კ-ე. 2006 წლის 25 იანვარს ა. ს-ე არჩეულ იქნა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ და ამ თანამდებობას ინარჩუნებდა 26.09.2008-მდე. ქარხნის 2007 წლის 17 იანვრის კრების ოქმის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან ა. ს-ე, ბ. ნ-ი და ქ. ც-ე და ამავე სხდომაზე ქარხნის გენერალურ დირექტორად დაინიშნა მ. დ-ე, რომელიც აღნიშნულ თანამდებობას ინარჩუნებდა 2008 წლის 11 ივლისამდე. საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით მ. დ-ე და კომპანიის მეორე პარტნიორი არიან მეუღლეები. კომპანიის პირველი პარტნიორის მეუღლეა ა. ს-ე. ამდენად, კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი – მეორე პარტნიორი და ასევე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2008 წლის 23 აპრილამდე ა. ს-ე იყვნენ რა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოში 2005-2008 წლებში, ჰქონდათ ხელში სანარმოს მართვის რეალური ბერკეტი, განსაკუთრებით 2007

ნლის 17 იანვრიდან ანუ კომპანიის მეორე პარტნიორის მეუღლის მ. დ-ის ქარხნის გენერალურ დირექტორად დანიშვნის შემდგომ, და სწორედ მათზე იყო დიდწილად და რეალურად დამოკიდებული საწარმოს ეფექტური საქმიანობა.

75. ქარხანასა და შპს „ს-ა“-ს შორის 2008 წლის 21 თებერვალს გაფორმებული შეთანხმებით №001 „ვალის აღიარებისა და გადახდის შესახებ“ ქარხანა აღიარებს ფულად დავალიანებას შპს „ს-ის“ სასარგებლოდ 13 072 755 მილიონი ლარის ოდენობით, სადაც 4 998 365 მილიონი ლარი შეადგენს პირგასამტეხლოს, 4 000 000 ლარი მიუღებელ სარგებელს და ავანსი 4 074 390 ლარს. ამასთან, ქარხნის მიერ ფაქტიურად აღიარებულ იქნა დავალიანების წარმოშობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მთელი რიგი ხელშეკრულებებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო. შპს „ს-ამ“ 2008 წლის 11 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სახელზე შედგენილი განცხადებით მოითხოვა გადახდის ბრძანების მიღება და ქარხნისათვის 2008 წლის 21 თებერვლის შეთანხმებით აღიარებული დავალიანების 13 072 755 ლარის შპს „ს-ისათვის“ ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან ქარხანა არ ასრულებს 2008 წლის 21 თებერვლის შეთანხმების პირობებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ შპს „ს-ის“ განცხადება დააკმაყოფილა და 2008 წლის 17 მარტს გამოსცა გადახდის ბრძანება. ქარხანას 2008 წლის 17 მარტის განცხადების მიხედვით, საწარმო სრულად აღიარებდა, ეთანხმებოდა და არ ასაჩივრებდა ზემოხსენებულ გადახდის ბრძანებას მისთვის 13 072 755 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, ხოლო 2008 წლის 18 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

76. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ს-ა“ განზრახ თავს არიდებდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას (იხ., ამ განჩინების პ-17). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მათ შორის ურთიერთობის გართულება, პირიქით, ქარხნის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების შედეგია და ამ თვალსაზრისით, 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის ერთ-ერთ საფუძვლად შპს „ს-ის“ მხრიდან ქარხნისათვის თანხის გადაუხდელობაზე აპელირება, რომელიც, მოსარჩელის აზრით, ქარხნის წინააღმდეგ მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო, უარყოფილი იქნა.

77. მოსარჩელის განმარტებით, ქარხანამ სარჩელი აღძრა შპს „ს-ა“-ს წინააღმდეგ, თუმცა, სარჩელი კვლავ უკან გამოიხმო ამ განჩინების პპ: 4, 17-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გა-

მო, სააპელაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე, ასევე, სსსკ-ის 278 მუხლზე [დისპოზიცია: „იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით“] და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში შეუნარჩუნდა უფლება კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, რაც იძულების შემთხვევაში ალოგიკურია, ტოვებს რა შემდგომში სარჩელის ხელმეორედ აღძვრის შესაძლებლობას.

78. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული მუქარისა და იძულების პირობებში, როგორც ამაზე მიუთითებდა მოსარჩელე, იძულების ინტერესებს შეესაბამებოდა არა სარჩელის გამოხმობაზე იძულება, არამედ სარჩელზე უარის თქმაზე იძულება, რაც შემდგომში გამოირიცხავდა დავის განახლების შესაძლებლობას. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ხოლო სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ ქარხანა 2008 წლის 17 მარტის განცხადების გათვალისწინებით სრულად აღიარებდა, ეთანხმებოდა და არ ასაჩივრებდა გადახდის ბრძანებას მისთვის 13 072 755 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულების თაობაზე რაიმე დამაჯერებელი მოსაზრება ან მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. შესაბამისად, 2007 წლის 11 დეკემბერს სარჩელის სახელმწიფოს მხრიდან იძულების შედეგად გამოხმობის ნაწილში მოსარჩელის მსჯელობები უარყოფილი იქნა. რაც შეეხება აქციების ფასს, ქარხნის 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2008 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით (ყველა დებიტორის სრულად გათვალისწინებით) შეადგენს 5 230 653 ლარს, 25,817895%-ის წილის საბაზრო ღირებულება (ყველა დებიტორის სრულად გათვალისწინებით) შეადგენდა 1 350 444.50 ლარს, ხოლო უიმედო დებიტორების აქტივებიდან ამოღების შედეგად კომპანიას საბაზრო ღირებულება არ გააჩნია და ქარხნის 25,817895%-ის წილის საბაზრო ღირებულება

არის 0 ლარი.

79. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.07.2016 წლის დასკვნით (რომლის შეფასების საგანი იყო 2008 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით შესაბამებოდა თუ არა საბაზრო ღირებულებას წილის (აქციების) ნასყიდობის სანაცვლოდ გადახდილ თანხა) ირკვევა შემდეგი: მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლისა, დებიტორი კომპანიებიდან თანხების ამოღება ვერ ხერხდება, რადგან მათ არ გააჩნიათ არავითარი ქონება და საზოგადოებისთვის წარმოადგენენ უიმედო დებიტორებს. საქმეში არსებული მასალების, ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, დაშვებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით დადგენილია შემდეგი: ქარხნას 100%-იანი წმინდა საბალანსო აქტივის ღირებულება (აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა) უარყოფითია (-10643807), საზოგადოების 25,817895%-ის ღირებულება შეადგენს 1 350 444, 50 ლარს, სს-ის 100%-იანი წმინდა აქტივის ღირებულება (აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა) გადაფასებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების და უიმედო დებიტორების გათვალისწინებით უარყოფითია (-27209347), საზოგადოებას 2008 წელს დაუფიქსირდა ზარალი და საზოგადოების მიმართ დაინყო გაკოტრების საქმე, ამდენად აქციების ნასყიდობის შესახებ 2008 წლის 17 სექტემბრის სასაბაზრო აქტში საზოგადოების 25,817895%-ის აქციების ღირებულება შეადგენს 1 542 200 ლარს და მოდის შესაბამისობაში ამავე პერიოდის საბაზრო ფასებთან.

80. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2008 წლის 17 სექტემბერს კომპანიასა და მოპასუხეს შორის დაიდო აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლის თანახმად მოპასუხემ იყიდა 1 775 223 აქცია, რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 25,817895%-ს, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება არის 1(ერთი) აშშ დოლარი, ხოლო სულ ნასყიდობის საგნის – 1 775 223 აქციის, ნომინალური ღირებულებაა 1 775 223 აშშ დოლარი. ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა 1 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტ 1 542 200 ლარად. მოპასუხის მიერ მის მიერ ნაყიდი აქციების ღირებულება სრულად და დროულად იქნა გადახდილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქარხნის აქციებში, მოპასუხემ მისთვის მისაღები საბაზრო ღირებულება გადაიხადა, მიუხედავად სს-ის მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, რაც თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს მოსარჩელის მოსაზრებას მის მიმართ განხორციელებული იძულების თაობაზე, რომლის დროსაც, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო

არჩევნებამდე ქვეყანაში დამკვიდრებული იძულების განხორციელების პრაქტიკით დაზარალებულების მიერ ხდებოდა სახელმწიფოს ან მესამე პირების სასარგებლოდ ჩუქების ხელშეკრულების დადება ან საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასად ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. მოცემულ შემთხვევაში, ზემოსენებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ქარხნის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 4066 1550, 47 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 64149265,24 ლარს. საქმეზე წარმოდგენილი იქნა ორი ექსპერტიზის დასკვნა, ერთის მიხედვით ქარხნის 25, 817895%-ის წილის საბაზრო ღირებულება უიშედო დებიტორების აქტივებიდან ამოღების შედეგად არის 0 ლარი, ხოლო, მეორე დასკვნის მიხედვით აქციების ნასყიდობის შესახებ 2008 წლის 17 სექტემბრის სანოტარო აქტში საზოგადოების 25,817895%-ის აქციების ღირებულება შეადგენს 1 542 200 ლარს და მოდის შესაბამისობაში ამავე პერიოდის საბაზრო ფასებთან.

81. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან იძულების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა მყიდველისთვის ზემოსენებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული სანქციების დანესება, კერძოდ: „მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად უნდა გადაუხადოს წინამდებარე აქტის სანოტარო წესით დამონშებისთანავე, ხოლო გამყიდველმა უნდა მიიღოს ნასყიდობის ფასი. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს საურავი გადასახდელი ნასყიდობის ფასის ნოლი მთელი და ერთი მეათედი პროცენტის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება მიაღწევს ხუთ საბანკო დღეს, გამყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება“.

82. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხს წარმოადგენდა, შესაძლებელი იყო თუ არა არასამუშაო საათებში 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აქციათა ნასყიდობის ფასის გადახდა. ამ თვალსაზრისით, დადგენილი იქნა, რომ სს „თ-ის“ წერილების თანახმად „2008 წლიდან დიდი პერიოდის გასვლის გამო ვერ მოხერხდა მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება, ხოლო, ზოგადად, მ-ის ფილიალის გრაფიკია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-დან 20:00 საათამდე, შაბათს 10:00-დან 14:00 საათამდე“ (21.03.2016. წლის წერილი), „დამატებით მოხდა ინფორმაციის მოძიება, კერძოდ, 2008 წლის 11 აგვისტოდან 2008 წლის 18 აგვისტომდე მ-ის ფილიალი მუშაობდა 10:00-დან 18:00 საათამდე“ (23.03.2016. წლის წერილი). სს

„ე-ა“-ს წერილზე, შესაძლებელია თუ არა წინასწარი შეთანხმებით, არასამუშაო დროს, ერთ მილიონ აშშ დოლარიანი ან უფრო მეტი ოდენობის ფინანსური ტრანზაქციის განხორციელება, კერძოდ, სს „თ-ის“ მ-ის ფილიალიდან (ბანკის სათაო ოფისი) სხვა ქართულ ბანკში თანხის გადარიცხვა, სს „თ-იდან“ 27.06.2016. წელს მიღებული იქნა პასუხი, რომლის მიხედვითაც „კორპორატიულ კლიენტთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში ბანკმა კლიენტის მომსახურება, განსახილველ შემთხვევაში, კლიენტის დავალების მიღება და თანხების გადარიცხვა, შესაძლებელია განახორციელოს ნებისმიერ დროს (მათ შორის, ისეთ საათებში, როდესაც ბანკი სტანდარტულად აღარ ახორციელებს კლიენტებისგან საგადასახადო დავალების მიღებას), თუკი დავალების შესრულება ტექნიკურად შესაძლებელია (იგულისხმება ბანკის პროგრამული უზრუნველყოფა და/ან სსიპ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება)“.

83. მასასადამე, საქმის მასალებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ ბანკს მხარესთან შეთანხმებით შეეძლო დიდი ოდენობის ფულადი თანხების დღის ნებისმიერ დროს გადარიცხვა და სახელმწიფოს მხრიდან ბანკის იძულება ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროებას არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან სს „თ-ის“ იძულების დამადასტურებელი მტკიცებულება, მომსახურებოდა 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების საფუძველზე ფულად გადარიცხვას, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

84. მოსარჩელის და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის განმარტებით, 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე საქმიანი ვიზიტით გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც მას ტელეფონით დაუკავშირდა ფინანსური პოლიციის იმჟამინდელი უფროსი, მოსთხოვა საქართველოში დაბრუნება და დაბრუნებისთანავე ფინანსურ პოლიციაში გამოცხადება, ვინაიდან მისი განმარტებით „კიდევ რალაცეები იყო დასრულებელი“. აღნიშნულის შემდეგ იგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა, ხოლო 2008 წლის 06 ნოემბერს იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში და მის სახელზე რეგისტრირებულ ქონებას დაედო ყადაღა. ბრალის წაყენების შემდეგ, 2008 წლის 28 ნოემბერს სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარემ ა-ის რ-აში მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი, რაც დაკმაყოფილდა. ა-ის რ-აში 2008 წლის 28 ნოემბერს პოლიციაში პირველადი დაკითხვისას თავშესაფრის საკითხთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საქართველო დატოვა პოლიტიკური აქტიურობის გამო, რომლის გამოც, იმჟამინდელი მთავ-

რობა დევნიდა, ემუქრებოდა და მისი, ასევე მისი ოჯახის წევრების სიცოცხლე საფრთხეშია, რადგან საქართველოში ბატონობს უკანონობა. ა-ის რ-ის ფედერალური თავშესაფრის მიმცემი უწყების 02.02.2012. წლის გადაწყვეტილების მიხედვით განაცხადზე საერთაშორისო მფარველობაზე, რომელიც დათარიღებულია 28.11.2008. წლით, პასუხი დადებითია და მას მიენიჭა თავშესაფრის დამადასტურებელი სტატუსი, საქართველოში ზოგადი მდგომარეობის შესახებ მოკვლევის საფუძველზე დასაბუთებული შიში დევნისადმი შესაძლებელია სარწმუნოდ და დამაჯერებლად იქნეს შეფასებული. 13.02.2009 წლის თავშესაფრის პროცესის ოქმის მიხედვით, მან განაცხადა, რომ მისი ა-ის რ-აში პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლობის მიზეზი გახდა მისი პოლიტიკური მდგომარეობა და მოღვაწეობა, საქართველოს მთავრობა არის ამერიკის მონა და ეს ურთიერთობა ამერიკასთან ანადგურებს საქართველოს, რის გამოც, საქართველომ დაკარგა მოსახლეობის 30 პროცენტი და ტერიტორია. ის არის პოლიტიკასთან ახლოს და იცის რა და როგორ ხდება, სწორედ ამიტომ არ მოითხოვა თავშესაფარი ჩ-ის რ-აში, რომელიც ამ საკითხებს საქართველოს ხელისუფლებას უთანხმებს და ამიტომ თავშესაფარს ჩ-ში არ მიიღებდა – მას საქართველოში ყველა პოლიტიკურ ხელმძღვანელთან ჰქონდა კონტაქტი და იცის რომ ეს ასე ხდება. მისი პარტიის – შრომის პარტიის შემთხვევაში, საქმე ეხება ანტიამერიკულ პარტიას, მათ არ უნდათ ნატოში და არ სურთ რომ ბ. წყვეტდეს საქართველოს ბედს. მან შრომითი პარტიიდან დაიკავა პარტიის ევროპული წარმომადგენლის თანამდებობა. ა-ის რ-ის ფედერალური თავშესაფრის უწყებისთვის 01.09.2009. წელს ა. ს-ის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, ს-ზე სამი თვის განმავლობაში პოლიტიკურად გაიმარჯვეს, ახლა სექტემბერში კვლავ სერიოზული დემონსტრაციები ჩაატარეს და მის წინააღმდეგ გაცემულია დაკავების ორდერი. ზოგადად ოპოზიციური მხარის ოჯახის წევრები საქართველოში საფრთხეში არიან, სულ პროვოკაციის მოლოდინში უნდა იყო. სანამ იგი გაემგზავრებოდა საზღვარგარეთ, სამჯერ ან ოთხჯერ მათთან სახლში მივიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნიღბიანი შეიარაღებული პირები, ასევე არსებობდა იმის საფრთხეც, რომ ქუჩაში მისი შვილისთვის ნარკოტიკი ჩაედოთ, რადგან ამ ნიღბიანებმა ჰკითხეს მის ვაჟს არ გეშინია ქუჩაში რომ დადიხარო? მისი განმარტებით, ამ უცნობი პირების მუქარის გარდა, რომლებიც სახლში მიუვარდნენ, სხვა ამგვარი შემთხვევა არ ყოფილა. ამჟამად ის არის შრომის პარტიაში ოფიციალური წარმომადგენელი ევროპასა და ეუთოში. საქართველოში ის შრომის პარტიას წარმოადგენდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და იგი შრომის პარტიის წევრია მისი დაარსების დღიდან. ა. ს-ის გადმოცემით, საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტრომ დანაშაულად ჩაუთვალა ის, რომ სანარმომ, რომლის აქციონერიც იყო, აიღო კრედიტი და გაისტუმრა რა პროცენტები ეს ზარალად იქნა მიჩნეული, თუმცა მას საკრედიტო შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია, ხოლო დანაშაული, რომელსაც ედავებიან სისხლის სამართლის კოდექსით არ არის გათვალისწინებული. ქარხნაში სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანიზაციებს წილი არ ჰქონდათ და სახელმწიფოს მათ ფირმასთან არანაირი საქმე არ აქვს, სახელმწიფომ კი, მის წინააღმდეგ განაცხადი გააკეთა მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, რადგან სახელმწიფოს შეემინდა, რომ მათ შეეძლოთ ხალხი, რომელიც მისი ფირმისთვის მუშაობს, დემონსტრაციებზე გამოეყვანათ, ის პარტიას აფინანსებდა და ამის ხელის შეშლაც უნდოდათ. სახელმწიფო ფიქრობდა, რომ ცუდია, როდესაც დიდი სანარმო ოპოზიციონერს ეკუთვნის, რომელიც მთავრობას მხარს არ უჭერს და რომელიც შავ ფულს მთავრობას არ უხდის. 2008 წლის სექტემბერში თ-ის მინისტრი იარაღით დაემუქრა და ასევე აიძულა ფირმის დირექტორი ფირმა სხვაზე გადაეფორმებინა, კერძოდ: მაშინდელმა თ-ის მინისტრმა შექმნა ფინანსური პოლიციელების ჯგუფი, მათ მოსარჩელე კომპანიის დირექტორს და ნოტარიუსს ხელბორკილები დაადეს და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გააფორმეს. ამგვარი ტიპის ოპერაციები ყოველთვის ტარდებოდა ერთ ნოტარიუსთან თბილისში, რომელსაც ეძახიან ნოტარიუსს მ-ის ხიდზე. არცერთ ნოტარიუსს არ აქვს რაიმის დამოწმების უფლება, მაგრამ ის აიძულეს და სანარმო გადაფორმებულ იქნა მოპასუხეზე, რომელიც ერთ-ერთი აქციონერია და მთავრობის მხარესაა, ხოლო ფინანსური პოლიცია სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარისაგან ქარხნის აქციების დათმობას ითხოვდა და ხელისუფლებას სურდა მისი მოწინააღმდეგე ოპოზიციიდან უბრალოდ გამოეთიშა. ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, მისი განცხადებით, კატეგორიული წინააღმდეგი იყო აქციების გასხვისების, ფინანსურმა პოლიციამ გამოაგზავნა ნილბიანი ხალხი, ხელბორკილები დაადეს და ფინანსურ პოლიციაში წაიყვანეს, სადაც კამერებია და აჩვენეს, თუ როგორ აწამებდნენ ადამიანებს, თან ეუბნებოდნენ, რომ, თუ აქციებს არ დათმობდა, იგივე მოუვიდოდა. იგი ზოგჯერ კამერაში იყო, ერთი, ორი, სამი დღე, ესეთი შემთხვევა იყო დაახლოებით ათჯერ 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, მანამდე 2008 წლის მარტსა და აპრილში, მას რაღაც წარუდგინეს, რაზედაც ხელი უნდა მოეწერა, რომ პარტიიდან უნდა გამოსულიყო და რომ აქციების გაყიდვაზე თანახმა იყო, შემდეგ ხომ ამას არანაირი ნოტარიუსი აღარ დასჭირდებოდა, ისინი მის ოჯახსაც ემუქრებოდნენ.

85. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამეთვალყურეო

საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მიუთითებს მის შრომის პარტიაში საქმიანობაზე, როგორც მთავარ მიზეზზე, რომლის გამოც, მის მიმართ სახელმწიფომ განახორციელა იძულება ქარხნის აქციების გასხვისების მიზნით. ა-ის რ-აში 01.09.2009. წელს მიცემულ ჩვენებაში იგი არ ადასტურებს შეიარაღებული ნიღბიანების სხვაგან მისვლას, გარდა მისი საცხოვრებელი სახლისა. მის მიერ ა-ის რ-აში მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს ნოტარიუსის იძულებაზე და მისთვის ხელბორკილების დადების თობაზე, რათა დაემონებინა 2008 წლის 17 სექტემბრის სადავოდ გამხდარი აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება. ამავე ჩვენებაში იკვეთება სადავო ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში მისი კავშირი და ურთიერთობა ხელისუფლებაში მყოფ გავლენიან პოლიტიკოსებთან, რაც წინააღმდეგობაში მოდის მის განცხადებებთან დემონსტრაციების მონყობის თაობაზე იმ პერიოდში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და მთლიანობაში ოპოზიციურ აქტივობაზე, რომლის დროსაც შრომის პარტია იმ პერიოდში არსებულ ხელისუფლებაზე სამი თვის განმავლობაში მოიპოვა პოლიტიკური გამარჯვება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოპოზიციამ გამარჯვება არჩევნების გზით მოიპოვა მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, რომელ გამარჯვებაშიც შრომის პარტიას რაიმე წვლილი არ მიუძღვის, ხოლო მანამდე არსებულ ხელისუფლებაზე შრომის პარტიის სამთვიანი პერიოდის გამარჯვებაზე აპელირება არ ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ რეალობას. საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს პ. 2005 წლის 2-ის №... განკარგულებით განხორციელდა ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 51,63% პრივატიზება კომპანიისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით და აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად საქართველოს ეკონომიკურ განვითარების სამინისტროსა და კომპანიას შორის 2005 წლის 28 ივნისს დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება. ამდენად, მოსარჩელე კომპანიის მითითება მისი სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ჩვენებაზე, უარყოფილი იქნა.

86. გარდა ამისა, საქმეს ერთვის საქართველოს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივნის 2015 წლის 14 მარტის განცხადება, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ქარხნის მუშების 28 მილიონი აქვს მითვისებული და გააკრიტიკა მისი დანიშვნის გადაწყვეტილება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტად. სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის კავშირი ლ. პარტიასთან მის მიერ მითითებული ზემოაღნიშნულ პარტიაში დაკავებული თანამ-

დებობების გათვალისწინებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 07.07.2016. წელს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ჩვენებით, იგი ფინანსურ პოლიციაში დაკავებული და კამერაში არ ყოფილა, როგორც მან ეს განაცხადა ა-ის რ-ის ფედერალური თავშესაფრის უწყებისთვის 01.09.2009. წელს მიცემული ჩვენებში, რომლის თანახმადაც, იგი ფინანსურ პოლიციაში ზოგჯერ კამერაში იყო, ერთი, ორი, სამი დღე, ესეთი შემთხვევა იყო დაახლოებით ათჯერ, 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, მანამდე 2008 წლის მარტსა და აპრილში. სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით, „ჩვენც ვიცოდით რასაც ვყიდულობდით, ვინაიდან ქარხანაში როდესაც მივედით, ეს იყო მხოლოდ ღობე და კედლები და 200 ადამიანის სია შტატში“, „ჩვენ ჩავდეთ უზარმაზარი ინვესტიციები, ქარხანა დაემგვანა სანარმოს, გადაიხურა, შეილება, გასუფთავდა“, „ჩვენ შემოვიყვანეთ საქრთველოში უზარმაზარი ინვესტორი, ეს გახლავთ კორპორაცია C..., იმ დროს 2007 წელს ჩვენ მათთან გავაფორმეთ მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა 500 მილიონის ინვესტირებას, ქარხნის გააღიარალებას, ორხევეში – აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ესტაკადის მშენებლობას“, „კოლექტივი 200 ადამიანიდან ავიდა 900 ადამიანამდე“, „ბრუნვა ქარხნისა დაახლოებით 2 მილიონიდან გაიზარდა დაახლოებით 100 მილიონამდე“, „კიდევ 6 მილიონის ზემოთ ჩვენ ძალიან ბევრი ფული დავხარჯეთ“, „2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული გვქონდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა წლიურად დაახლოებით 500 მილიონი საექსპორტო პროდუქციის გამოშვებას“.

87. ქარხნის მიერ 2016 წლის 2 სექტემბერს გაცემული ცნობის მიხედვით, მას 2005 წლის 01 ივლისის მდგომარეობით დასაქმებული ჰყავდა 516 ადამიანი, ხოლო 2008 წლის 01 აგვისტოს მონაცემებით კი 461 ადამიანი. 2016 წლის 08 სექტემბერს გაცემული ცნობის მიხედვით კი, 2005 წლის 2-იდან 2008 წლის 17 სექტემბრამდე კომპანიას, მის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, პირველ პარტნიორს ქარხანაში რაიმე სახის შენატანი დასაქმებულ პირებზე ფულადი ანაზღაურების ან ქარხნის საჭიროების მიზნით არ განუხორციელებიათ. ქარხნის მიერ 2016 წლის 6 სექტემბერს გაცემული ცნობის მიხედვით, ქარხანაში არ იძებნება ჩინეთის რკინიგზასთან გაფორმებული არავითარი ხელშეკრულება ან მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურად ჩ-ი მხარის მიერ 500 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას ქარხანაში. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გლდანი-ნაძალადე-

ვის რაიონის განყოფილების მიერ 09.06.2008 წელს გაცემული მოგების გადასახადის გაანგარიშების მიხედვით, ქარხნის ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა 13 379 550.00 ლარს.

88. საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე სააპელაციო პალატას შეექმნა შინაგანი რწმენა, რომ განცხადებები ა-ის რ-ასა თუ საქართველოში ემსახურებოდა კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული მიზნების მიღწევის ამოცანებს – ა-ის რ-აში თავშესაფრის მიღების მიზანს, საქართველოში კი სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიზანს და სწორედ ამ მიზნების მიღწევაზე იყო მორგებული და ორიენტირებული მისი ჩვენებები, რომლებიც ერთმანეთს არა თუ არ შეესაბამება, არამედ საქმის გადანყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებში ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაც მთლიანობაში არასარწმუნოს ხდის მის მიერ მიცემულ ჩვენებებს წინამდებარე საქმეში სადავოდ გამხდარ დავის საგანთან მიმართებით.

89. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ არგუმენტად მოყვანილია მ. დ-ის და კომპანიის პირველი პარტნიორის ა-ში ემიგრაციის საკითხი სადავო გარიგების დადების შემდგომ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეს ერთვის მათი საქმის განხილვასთან დაკავშირებით ა-ს იმიგრაციის სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის ბრძანებები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მ. დ-ისა და კომპანიის პირველი პარტნიორის განცხადებები თავშესაფრის მიღებაზე დაკმაყოფილდა. ამასთან ერთად, მ. დ-ის განცხადება (Withholding of removal) წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე დეპორტაციის შეჩერებაზე/დეპორტაციის გადავადებაზე გადანყვეტილება არ იქნა მიღებული, კერძოდ: უშუალოდ ბრძანების ინგლისურენოვან ტექსტში გრაფები Granted, Denied, Withdrawn (ქართული თარგმანის მიხედვით: მიღებულია/ გაუქმებულია/ შეჩერებულია) არ არის შევსებული და მოსამართლის მიერ ხელით არის მინერილი Not Decided ანუ გადანყვეტილება არ იქნა მიღებული, განუხილველად იქნა დატოვებული. ქ. ც-ის განცხადება (Withholding of removal) წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე დეპორტაციის შეჩერებაზე/დეპორტაციის გადავადებაზე გადანყვეტილება არ იქნა მიღებული, უშუალოდ ბრძანების ინგლისურენოვან ტექსტში გრაფები Granted, Denied, Withdrawn (ქართული თარგმანის მიხედვით: მიღებულია/ გაუქმებულია/ შეჩერებულია) არ არის შევსებული. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით არც ერთმა მონაწილემ სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს

(refouler) ან გადასაცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე და ასეთი საფუძველის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმამოფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას. ა-ს იმიგრაციის სასამართლოს მიერ ზემოხსენებული ბრძანებები მიღებული იქნა სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დადებიდან – 2008 წლის 17 სექტემბრიდან, დაახლოებით 2 წლისა და 8 თვის შემდეგ და, როგორც ბრძანებებიდან ირკვევა, სასამართლოს არ გაუჩნდა სერიოზული საფუძველი ეჭვისთვის, რომ მ. დ-ეს და ქ. ც-ეს საქართველოში დაბრუნების, გასახლების ან გადაცემის შემთხვევაში დაემუქრებოდა წამების საფრთხე.

90. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზენოლის ფაქტის დასადასტურებლად, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მიუკერძოებელ, ნეიტრალურ პირთა ჩვენებები ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ყოფილი თ-ის მ. დ. კ-ის მიერ, მისი სახელით ან დავალებით ფინანსური პოლიციის უფროსის დ. ქ-ის მიერ და მისი მოადგილის ვ. კ-ის მონაწილეობით განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ზენოლას, ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გ. ა-ის და ი. მ-ის მხრიდან ა.ს-ისთვის ქარხნის აქციათა მოპასუხეზე გადაფორმების მოთხოვნის ფაქტს.

91. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მათი ჩვენებების გასაზიარებლად ისინი დადასტურებული უნდა იყოს სხვა სარწმუნო მტკიცებულებებით, რაც საქმეში წარმოდგენილი არ არის. ზემოაღნიშნული შეფასების სტანდარტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ა-ის რ-აში 01.09.2009. წელს ა. ს-ის მიერ მიცემული ჩვენებები ფინანსური პოლიციის „კამერაში“ ყოფნის თაობაზე მოწმემ თავადვე უარყო მის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამეთა კოლეგიაში 07.07.2016. წელს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არის გარემოებები, რომელთა დადასტურება მხოლოდ გარკვეულ პირთა წრეს შეუძლია საქმის გარემოებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით სასამართლოს უნდა შეექმნას შინაგანი რწმენა, რომ ზემოხსენებულ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პირველ ინსტანციაში დადგენილი საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარე-

მობები ვ. ჭ-ის იძულებასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულიად წარმოჩინდა, ძირითადი მოწმის, ა. ს-ის, მიერ ა-ის რ-ასა და საქართველოში მიცემული ჩვენებები მის იძულებასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავია და მორგებული კონკრეტული მიზნის მიღწევაზე, საქმეში წარმოდგენილი ნეიტრალური მოწმის, ნოტარიუსის და მატერიალური სახით წარმოდგენილი მტკიცებულებებით იძულება არ დასტურდება, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. ს-ეზე ან სხვა პირებზე ზემოხსენებული თანამდებობის პირების მხრიდან სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დადებაზე იძულების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

92. მოსარჩელის განმარტებით, სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირების მხრიდან ზეწოლის პარალელურად, ამავე ზეწოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის 11 აპრილს შედგა აქტი ქარხნის პრივატიზაციის საკითხების სისწორის შესახებ და 12 აპრილს საგადასახადო შემომწმების აქტები (მოიცავდა 2003 წლის 01 იანვრიდან 2006 წლის 01 იანვრამდე საანგარიშო პერიოდს), ასევე არსებობდა 2008 წლის 09 იანვრის ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი შემომწმების აქტი (მოიცავდა 2005 წლის 01 იანვრიდან 2007 წლის 01 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდს), ფინანსურმა პოლიციამ კვლავ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით „შემომწმების“ მიზნით, 2004-2007 წლების საანგარიშო პერიოდში, კომპანიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის დედნების, ასევე კომპიუტერების პროცესორებისა და სხვა დოკუმენტების ამოღების მოთხოვნით, რაც მიმართული იყო კომპანიის ფუნქციონირების შეფერხებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის დამძიმებისკენ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 07.02.2008. წლის ბრძანებით დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლის შუამდგომლობა და ამოღებულ იქნა კომპანიიდან 2004-2007 წლების საბუღალტრო და საფინანსო საქმიანობის ამსახველი კომპიუტერული პროცესორები და ა.შ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით ა. ს-ე ბრალდებულის სახით იქნა მიცემული პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რაც გამოიხატა სამწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან

სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებაში ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ზემოაღნიშნული დადგენილების შინაარსი იხ., ამ განჩინების 3-11-ში.

93. დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 14.11.2008 წლის ბრძანებით ყადაღა დაედო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბრძანებით ყადაღა დაედო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის კუთვნილ წილს შპს „ნ-ში“.

94. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან იძულების განხორციელების საშუალება სადავოდ გამხდარი გაორიგების დადების მიზნით.

95. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მასზე სახელმწიფოს მხრიდან იძულების დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნევა მუქარისა და სადავო ხელშეკრულების დადებაზე იძულების შინაარსის შემცველ სატელეფონო ზარებს ფინანსური პოლიციიდან. ამ თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილდა შემდეგზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე კომპანიის შუამდგომლობა შპს „მ-ი“-დან და შპს „ჯ-ი“-დან 2008 წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში 7-... (კომპანიის დირექტორი, ქარხანა), 7-... (კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე) და 7-... ტელეფონების ნომრების დეტალური სატელეფონო ამონაწერისა და ამავე პერიოდში ამ სატელეფონო ნომრების მესაკუთრეების შესახებ. შპს „მ-ის“ 21.03.2016. წლის წერილის თანახმად, იგი ტექნიკური ხარვეზის გამო მოკლებულია შესაძლებლობას მიაწოდოს სასამართლოს მის მიერ 29.02.2016. წლის განჩინების საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაცია. შპს „ჯ-ი“-მა 23.03.2016. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიაწოდა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, საიდანაც ირკვევა, რომ ა. ს-ის ნომერ 7...-სა და ნომერ 7... შორის, რომელიც ფინანსურ პოლიციაში ეკუთვნოდა ლ. მ-ას, ზარები ხორციელდებოდა 2008 წლის 17 სექტემბრიდან 2008 წლის 27 სექტემბრამდე. შპს „ჯ-ი“-დან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სატელეფონო კომუნიკაცია კომპანიის სამეთვალყურე-

რეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესა და სატელეფონო ნომერს შორის 7... შედგა სულ 12 ჯერ, კერძოდ, 2008 წლის 17 სექტემბერს განხორციელდა 10 ზარი, აქედან 7 ზარი შემაჯავალი ნომრიდან 7... ნომერზე 7... და სამი ზარი გამავალი ა. ს-ის ნომრიდან ნომერზე 7..., 2008 წლის 18 სექტემბერს განხორციელდა შემაჯავალი ზარი ნომრიდან 7... შპს „თ-ის“ (კომპანიის) სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ნომერზე, ხოლო ბოლოს გამავალი ზარი ა. ს-ის ნომრიდან ნომერზე 7... განხორციელდა 2008 წლის 27 სექტემბერს. სადავოდ გამხდარი აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების მომზადება-ხელმოწერამდე ბევრად ადრე ფინანსური პოლიცია აქტიურად ამონმებდა ქარხანასა და კომპანიას. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა 2008 წლის 09 იანვრის ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი ქარხნის შემონმების აქტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 07.02.2008 წლის ბრძანებით დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლის შუამდგომლობა კომპანიიდან 2004-2007 წლების მთელი რიგი დოკუმენტების ამოღების თაობაზე, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბრალდებულის სახით იქნა მიცემული პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის კომუნიკაცია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან, როგორც ასეთი, არალეგიტიმური კომუნიკაციის ნიშნებს არ შეიცავს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „ჯ-ი“-დან მოწოდებული ინფორმაცია ცხადია არ შეიცავდა და არც შეიძლება შეიცავდეს კომუნიკაციის მხარეთა საუბრის შინაარსს, შესაბამისად, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობისას სააპელაციო პალატამ აღნიშნული მტკიცებულება შეაფასა როგორც ცალკე აღებული, ასევე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ როგორც ცალკე აღებული მტკიცებულება იგი მიანიშნებდა მხოლოდ კომუნიკაციის არსებობაზე ფინანსურ პოლიციასა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს შორის. სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში მოწოდებული ინფორმაცია ზემოხსენებულისგან განსხვავებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

96. სააპელაციო პალატისთვის არ იყო დამაჯერებელი მოსარ-

ჩელის მსჯელობა, რომ ფინანსურმა პოლიციამ ნომრიდან 7... სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დადების დღეს, 2008 წლის 17 სექტემბერს, 15:53:17 საათზე განხორციელებული პირველი ზარიდან დაწყებული იმდაგვარი ზეწოლა განხორციელა ტელეფონის მეშვეობით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეზე, რომ სადავოდ გამხდარი აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება მყისიერად დაიდო – თავად საქმეში წარმოდგენილი სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების სირთულე, როგორც ასეთი, გამორიცხავდა იძულების განხორციელების რეალიზების მყისიერ შესაძლებლობას, ხოლო მანამდე ან ზემოთმითითებული თარიღების შემდგომ ფინანსური პოლიციის ნომერ 7... და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ნომერს შორის რაიმე ზარები დაფიქსირებული არ არის. ფინანსური პოლიციის კუთვნილი ნომერ 7... და კომპანიის დირექტორის ნომერ 7... შორის 2008 წლის 11 აგვისტოდან 01.01.2009.-მდე შემავალი ან გამავალი ზარები არ განხორციელებულა. საქმეს ერთვის ბ. ნ-ის მობილური ტელეფონის ნომრის ზარების ამონაბეჭდი 01.08.08.-დან 31.09.08.-მდე, რომლიდანაც ირკვევა, რომ ფინანსური პოლიციის ნომრიდან 7... ბ. ნ-ის ზემოხსენებულ ნომერზე შემავალი ან გამავალი ზარები არ განხორციელებულა.

97. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 19.08.2014. წლის განცხადებას და 05.09.2014. წელს აღძრულ სარჩელს ერთვოდა საქართველოს ყოფილი პ. მ. ს-ის 2008 წლის 23 ნოემბერს ქარხანაში გამოსვლის ამსახველი ვიდეომასალა, სადაც მან წინამდებარე საქმესთან კავშირში შემდეგი განცხადება გააკეთა: „ქარხანა იყო რამდენიმე ხნის წინ დახურვის პირას მისული. რომ არ ჩარეულიყო საქართველოს მთავრობა, მე მინდა ვთქვა, რომ დახურვის პირას მისული იყავით თქვენ სხვადასხვა მანიპულაციების და სხვადასხვა ხრიკების და კომბინაციების შედეგად, და დღეს ის, ვინც ჭკუას გვარიგებს, იმათ სინდისზე იყოს ეს მანიპულაციები, რომლითაც პრაქტიკულად თქვენი ქარხანა კინალამ დახურეს და თვითონ ამაზე გააკეთეს მილიონები და ჩვენ ამ ხალხს მოვთხოვთ პასუხს და მივიყვანთ სასამართლომდე. მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, და ყველას ვუთხრა, არავის არაფერი არ შერჩება. მე ალბათ, მაქვს დაშვებული შეცდომებიც პირადად, როდესაც ზედმეტად ვენდობოდი ხოლმე ვილაც-ვილაცეებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ თქვენი ქარხნის მიმართ შექმნილი პრობლემის გადალახვას. ჩვენ აქამდე ვაგონების შეკეთების შეკვეთებს ვაძლევდით უ-აში, რ-ი და, ისიც ვიცი კარგად, რომ, როგორც გაირკვა მოგვიანებით და ჩვენ ამას

მიყვებით ბოლომდე, რომ ამ ვაგონების შეკეთებაზე, გაკეთებაზე კეთდებოდა ფული, ასევე ხდებოდა ფულის განაწილება ზოგ-ზოგიერთის მიერ. ამ ზოგ-ზოგიერთებს სახელები და გვარები დაერქმევა და, იმედია, პასუხს აგებენ“.

98. საქართველოს პ. 2005 წლის 2-ის №-... განკარგულებით განხორციელდა ქარხანის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 51,63% პრივატიზება კომპანიისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით და აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და კომპანიას შორის 2005 წლის 28 ივნისს დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება.

99. სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული ვიდეომასალის შესწავლის შემდგომ საქმეში წარმოდგენილ საქართველოს პ. 2005 წლის 2-ის №-... განკარგულებასთან ერთობლიობაში ანალიზით დაასკვნა, რომ სწორედ ნდობაზე აგებული ურთიერთობის შედეგად ქვეყნის ყოფილი პ. მიერ დაშვებული იქნა გარკვეული შეცდომა, რასაც შედეგად მოჰყვა ქარხნისთვის არასასურველი შედეგები და რასაც მ. ს-ი საჯაროდ აღიარებდა, დადო რა ქარხნის თანამშრომლების მიმართ შექმნილი პრობლემის გადალახვის პირობა, ასევე, მიუთითა ვაგონების შეკეთებასთან დაკავშირებით გარკვეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე, ასევე, რომ არა საქართველოს მთავრობის ჩარევა, ქარხანა თითქმის დახურვის პირას იყო მისული.

100. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ვიდეომასალიდან გაურკვეველი იყო, საქართველოს მთავრობის ჩარევაში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა რა იგულისხმა ან მოსარჩელეს რის საფუძველზე მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ განცხადებაში მისი სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დადებაზე იძულება მოიხზებოდა, ვინაიდან ზემოხსენებული განცხადების გაკეთების მომენტისთვის, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ქარხნის მიმართ უკვე გახსნილი იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ქარხნის მომრიგებელი საბჭოს 2008 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო მის მიმართ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეაბილიტაციის პროცედურები.

101. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე და მოსარჩელის მოწმეები მიუთითებენ რა სახელმწიფოს მხრიდან იძულების გამოვლინების ფაქტებზე, ფაქტიურად მიუთითებენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლების, თ-ის ყოფილი მ. და მათ მიერ დასახელებულ სხვა თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრი-

ვი პასუხისმგებლობის საფუძველზე, მაგრამ საქმეში არ იყო წარმოდგენილი ზემოაღნიშნული პირების მიმართ წინამდებარე საქმესთან კავშირში მყოფი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის მიერ დასახელებული თანამდებობის პირების მხრიდან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარეზე იძულების განხორციელება კომპანიის მიერ მოპასუხესთან ხელშეკრულების დადების მიზნით. საქმის მასალებით დასტურდებოდა ფინანსური პოლიციის მიერ ქარხნის და კომპანიის შემოწმების ფაქტი, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებს მოიცავდა და, ცალკე აღებული და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, როგორც ასეთი, არაღეგტიმურობის ნიშნებს არ ატარებდა.

102. საქმეში ასევე არ მოიპოვება ნოტარიუსის მიმართ, ამ დავასთან კავშირში მყოფი, როგორც მინიმუმ, დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე მოსარჩელის ან სხვა დაინტერესებული პირების ნოტარიუსთა პალატისადმი განცხადებით მიმართვის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუნდაც, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში.

103. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუდასტურებლად მიიჩნია სახელმწიფოს მხრიდან სადავო გარიგების მომზადებისა და დადების პროცესში ნოტარიუსის, კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, ასევე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის და მეორე გამყიდველის, მოპასუხის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებაზე იძულების ფაქტი.

104. ასევე დაუდასტურებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან სს „თ-ის“ იძულება სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების საფუძველზე გადარიცხვის განხორციელების თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება 2008 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით ქარხნის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო თავად ქარხნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით და არა შპს „ს-ას“ მხრიდან ქარხნისათვის ფინანსური პრობლემების შესაქმნელად მიზანმიმართული პოლიტიკით.

105. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვება ისეთი ცალკე აღებული სარწმუნო მტკიცებულება ან მტკიცებულებათა იმდაგვარი ერთობლიობა, რომელიც სააპელაციო პალატას შეუქმნიდა შინაგან რწმენას სადავო გარიგების მომზადებისა და დადების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის ინტერესებში იძულების განხორციელების თაობაზე.

106. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ იმსჯელებდა სსკ-ის 1008-ე მუხლით დადგენილი დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დაცვასა და სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წილის უკანონო მფლობელებისაგან ვინდიცირების ხანდაზმულობის ვადაზე.

107. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელე კომპანიამ.

108. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ქარხნის აქციათა მეორე ნაწყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №...) ბათილად ცნობისა და აქციების კომპანიის სახელზე აღრიცხვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება (იხ., ამ განჩინების პ-14).

109. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ საკასაციო პრეტენზიებს:

110. კასატორი სადავოდ ხდის სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას და ციტირებს სსკ-ის 89-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს იძულების დამთავრების მომენტიდან ერთი წლის ვადაში. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ნაწილში აგებულია იმ დასაბუთებაზე, რომ თუ იძულების დამთავრების თარიღად 2012 წლის 01 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებას მივიჩნევთ, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ (რომელიც აქციათა იძულებით გასხვისების დროს იყო ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც და მასზე მიმდინარეობდა ზენოლა) ემიგრაციიდან დაბრუნების შემდგომ, 2013 წლის 16 მაისს (2012 წლის 01 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან ექვს თვეში) საქართველოს პროკურატურისადმი გამოძიების დანყების მოთხოვნით განცხადებით მიმართვა, მაინც ვერ შეაჩერებს სარჩელის ხანდაზმულობის დენას, რადგან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე განცხადების წარდგენის მომენტისათვის არ იყო აღჭურვილი კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, ხოლო მეორე მხრივ, კომპანიას არ გამოუვლენია ნება და რაიმე ფორმით არ გამოუხატავს საკუთარი თანხმობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2013 წლის 16 მაისს რეგისტრირებული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადებასთან დაკავშირებით.

111. კასატორი აღნიშნავს, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ პროკურატურას მიმართა კომპანიის ინტერე-

სების ფარგლებში და ამასთან, მისი ეს განცხადება წარდგენილ იქნა ამავე კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირთა დავალებით. კასატორს არც ის დასაბუთება მიაჩნია საფუძვლიანად, თითქოს მას ამგვარ ქმედებაზე კომპანიისაგან არ ჰქონდა თანხმობა.

112. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს სსკ-ის 89-ე მუხლის ჭრილში უნდა ეხელმძღვანელა ამავე კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილი წესით, იმდენად რამდენადაც სსკ-ის 89-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ხელშეკრულების გაფორმების იძულება მომდინარეობს კონტრაჰენტისაგან ან მესამე პირებისაგან და არა სახელმწიფოსაგან, რომელიც დემოკრატიულ/სამართლებრივ საზოგადოებაში თავისუფალი კონტრაჰირების პრინციპის გარანტი უნდა იყოს. სსკ-ის 54-ე მუხლიდან გამომდინარე კი, გამომდინარე, სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს კანონი და მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაჰირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და შესაბამისად, ბათილად ითვლება.

113. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ნორმით დადგენილი ქცევის სტანდარტის დარღვევა დადებულ გარიგებას მართლსაწინააღმდეგოდ და ამორალურად აქცევს. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისათვის საკმარისია გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლობიერი, ამორალური განზრახვა. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია გარიგების ნეგატიური, კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური შედეგის დადგომა. ერთია, როცა კანონსაწინააღმდეგო ან/და ამორალური შედეგის დადგომა უშუალოდ მომდინარეობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ან მასთან დაკავშირებული მესამე პირისაგან, მაგრამ მეორეა, როცა მსგავსი შედეგის დადგომის მაპროვოცირებელი და უშუალო ხელის შემწყობი სახელმწიფო და მისი ინსტიტუციებია. სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტების არამართლობიერი და გაუმართლებელი ჩარევის შედეგად 2008 წლის 17 სექტემბრის სადავო ხელშეკრულების საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობრივ ხასიათზე მიუთითებს სარჩელსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები (და საქმეში არსებული მტკიცებულებები), რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ სახელმწიფო, მისი ოფიციალური თანამდებობის პირების მეშვეობით თავად გახლდა ამ პრინციპის უხეში დარღვევის მაპროვოცირებელი და უშუალო დამრღვევი. ასეთი შემთხვევების სამართლებრივი რეგულირებისათვის, გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი, ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა, რომელიც სარჩელის აღძვრის მომენტისათვის არ იყო გასული.

114. გარდა ამისა, საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია საპროცესო ნორმების დარღვევის საფუძვლითაც, კერძოდ, კასატორი სადავოდ ხდის მტკიცებულებათა ყოველმხრივ და სრულად გამოკვლევას და მიუთითებს შემდეგზე:

115. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა, თ-ის ყოფილი მ. და სხვა პირთა წინააღმდეგ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რითაც სასამართლო ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ მოცემული დავის გადაწყვეტის ფარგლებში ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა ზემოაღნიშნულ პირთა მიერ, სადავო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მონაწილეობა, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს განაჩენი. აღნიშნული მსჯელობა კასატორს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-16) მოცემულ ნორმის განმარტებასთან წინააღმდეგობრივად მიაჩნია, რაც განპირობებულია ზემოაღნიშნული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის (განმარტების) შედეგად, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს) უმოქმედობა ან არაეფექტური მოქმედება არ შეიძლება გახდეს, მხარის მიერ, საკუთარი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შემაფერხებელი გარემოება.

116. ამასთან, დადგენილია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა ჩვენება იმ მოტივით, რომ თითქოს მოსარჩელის მოწმეები გარკვეულწილად დაკავშირებულნი იყვნენ საქმის გადაწყვეტის შედეგების მიმართ, მხარესთან ნათესაური ან საქმიანი ურთიერთობის გამო, ან მესამე პირებისაგან შეიტყეს აქციების გადაფორმების შესახებ. ამის შემდგომ, სასამართლო ხაზს უსვამს ა. ს-ის, ი. კ-ის, ქ. ც-ის და მ. დ-ის ნათესაურ კავშირზე და ამასთანავე, დანარჩენ მოწმეთა ჩვენების უარყოფის მოტივად მიუთითებს იმას, რომ: ბ. ნ-ი იყო ქარხნის იურიდიული სამსახურის უფროსი 2005-2008 წლებში; ა. ხ. – ამავე ქარხნის ტექ-

ნიკური დირექტორი 2006-2008 წლებში; ა. ს-ე – მოსარჩელე კომპანიის საბაჟო განყოფილების ექსპერტი 2003-2009 წლებში, ხოლო გ. ყ-ი – იყო მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებელთა და ხელმძღვანელთა ადვოკატი.

117. კასატორს ზემოთ დასახელებული მიზეზით მოწმეთა ჩვენების უარყოფა უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია, შემდეგ გარემოებათა გამო:

118. კასატორი აღნიშნავს, რომ როგორც წესი, კერძო პირებზე, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ზენოლას გარეგნის ხელმოწერის მიზნით, გააჩნია კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ასეთი (იძულების) ფაქტების დაფიქსირება წერილობით ან სხვა მსგავსი მატერიალური ფორმით არ ხდება. შესაბამისად, ასეთი სახის ფაქტების დადგენისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმეთა ჩვენებებს და სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

119. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაიზიარა მხარეთა ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა (გარდა ნოტარიუსისა) მიერ მიცემული ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ მათი შინაარსი დავის გადანყვევებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხში იდენტური იყო და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში სრულად ასახავდა სადავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს განვითარებულ მოვლენებს.

120. სასამართლოს ასეთ დამოკიდებულება, მოპასუხის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა მიმართ (მხარესთან მათი ახლო ნათესაური და მიმდინარე პერიოდისათვის სამსახურებრივი კავშირების გამო), ასევე მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მოწმეთა ნაწილის (ა. ს-ე, ქ. ც-ე, მ. დ-ე) მიმართ, თუ შეიძლება იყოს ლოგიკური, აბსოლუტურად ალოგიკური და გაუმართლებელია სასამართლოს მიერ მოსარჩელის მიერ დაკითხულ დანარჩენ მოწმეთა (ბ. ნ-ი, ა. ხ., ა. ს-ე, გ. ყ-ი, ნ. ბ-ი) მიერ მიცემული ჩვენებების არ გაზიარება.

121. აღსანიშნავია, რომ ასეთ „გამართლებას“ ერთის მხრივ, ვერც სააპელაციო სასამართლო ვერ გეთავაზობს, გარდა ზოგადი/აბსტრაქტული და შეიძლება ითქვას ბუნდოვანი მითითებისა – საქმის შედეგების მიმართ, მოწმეთა „ამა თუ იმ ფორმით“ დაინტერესების შესახებ, თუმცა საინტერესოა ისიც, რომ სასამართლო ვერ უთითებს ზემოხსენებული მოწმეების კონკრეტულ ინტერესზე და იმაზე, თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს მაგალითად: ბ. ნ-მა, ა. ხ-მ, ა. ს-ემ, გ. ყ-მა და ნ. ბ-მა.

122. სადავო საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით დაკითხულ მოწმეებს (ან სხვა პირებს) ხელშეკრულების გაფორმების მიზნით განხორციელებული იძულების შესახებ ინფორმაცია შეიძ-

ლება ჰქონოდათ თუ: 1) თავად იყვნენ იძულების ობიექტები, 2) იყვნენ იძულების პროცესის შემსწრე/თვითმხილველნი ან 3) იძულების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მათ მიიღეს სხვა ან ზემოაღნიშნული პირებისაგან. შესაბამისად, სამივე ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში, ამ ინფორმაციის მიღების წინაპირობა შეიძლება ყოფილიყო მათი „რაიმე ფორმით“ (მათ შორის, ნათესაური ან სამსახურებრივი ფორმით), კავშირი დავაში მონაწილე მხარეებთან. სწორედ ისინი იყვნენ უშუალოდ, იძულების ობიექტები (ა. ს-ე, ქ. ც-ე, მ. დ-ე), ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მონაწილეს (ბ. ნ-ი, ა. ხ., ა. ს-ე, გ. ყ-ი, ნ. ბ-ი) ისინი იყვნენ თვითმხილველნი ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ განხორციელებული იძულებისა ან/და განხორციელებული იძულების შესახებ მათ ინფორმაცია მიიღეს უშუალოდ იძულების განხორციელების შემდგომ ამავე პირებისაგან. გარდა ამისა, რომ ყოფილიყო დასახელებულ მონაწილეთა დაინტერესება საქმის შედეგით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ იკვეთება რა კონკრეტული ინტერესი გააჩნდათ მათ. აქვე, კასატორი მიუთითებს მოპასუხის ინიციატივით დაკითხული მონაწილის – ნოტარიუსის ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს შეფასებაზე და მიაჩნია, რომ სასამართლოს ეს დამოკიდებულება ნოტარიუსის ჩვენების მიმართ, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. კასატორი აღნიშნავს, რომ ჩვენების მიცემისას შეუძლებელია ნოტარიუსი ყოფილიყო მიუკერძოებელი, რადგან მოსარჩელის მიერ, სარჩელში აღწერილი გარემოებები და მოსარჩელის მიერ დასახელებულ მონაწილეთა ჩვენებები, მიუთითებდნენ მის (ნოტარიუსის) მიერ, როგორც მინიმუმ, სანოტარო მოქმედებათა განხორციელების წესების დარღვევაზე, ხოლო უარეს შემთხვევაში, წარმოშობდნენ მისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხეს. ამდენად, ნოტარიუსს, ჩვენების მიცემისას პირდაპირი ინტერესი ჰქონდა იმისა, რომ არ დადასტურებულიყო მის სანოტარო ბიუროში, მისივე თანდასწრებით განხორციელებული ძალადობის ფაქტები.

123. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას სადავო გარიგების ხელმოწერისა და დადების დროისათვის ძალადობას არარსებობასთან მიმართებით. კასატორი აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა ნოტარიუსის მიერ მიცემულ ჩვენებაზე და ასევე იმ ფაქტზე, რომ მეორე გამყიდველს სადავოდ არ გაუხდია მოპასუხესთან დადებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება.

124. კასატორი მიუთითებს ამ განჩინების 3-19-ში მითითებულ და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ სწორედ აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული (რომელიც შე-

ცილებული არ ყოფილა საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე და არც სასამართლოს არ გაუქარწყლებია), რომ მეორე გამყიდველმა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, მოითხოვა შეთანხმების გაფორმება მოსარჩელესთან და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ მოსარჩელეს არ ექნებოდა პრეტენზია მის მიმართ, ქარხნის აქციების გადაფორმების გამო. ის ფაქტი, რომ მეორე გამყიდველის სახელზე აღრიცხული აქციები არ წარმოადგენდა მის საკუთრებას, ასევე დასტურდება იმითაც, რომ მათი ნასყიდობის ღირებულება (შესაბამისი დაწინაურების მითითებით) ჩაირიცხა კომპანიის და არა მის საბანკო ანგარიშზე. ამდენად, ის ფაქტი, რომ მეორე გამყიდველს სადავოდ არ გაუხდია მასსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება, გამონვეული იყო არა იმით, რომ მის მიმართ აღდგლი არ ჰქონია ძალადობას, არამედ გამონვეული იყო იმით, რომ მას ხსენებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ არ გააჩნდა არავითარი ინტერესი (იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთის მხრივ, ეს აქციები არ იყო მისი საკუთრება, ხოლო მეორე მხრივ, მას ჰქონდა მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება „პრეტენზიის არ არსებობის შესახებ“).

125. გარდა ამისა, კასატორს საყურადღებოდ მიაჩნია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლო, გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში ვერ განმარტავს, თუ რატომ მოითხოვა მეორე გამყიდველმა მოსარჩელესთან და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან პრეტენზიების არ არსებობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, ან რატომ არ მიიჩნია ეს საეჭვოდ, იმ პირობებში, როცა თავადაც განმარტავს, რომ ამის სამართლებრივი საჭიროება/აუცილებლობა არ არსებობდა. სადავო გადანყვეტილების 4.5. პუნქტის მიხედვით, სასამართლომ ერთი მხრივ, დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2008 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით, ქარხანაში იყო მძიმე ფინანსური მდგომარეობა და შესაბამისად, სახეზე იყო აქციათა გასხვისების წინაპირობა. თუმცა, მეორე მხრივ, არასწორად არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის ასეთი მდგომარეობა გამონვეული იყო შპს „ს-ის“ მიზანმიმართული ქმედებით. შესაბამისად, კასატორს უსაფუძლოდ მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, კომპანიის აქციათა გასხვისების აუცილებლობასთან მიმართებით. ამასთან, ამ მსჯელობისას სასამართლო ძირითადად და უპირობოდ იზიარებს ნოტარიუსის ჩვენებას, რომელიც მიუთითებდა კომპანიის კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებებს შორის არსებულ სხვაობაზე და ამოუღებადი (უიმედო) ვალდებულებების შესახებ.

126. სააპელაციო სასამართლო უარყოფს მოსარჩელის არგუმენტს შპს „ს-ის“ მიერ ქარხნის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან მიმართებით, რასაც კასატორი არ ეთანხმება და სასამართლოს მსჯელობის საპირისპიროდ მიუთითებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომლებიცაა: ქარხნის მაშინდელი მენეჯმენტის წერილები ს-ის, ასევე საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების (პ... თავმჯდომარის, პ. მ., პ.) სახელზე.

127. ამ კუთხით, სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ სარჩელის გამოხმობის იძულების მიზანი იყო – შპს „ს-ის“ წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოების შეწყვეტა, რაც სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მიღწეული იყო. გარდა ამისა, სარჩელის გამოხმობის შესახებ იძულება, ფიცის ქვეშ დაადასტურეს მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა უმრავლესობამ, მათ შორის, ქარხნის მაშინდელმა ადვოკატმა, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი.

128. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ კომპანიამ შპს „ს-ის“ წინააღმდეგ სარჩელი გამოიხმო 2007 წლის 11 დეკემბერს, ქარხნის დირექტორის – მ. დ-ის სახელით, მაშინ როდესაც აღნიშნული პიროვნება ამ დროისთვის საქართველოში არც იმყოფებოდა (საქართველოში შემოვიდა 2007 წლის 12 დეკემბერს). მიუხედავად ამის, სააპელაციო სასამართლომ სათანადო ყურადღებისა და შეფასების გარეშე დატოვა ზემოაღნიშნული ფაქტი.

129. ამასთან, იძულების არარსებობის ნაწილში, გარიგების ბათილობის საფუძვლის არარსებობა სააპელაციო სასამართლომ გამოიცილა აქციების საბაზრო ღირებულების შესაბამისობით მოპასუხის მიერ გადახდილ თანხასთან. კასატორს მიაჩნია, რომ საბაზრო ღირებულების გადახდა ან არ გადახდა, არ შეიძლება ადასტურებდეს აქციათა იძულებით ან ნებაყოფლობით გადაცემის ფაქტს და მიუთითებდეს/გამორიცხავდეს სადავო გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს. ამ მხრივ, კასატორი საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ სადავო ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის მიერ აქციათა საბაზრო ღირებულების გადახდის ფაქტი გამოკვლეული არც არის. ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დასკვნები ურთიერთგამომრიცხავია, კერძოდ შპს „ე-ის“ მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ უიმედო დებიტორების გათვალისწინებით, ქარხნის აქციათა საბაზრო ღირებულება შეადგენდა 0 (ნული) ლარს, ხოლო იგივე გარემოებების გათვალისწინებით ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, რომ ქარხნის აქციათა 25,817895%-ის ღირებულება შეადგენდა 1 350 444.5 (მილიონ სამასორმოცდაათი ათას ოთხას

ორმოცდაათხ ლარს და ორმოცდაათ თეთრს) ლარს. ამასთან, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ემყარება სადავო ხელშეკრულების გაფორმების დღეს, მეორე გამყიდველთან ხელმოწერილ, აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც ასევე მოსარჩელეთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგი იყო და რაც ექსპერტიზისათვის უცნობი იყო. და კიდევ, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, დასკვნის მომზადების დროს, არ იყო გათვალისწინებული ქარხის ერთ-ერთი ძირითადი აქტივი – მის სახელზე არსებული/რიცხული გენერალური ლიცენზიები. გათვალისწინებული არ იყო აგრეთვე არც ის, რომ იგი წარმოადგენდა ე.წ. ბუნებრივ მონოპოლისტს, არამარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში, რაც ბუნებრივია, რომ ამ კომპანიის აქციათა საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა, მაგრამ ეს ყოველივე უცნობი იყო ექსპერტიზისათვის იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ეს ინფორმაცია ექსპერტისათვის არ მიუწოდებიათ.

130. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სადავო აქციათა საბაზრო ღირებულებაზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხემ სადავო ქარხნის აქტივების გაყიდვა 400 000 000 (ოთხასი მილიონი) აშშ დოლარად სცადა, რასაც მიუთითებდა კიდევ მოსარჩელე, და რის შესახებაც ინფორმაცია, განთავსებული იყო ინტერნეტშიც.

131. შედავებულ გარემოებას კი, იმის შესახებ შესაძლებელი იყო თუ არა არასამუშაო საათებში 2008 წლის 17 სექტემბერს, აქციათა ნასყიდობის საფასურის გადახდა, სააპელაციო სასამართლო აქარწყლებს სს „თ-ის“ წერილის საფუძველზე და დადგენილად მიიჩნევს, რომ მსგავსი ტრანზაქციის განხორციელება შესაძლებელია არასამუშაო საათებშიც, მხარესთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში და ამისათვის სახელმწიფოს იძულება საჭიროებას არ წარმოადგენდა.

132. შემდეგი საკასაციო პრეტენზია შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დევნის ფაქტის უარყოფას მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. აღნიშნულს კასატორი არ ეთანხმება და მიუთითებს შემდეგზე: ა) კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, ა-აში და მოცემული საქმის განხილვისას მიცემული ჩვენებების არაობიექტური შეფასების ნათელი მაგალითია ის, რომ სასამართლო, ჩვენებებს შორის წინააღმდეგობრივი ხასიათის სადემონსტრაციოდ, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ თითქოს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა-აში მიცემულ ჩვენებაში, უარყოფს შეიარა-

ღებულის ნიღბიანების მისვლას სხვაგან, გარდა მისი საცხოვრებელი სახლისა. ხოლო, მეორე მხრივ, მოჰყავს ციტირება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, ა-ში მიცემული ჩვენებიდან სადაც ს-ე აღნიშნავს აქციათა გასხვისებაზე მისი წინააღმდეგობის გამო, როგორ მიჰყავდათ იგი შეიარაღებულ ნიღბიანებს ფინანსურ პოლიციაში, როგორ მიიყვანეს იგი ბორკილებდადებული სანოტარო ბიუროში და ა.შ. ბ) კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლო ხაზს უსვამს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, თავის ჩვენებებში (როგორც ა-ში ასევე სასამართლოში) გაცხადებული ინფორმაციას, რომ იგი იცნობდა და გააჩნდა კონტაქტი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან. ამ ფაქტის მითითებით სასამართლო ცდილობს უარყოს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართ პოლიტიკური დევნისა და იძულების განხორციელების ფაქტი, რაც აბსოლუტურად გაუმართლებელია და მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას.

133. კასატორის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იცნობდა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, არ ნიშნავს, იმას რომ მის მიმართ, სადავო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, არ განხორციელებულა ან არ განხორციელდებოდა იძულება და ზეწოლა.

134. ამასთან, კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუთებას იმ ნაწილშიც, რომელშიც სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება, ვერ იქნება აღქმული, როგორც სახელმწიფოს მხრიდან იძულების განხორციელების საშუალება, ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ტელეფონის ნომერზე, ფინანსური პოლიციის სახელზე რიცხული ტელეფონიდან განხორციელებული ზარები არ შეიცავენ არა-ლეგიტიმური კომუნიკაციის ნიშნებს. სააპელაციო სასამართლოს მითითებული დასაბუთების უარყოფას კასატორი ახორციელებს შემდეგი დასაბუთებით:

135. ის ფაქტი, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმე იყო უსაფუძვლო და შესაბამისად მისი აღძვრა, რომ ძალადობისა და იძულების მაგალითს წარმოადგენდა, ეს კარგად ჩანს თუნდაც იქედან, რომ მიუხედავად ბრალის წაყენებიდან რამდენიმე (უკვე ათი) წლის გასვლისა, მისი განხილვა სასამართლოში დღემდე არ მომხდარა. გარდა ამისა, ბრალდება რომ იძულების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს (შესაბამისად, კიდევ უფრო ამყარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განვითარე-

ბულ მსჯელობას) ბრალდების დადგენილების სასამართლოს მიერ ციტირებული ტექსტიდან. კერძოდ, ბრალდების დადგენილებაში ვკითხულობთ: „2006 წელს ა. ს-ემ მას შემდეგ, რაც იმავდროულად არჩეულ იქნა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, ისარგებლა რა, ურთიერთდამოკიდებულებით, ქარხნის გენერალურ დირექტორ მ. დ-ესთან შეთანხმებით, რომლის მეუღლე ქ. ც-ე იყო ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, განიზრახა თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად ქარხანაში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ამავე ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ქარხნიდან დიდი ოდენობით თანხები გადაექაჩა კომპანიაში“, სადაც ნილის 50%-ის მფლობელი იყო მისი მეუღლე – ნ. რ-ი“.

136. როგორც ბრალდების ფორმულარშია აღნიშნული, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან (1) ბოროტად გამოიყენა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და (2) მ. დ-ესთან შეთანხმებით ზიანი მიაყენა ქარხანას (3) ყოველივე ამის შედეგად კი, სარგებელი მიიღო კომპანიამ. კასატორი აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბრალდების ფორმულარში აღწერილი დანაშაული ჩაედინა, აუცილებელი იყო, რომ მას ჰქონოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში კი, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ორივე კომპანიაში (ქარხანა და კომპანია) იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და მას არ გააჩნდა არც ერთი ამ კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ასეთ უფლებამოსილებას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის არ ადგენდა არც იმ დროს და არც დღეისათვის მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. გარდა ამისა, ამავე ბრალდების ფორმულარით ირკვევა, რომ თითქოს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ დანაშაული ჩაიდინა ქარხნის დირექტორთან – მ. დ-ესთან შეთანხმებით, ხოლო სარგებელი (კანონის დარღვევით) მიიღო კომპანიამ, რომლის დირექტორიც იყო დ. ა-ი (ანუ სახეზე უნდა ყოფილიყო თანამონაწილეობა/ჯგუფური დანაშაული), თუმცა მიუხედავად ამისა, არც იმ დროს და არც შემდგომ, აღნიშნულ საქმეზე ბრალი არ წარუდგენიათ არც მ. დ-ისათვის და არც სხვა რომელიმე მესამე პირისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული, მოწმეთა ჩვენებებთან და რაც მთავარია შედეგთან (ანუ უშედეგობასთან) ერთად, ცალსახად მიუთითებს არამართო ბრალდების აბსურდულობაზე არამედ, ხსენებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ჭეშმარიტ მიზანზეც – იგი გამოყენებული ყოფილიყო იმისათვის, რათა ბრალდების ადრესატს და ასევე მასთან დაკავ-

შირებულ პირებს ვერ მოეხდინათ საკუთარი უფლებების სრულ-ფასოვანი რეალიზება.

137. ამასთან, კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ ვიდეორჩანანერს, სადაც ასახულია საქართველოს ექს-პ. 2008 წლის 23 ნოემბრის შეხვედრა ქარხნის პერსონალთან, შეფასებას (იხ., ამ განჩინების პ-100) და მიაჩნია, რომ აღნიშნული ვიდეორჩანანერი სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ განიხილა, როგორც მოსარჩელის მიმართ, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებული იძულების დამადასტურებელი მტკიცებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

138. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე წლის 28 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

139. საქმეზე ზეპირი განხილვა ჩატარდა 2019 წლის 01 თებერვალს. შემდგომი სხდომა მხარეთა მორიგების მიზნით გადაიდო 2019 წლის 01 მარტს. 2019 წლის 01 მარტს საქმის ზეპირი განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, დავის მორიგებით დასრულების შესახებ. საკასაციო პალატის 2019 წლის 01 მარტის საოქმოდ განჩინებით საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, სსსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, გადაიდო 2019 წლის 29 მარტს.

140. საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

141. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

142. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიერ დადებული სადავო გარიგების იურიდიული ძალმოსილება და იმის დადგენა, დაკარგა თუ არა მან საკუთრების უფლება დავის საგანზე. მოსარჩელის მტკიცებით, შპს „ს-ასა“ და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, მის მიერ გამოვლენილია იურიდიულად არანამდვილი ნება, შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება სამარ-

თლებრივ ლეგიტიმაციას არ ატარებს და მოპასუხეს ქონებაზე საკუთრების უფლება არ მოუპოვებია, რის გამოც, სარჩელით მოთხოვნილია, მართლსაწინააღმდეგო განკარგვის შედეგად საკუთრების ობიექტის მოპასუხისაგან გამოთხოვა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემომწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემაჯავლი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). სარჩელის ფაბულიდან გამომდინარე (მოსარჩელე მხარე მიუთითებს გარიგების იძულებით დადების გზით ქონების მისი ფაქტობრივი ბატონობიდან გასვლაზე, ამასთან, მიიჩნევს, რომ გარიგება ამორალურიცაა), საკასაციო პალატის შეფასებით, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შეიძლება წარმოადგენდეს, სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408.1 მუხლები ან სსკ-ის 976.1 და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი, თავად ქონების განკარგვის მართლზომიერება (ნების გამოვლენის ნამდვილობა) კი, უნდა შემომწმდეს ამავე კოდექსის 54-ე, 55-ე, 85-ე-87-ე მუხლების ფარგლებში, ამასთანავე, სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება კვლევას, თუ რა ვადაში განხორციელდა შეცილება, რათა არ გაუარესდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა.

143. უწინარესად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონიშნავს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე,

ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა ნა-
ნამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდე-
ნად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და
მატერიალური თვალსაზრისით). მოცემულ საქმეზე დადგენილია
შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც სსსკ-ის 407-ე
მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის
სავალდებულო ძალა გააჩნიათ:

144. 2001 წლის 30 აპრილს ჩატარდა შპს „თ-ის“ სადამფუძნებ-
ლო კრება. აღნიშნული კრების №1 ოქმით დამტკიცდა კომპანიის
წესდება და დადგინდა ამ წესდების რეგისტრაციაში გატარების
ვალდებულება. ამავე კრებაზე შეიქმნა კომპანიის სამეთვალყუ-
რეო საბჭო და მის შემადგენლობაში თავმჯდომარედ დამტკიცდა
ა. ს-ე, წევრებად კი – ნ. რ-ი და ქ. ც-ე. (იმავედროულად კომპანიის
პარტნიორები).

145. კომპანია დარეგისტრირდა 2001 წლის 02 მაისს. კომპანიის
პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა სანესდებო კაპიტალში შე-
ადგენდა 50%-50%-ს. საზოგადოების ხელმძღვანელობა ეკისრებო-
და სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც იქმნებოდა პარტნიორების
გადაწყვეტილებით. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავდა საზო-
გადოების საქმიანობის სტრატეგიას. საზოგადოებას წარმოადგენდა
დირექტორი (იხ., კომპანიის წესდების მე-6 და 7 მუხლები).

146. 2005 წლის 28 ივნისს ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომი-
კური განვითარების სამინისტროს, როგორც გამყიდველსა და მე-
ორე მხრივ, მოსარჩელე კომპანიას, როგორც მყიდველს შორის გა-
ფორმდა სანოტარო აქტი – ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლი-
თაც გამყიდველმა მყიდველს „სახელმწიფო ქონების პირდაპირი
ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებისა და სხვა ნორმატი-
ული აქტების საფუძველზე, საკუთრებაში გადასცა სს „ე-ის“ სა-
ხელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (3 550 445 ცა-
ლი აქცია, რაც შეესაბამებოდა აქციათა საერთო რაოდენობის
51.635%) ღირებულებით 6 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი
ეროვნულ ვალუტაში, საიდანაც ხელშეკრულების გაფორმების მო-
მენტისთვის მყიდველს გადახდილი ჰქონდა 600 000 აშშ დოლარის
ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ნასყიდობის ხელშეკრულებით
მყიდველმა იკისრა ვალდებულება ხელშეკრულების გაფორმების
შემდგომ, 2005 წლის 01 აგვისტომდე, გადაეხადა ნასყიდობის დარ-
ჩენილი საფასური – 5 400 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვ-
ნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლი-
თი კურსის შესაბამისად.

147. 2007 წლის 29 ნოემბერს ქარხნის გენერალურმა დირექტორ-
მა სარჩელი წარადგინა მოპასუხეების: შპს „ს-ისა“ და სს „თ-ის“ მი-

მართ, რომლითაც მოითხოვა: შპს „ს-ისათვის“ დავალიანების – 9 588 388 ლარის, ზიანის – 2 577 162 ლარის, ვალდებულებების შესრულებლობის და არაჯეროვნად შესრულების გამო, ქარხნის დავალიანების დასაფარად აღებული კრედიტის – 190 218 ლარის ანაზღაურების დაკისრება; აგრეთვე, №-.... ხელშეკრულებით მიღებული 397 117.20 ლარის და №... ხელშეკრულებით მიღებული 1 588 468.80 ლარის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნება. სარჩელი სასამართლომ მიიღო წარმოებაში. აღნიშნული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით (№2/5491-07) განუხილველად იქნა დატოვებული 2007 წლის 11 დეკემბერს ქარხნის გენერალური დირექტორის მიერ სარჩელის უკან გამოხმობის საპროცესოსამართლებრივი საფუძვლით [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83'-ე და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი].

148. 2006 წლის 11 აპრილს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის 2006 წლის 28 თებერვლის №96 ბრძანების საფუძველზე, ქარხანაში შემონმდა პრივატიზაციის საკითხების სისწორე, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი. ამ აქტში მითითებულია, რომ „... შემონმების პერიოდში, გამოძიების მიერ ამოღებული დოკუმენტაციით და ქარხნის მიერ მიწოდებული წერილობითი ინფორმაციით ირკვევა, რომ დარღვეულია მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ყოველწლიურად პროდუქციის მოცულობის 3-5%-ით ზრდის თაობაზე. ქარხანაში რეალურად ზრდის ნაცვლად გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შემცირდა. არ შესრულდა ვალდებულება სს „ე.“-ში 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების თაობაზე, არ მოხდა საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის და მასთან გათანაბრებული ფონდების მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვა. საინვესტიციო პროგრამის პერიოდში არ გაიზარდა სამუშაო ადგილები. პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის ნაცვლად, შემცირებამ შეადგინა 65.7%. აქტის შედგენის თარიღისათვის ქარხნის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6864317 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და დაყოფილია 6864317 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, რომელთაგან თითოეულის ღირებულება შეადგენს 1 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. აქედან, მოპასუხის მფლობელობაშია აქციების 47,737037 ანუ, 3276821 ჩვეულებრივი სახელობითი აქცია“.

149. 2006 წლის 12 აპრილს შედგა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აქტი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ქარხანაში 2003 წლის 01 იანვრიდან 2006 წლის 01 იან-

ვრამდე საანგარიშო პერიოდის საფინანსო საქმიანობის შემონმე-
ბის შესახებ. ამ აქტში მითითებულია შემდეგი: „... შემონმებით ირ-
კვევა, რომ მოპასუხემ ქარხნის საბრუნავი სახსრებიდან პირად სა-
კუთრებაში არსებული საწარმოს კაპიტალურ-აღდგენითი სამუშა-
ოების ჩატარებას მოახმარა 1215818.13 ლარი, ამასთან, საზოგა-
დოებაში გასანაწილებელი მოგების არარსებობის მიუხედავად, გა-
იცა (დივიდენდის სახით) 852024 ლარი. მითითებული ოპერაციე-
ბით ქარხანას მიაღდა ზიანი – 2067842.13 ლარი“.

150. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2008 წლის 09 იანვრის შე-
მონმების აქტი, რომლის მიხედვით, ქარხანაში ჩატარდა დოკუმენ-
ტური რევიზია, რაც მოიცავდა 2005 წლის 01 იანვრიდან 2007 წლის
01 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდს.

151. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამ-
სახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნე-
ლოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებელმა შუამ-
დგომლობით მიმართა სასამართლოს მოსარჩელე კომპანიიდან და
ქარხნიდან 2004-2007 წლების საანგარიშო პერიოდში, საბუღალტრო
და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების
დედნების, ასევე, კომპიუტერების პროცესორების და სხვა დოკუ-
მენტების ამოღების მოთხოვნით. შუამდგომლობა, საგამოძიებო
მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ, დაკმა-
ყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 07 თებერვლის ბრძანებით.

152. 2008 წლის 17 სექტემბერს, მოსარჩელე კომპანიას, როგორც
გამყიდველს, წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით და ბ. წ-ს
შორის გაფორმდა სანოტარო აქტი – აქციების ნასყიდობის ხელ-
შეკრულება (რეგისტრაციის №-...) (შემდეგში – ქარხნის აქციათა
მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება ან სადავო ნასყიდობის ხელ-
შეკრულება), რომლის საფუძველზე, გამყიდველმა მყიდველს მიჰ-
ყიდა მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული ქარხნის 1
775 223 აქცია, რაც შეადგენდა აქციათა საერთო რაოდენობის
25.817895%-ს. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იყო
1 აშშ დოლარი, რაც ჯამში შეადგენდა 1 775 223 აშშ დოლარს. ქარ-
ხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით ნას-
ყიდობის საგანი პირობადებული საკუთრების უფლებით ეკუთვნო-
და გამყიდველს – მოსარჩელე კომპანიას. ამასთან, ნასყიდობის სა-
განი დაგირავებული იყო ერთ-ერთი საკრედიტო დაწესებულების
(ბანკი) სასარგებლოდ. ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელ-
შეკრულების თანახმად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა,
ხოლო მყიდველმა იყიდა 1 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლა-
რად. ნასყიდობის ფასი გადახდილი უნდა ყოფილიყო ეროვნულ ვა-

ლუტაში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის (1 აშშ დოლარი = 1.4020 ლარს) შესაბამისად, რაც შეადგენდა 1 542 200 ლარს. ნასყიდობის საფასური უნდა ჩარიცხულიყო მოსარჩელე კომპანიის მიერ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაშივე მითითებულ საბანკო ანგარიშზე. ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით 08.09.2008 წლის მდგომარეობით ქარხნის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 40661550.47 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება – 64149265.24 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ ქარხნის დავალიანება აღმოჩნდებოდა მითითებულზე მეტი, რაც არ იყო გაცხადებული გამყიდველის მიერ, გამყიდველი ვალდებული იყო მიეღო ველისათვის აენაზღაურებინა ზიანი სრულად.

153. 2008 წლის 17 სექტემბერს, ვ. ჭ-ს, როგორც ქარხნის განსაზღვრული რაოდენობის აქციათა მესაკუთრეს და მოპასუხეს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი – აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №...), რომლის საფუძველზე, ქარხნის აქციათა მესაკუთრემ მოპასუხეს მიჰყიდა ქარხნის 1775222 აქცია, რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 25.817881%-ს (ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულება). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი, სულ ნასყიდობის საგნის – 1775222 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1775222 აშშ დოლარი. ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი გაყიდა, ხოლო მიღველმა იყიდა 1 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. ნასყიდობის ფასი გადახდილი უნდა ყოფილიყო ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის (1 აშშ დოლარი = 1.4020 ლარს) შესაბამისად, რაც შეადგენს 1 542 200 ლარს. ნასყიდობის საფასური უნდა ჩარიცხულიყო მოსარჩელე კომპანიის მიერ ქარხნის აქციათა მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

154. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 06 ნოემბრის დადგენილებით მოსარჩელე კომპანიის ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამ დადგენილების მიხედვით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც იმავდროულად, არჩეული იქნა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, განიზრახა თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად ქარხანაში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ამავე ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების სანინააღმდე-

გოდ და ქარხნიდან დიდი ოდენობით თანხა გადაქაჩა მოსარჩელე კომპანიაში, სადაც 50%-იანი წილზე საკუთრების უფლება გააჩნდა მის მეუღლეს – კომპანიის პარტნიორს. მოსარჩელე კომპანიის მიერ შესყიდული მომსახურების გაუნაღდებლობის გამო, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უშუალო ჩარევითა და მითითებით, ბანკებიდან აღებული დიდი ოდენობით სესხებზე სარგებლისა და პირგასამტეხლოს სახით (სარგებლის 18%-იანი და პირგასამტეხლოს 0.12%-იანი განაკვეთიდან გამომდინარე) განეული დანახარჯებით ქარხანამ განიცადა ზიანი – 3 355 042 ლარი, მათ შორის, სარგებლის სახით 990 408 ლარი და პირგასამტეხლოს სახით 2 364 634 ლარი.

155. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის ბრძანებით ყადაღა დაედო ქ, თბილისში, ფ-ის ქ. №-..., ბინა №-ში მდებარე მოსარჩელე კომპანიის ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით ყადაღა დაედო მისივე კუთვნილ 25%-იან წილს შპს „ნ-ში“.

156. მოსარჩელემ (პირველი კომპანია) მოპასუხის მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №...) ბათილად ცნობა და აქციების აღრიცხვა მოსარჩელე კომპანიის სახელზე (იხ., შუამდგომლობა სარჩელის მოთხოვნის დაზუსტების შესახებ, ამ განჩინების პ.9).

157. მოსარჩელემ მიუთითა, რომ აქციათა ნასყიდობის პირველი ხელშეკრულების დადების შემდეგ, აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%-ზე (ნასყიდობის საგანი) საკუთრების უფლება მოიპოვა მოსარჩელე კომპანიამ (იხ., ამ განჩინების პ-3), ხოლო დარჩენილი აქციები საკუთრებაში რჩებოდა ამავე ქარხნის თანამშრომლებს, მათ შორის, ქარხნის აქციების დაახლოებით 47% ეკუთვნოდა მოპასუხეს. 2006 წლის 25 იანვრიდან ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა პირი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა მოსარჩელე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და სხვა პარტნიორებზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად, მოსარჩელე კომპანიამ თავის საკუთრებაში არსებული ქარხნის აქციები საკუთრებაში გადასცა ქარხნის სხვა აქციების მესაკუთრეს – მოპასუხეს.

158. მოსარჩელემ განმარტა, რომ ვინაიდან ქარხნის ძირითადი საქმიანობა იყო ე-ების შეკეთება და მშენებლობა, მისი უმთავრესი დამკვეთი იყო სახელმწიფო საწარმო – შპს „ს-ა“, რომელთანაც, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელი საწარმოს მხრიდან ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას, მხა-

რეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელიც აღიძრა სასამართლოში (იხ., ამ განჩინების 3-4), თუმცა, სარჩელი განხორციელებული ზენოლის შედეგად ქარხანამ უკან გამოიხმო. ზენოლა გამოიხატა კომპანიის დირექტორის, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორის დაპატიმრების მუქარაში. პარალელულად, ზენოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, გაიცა ბრძანება მოსარჩელე კომპანიასა და ქარხანაში საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების დედნების, კომპიუტერების პროცესორების და ა.შ. ამოღების მოთხოვნით, იმის მიუხედავად, რომ შედგენილი იქნა ქარხნის პრივატიზაციის საკითხების სისწორის და საგადასახადო შემოწმების შესახებ არაერთი აქტი (იხ., ამ განჩინების პპ: 5-8, 11).

159. მოსარჩელის მოსაზრებით, მითითებული ქმედება მიმართული იყო კომპანიის ფუნქციონირების შეფერხებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის დამძიმებისკენ. განხორციელებული ზენოლის მიზანს კი, წარმოადგენდა მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული ქარხნის აქციათა საერთო რაოდენობის 51.635%-ის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც იმავდროულად, იყო ქარხნის დაახლოებით 47% აქციების მესაკუთრე.

160. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით კომპანიის სარჩელი (იხ., ამ განჩინების 3-14) ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №...) ბათილად ცნობისა და აქციების კომპანიის სახელზე აღრიცხვის შესახებ დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი კომპანიასა და მოპასუხეს შორის დადებული ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრაციის №...) და მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქარხნის აქციების 25.817895%-ის მესაკუთრედ აღირიცხა კომპანია. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა სამართლებრივად მოაწესრიგა სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის იძულება, ნების სანიხალმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას. სასამართლომ წარმოშობილად მიიჩნია ა) მოსარჩელის წინააღმდეგ მესამე პირების მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბ) მოსარჩელის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

ნალმდეგო ქმედება – უპირობოდ დაცული ფასეულობის, საკუთრების უფლების ხელყოფა; ბ) ბრალეულობა – მოპასუხემ შეგნებულად, სადავო გარიგების გაცნობიერებულად დადებით, ხელი შეუწყო მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხელყოფას; გ) ზიანი – მესაკუთრემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, დაკარგა აქციებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლება; დ) მიზეზ-შედეგობრიობა – მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი გამომწვეულია მოპასუხის ქმედების შედეგად.

161. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ.

162. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ქარხნის აქციათა მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების (რეგისტრაციის №...) ბათილად ცნობისა და აქციების კომპანიის სახელზე აღრიცხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა (იხ., ამ განჩინების პ-14).

163. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, მან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებისაგან (№ას-664-635-2016), გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;

164. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მა-

შინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

165. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება არა მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს, არამედ, სასამართლომ იხელმძღვანელა მხოლოდ იმ დამხმარე ნორმებით, რომლებიც, ერთ შემთხვევაში, საცილო, ხოლო, მეორე შემთხვევაში – უცილოდ ბათილი გარიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას ადგენს. სწორედ ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა საკასაციო საჩივარი და მხარეთა პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმებას, მათ შორის, დავის ფაქტობრივი ნაწილის კვლევას ორი სხდომა მიუძღვნა, შესაბამისად, მტკიცებულებათა დონეზე შემოწმდა ყველა ის პრეტენზია, რომლებზე დაყრდნობითაც კასატორი მიიჩნევდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება იყო არასწორი.

166. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სისტემაში და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაც-

ვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

167. საკასაციო სასამართლომ ზეპირი განხილვისას შეამოწმა სადავო გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი არ არის ფორმალურად გამართული, იგი არ შეიცავს დამაჯერებელ, ლოგიკურ დასაბუთებას იმ ფაქტების თაობაზე, რომლებსაც ემყარება მხარის მოთხოვნა. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მიერ ზეპირ განხილვაზე კასატორთა მხრიდან მიღებული განმარტებებისა, იგი შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დროისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

168. მოთხოვნის საფუძვლების დაზუსტებასა თუ მტკიცებულებათა წარდგენას, მოსარჩელემ დააზუსტა კიდევაც სარჩელის საფუძვლები, თუმცა, ამჯერადაც არ წარუდგენია დასაბუთებული პრეტენზიები. სასამართლო კი, ზემოთ ხსენებული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 1030-31, §58; მორისი გაერთიანებუ-

ლი სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამის სანინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაქტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v. Armenia, საჩივარი no26986/03), რაც მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც აღინიშნა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

169. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მიღებული განმარტებების შედეგად საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელე დავობს საკუთრების უფლების მართლსაწინააღმდეგო ჩამორთმევის ფაქტზე (იხ. ევროკონვენციის დამატებითი ოქმის 1.1. მუხლი) და სურს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – ქონების დაბრუნება. თავად საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევას კასატორი მხარე უკავშირებს იმ ფაქტორს, რომ გარიგება, რომელიც ქონების გადაცემის საფუძველს წარმოადგენდა, დადებულია იძულების შედეგად, რაც გამორიცხავს ნამდვილი ნების არსებობას და მის ამორალურობაზე და მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე მოტივის დადასტურება განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს და შესაბამისად, განსხვავებულ ფაქტებს ემყარება, ამასთან, წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიცაა: თუკი გარიგების ნამდვილობას მისი დადების დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 54-ე და/ან 55-ე მუხლის კონტექსტში შევამოწმებთ, მაშინ სახეზე უცილოდ ბათილი გარიგება უნდა გვქონდეს, რომელსაც იმთავითვე ფორმალურადაც არ წარმოუშვია სამართლებრივი შედეგები, ხოლო, თუკი ამავე კოდექსის 85-ე და შემდგომი ნორმების ფარგლებში იმსჯელებს საკასაციო სასამართლო, ასეთ შემთხვევაში სახეზე უნდა გვქონდეს საცილო გარიგება, რომელიც ფორმალურად ნამდვილია და თუკი არ იქნება დადგენილ ვადაში შეცილებული, მას კანონიერი ძალა მიენიჭება.

170. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის

მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოქმედოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

171. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

172. მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

173. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებე-

ბია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

174. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

175. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

176. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის

ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

177. საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

178. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე

მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

179. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ., სუსგ №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

180. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებათა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა. (იხ. დამატებით: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 132; ბილინგი ჰ.,/ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2004-2009, 14; ქოჩაშვილი ქ., მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობი-

დან ნივთის გამოთხოვისას, თბ., 2012, 280; ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2011, 39; ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 84;).

181. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.

182. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ-14-20 მითითებულ სარჩელის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მოწესრიგებას ან დელიქტური ვალდებულებებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან – 992-ე მუხლი, 998-ე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, ან გავლენის ბოროტად გამოყენების გამო გარიგების ბათილობა – სსკ-ის 55-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლი, ან კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება – მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სსკ-ის 976.I და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი (დამხმარე ნორმა – სსკ-ის 54-ე მუხლი).

183. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნ-
დამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზ-
ღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითო-
ბის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებები-
თა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები,
უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთ-
ხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ-
ვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძ-
ვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქ-
ნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორ-
მის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო
მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული,
ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მი-
ზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასა-
მართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცე-
მული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახ-
დენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის
პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებელი მხა-
რის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი
განკუთვნილი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლება-
მოსილი, ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკი-
ცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-
ე, ასევე, 103-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინ-
ციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს
პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად
კანონის ამა თუ იმ დანაწესის მიითითება არ არის გადაწყვეტილე-
ბის მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, ამ-
გვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული
პრინციპიდან: „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი). საკა-
საციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა ასახული
ხსენებული მიდგომა (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შო-
რის იხ. სუსგ-ები: №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი; №ას-
877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი, ასევე, სუს დიდი პალა-
ტის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი),
თუმცა, შეჯიბრებითობის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-
სის მე-5 მუხლით გარანტირებული პირთა თანასწორობის პრინცი-
პებიდან გამომდინარე, მხარეები უნდა იყვნენ ინფორმირებული
სასამართლოს მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის გან-
საზღვრის თაობაზე და მიეცეთ სრული შესაძლებლობა, წარადგი-
ნონ საკუთარი პოზიცია.

184. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გარიგების ბათილო-

ბის ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ განსაზღვრული პირობების დარღვევით დადებულ გარიგებებს ბათილად აღიარებს. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 385-393). ამიტომ გარიგების ბათილობის ცნება და შინაარსი კანონის ნორმებსა და ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I., მუხლი 54., თბ., 2017, ველი 5.) ბათილია გარიგება, თუ ის არ იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, რადგან მოქმედი კანონმდებლობა გარიგების მონაწილეთა მიერ განხორციელებულ ნების გამოვლენას სამართლებრივად დაუშვებლად მიიჩნევს.

185. პირის მოთხოვნა ნივთის უკან დაბრუნებაზე, შესაძლოა, არსებობდეს გარიგების ბათილობის შემთხვევაშიც. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშეხამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლის გამო.

186. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის (იხ., ამ განჩინების 3-14) სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 54-ე მუხლები. მითითებულ ნორმათა წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევა მოსარჩელის მოსაზრებით გამოიხატა იმაში, რომ სადავო ხელშეკრულების დადების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ განხორციელდა კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო და არაკეთილსინდისიერი ქმედება, მოპასუხის სასარგებლოდ გარიგების დადების მიზნით. შესაბამისად, საკასაციო პალატა პირველ რიგში იმსჯელებს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების ქრილში (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სსკ-ის 976.I და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი, დამხმარე ნორმა – სსკ-ის 54-ე მუხლი).

187. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“, რომელთა

დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა; საჯარო წესრიგი; ზნეობის ნორმები, ანუ გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი ფასეულობის დარღვევა, როგორცაა ზნეობა. გარიგების ბათილობა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, იცოდნენ თუ არა გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. მთავარი პრობლემა არის იმის დადგენა, თუ რა არის ზნეობა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება. ზნეობასთან დაკავშირებით სსკ-ის 54-ე მუხლი შეიცავს ზოგად ნორმას, რომლის დაკონკრეტება სასამართლო პრაქტიკაზე დამოკიდებული. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 54., თბ., 2017, ველი 31.)

188. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

189. სსკ-ის მე-8 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. „მუხლის მიზანი არის, ერთი მხრივ, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა წრის განსაზღვრა, ხოლო მეორე მხრივ, ამ ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის შეფასების უნივერსალური შეფასების დადგენა“. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 8., თბ., 2017, ველი 1-ლი.)

190. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული კერძო სამართლის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა „კეთილსინდისიერების“ მნიშვნელობა. განვითარებული ქვეყნების სამართალში იგი წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედს. ქართულ სამოქალაქო სამართალშიც იმავე მიზანს ემსახურება კეთილსინდისიერების, როგორც სამართლებრივი ფასეულობის შემოღება. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. „კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე“. (იხ. სუსგ №ას-23-18-2011, 24 მაისი, 2011).

191. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის საერთო მიმართულებასაც. არა ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

192. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, „თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით“. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით. (იხ. *Towards a European Civil Code*, ed. by Hartkamp/Hesselink/ Hondius/ Perron/ Vranken, Nijmegen, Dordrecht, Boston, London, 1994, 205-209.) კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (International Institute for the Unification of Private Law – UNIDROIT) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკ-

რულებების პრინციპების (Principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლიც, კერძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება.“ (იხ. Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT), Rom, 1994, Uniform Law Review, 2004, 124).

193. არაკეთილსინდისიერი ქცევის დადგენა კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და მოსამართლის მიერ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოსამართლის მიერ წარმოებული შეფასების ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინება. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ზოგადსახელმძღვანელო პრინციპი, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არაერთ მუხლში. ამიტომაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით, არამედ იგი ამოსავალი და ფუნდამენტური ქცევის პრინციპია ზოგადად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

194. სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილი განამტკიცებს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი დამოუკიდებელია მასში მონაწილე სუბიექტებისაგან. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფოს მონაწილეობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში. ეს ნორმა ზოგადია და ის განხილულ უნდა იქნეს სსკ-ის 24 III და 24 IV მუხლებთან კავშირში“ (იხ. ლ. ჭანტურია სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 8., თბ., 2017, ველი 9).

195. სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტიების გზით. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/423.)

196. „სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლე-

ბების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი. სახელმწიფოს, რომელიც თავად უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი, არ აქვს ამ ინტერესის (სამართლებრივი უსაფრთხოება) სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი, რაც განასხვავებს მას კერძო პირებისაგან. სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან კანონის დარღვევით გამოწვეული ზიანის გამოსწორების/ უფლების აღდგენის შესაძლებლობა. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531).

197. „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება არა მარტო ინდივიდის არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512). „უნდა ითქვას, რომ მენარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირურთიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მენარმეობის თავისუფლება. ეტყობა, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ შეიცავს ცალკე ნორმას მენარმეობის თავისუფლების შესახებ და მას იქ მოიაზრებენ, სადაც საკუთრების უფლების გარანტიებზეა საუბარი. მართლაც, მენარმეობა საკუთრების თავისუფლების გამოვლენის, მისი შინაარსის დემონსტრირების საუკეთესო ფორმაა... საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამენარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ

დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი.“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/411). სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა. (როდესაც საზოგადოებრივი ინტერესია დღის წესრიგში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის ფუძემდებლურ უფლებებში, როგორცაა საკუთრების უფლება, ჩარევას აქვს ადგილი, ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს დროულად, ჯეროვნად და რაც მთავარია, თანმიმდევრულად.“ (JGK STATYBA LTD AND GUSELNIKOVAS v. LITHUANI, 2013).

198. საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შექმნის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადაწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისათვის. „საკუთრება კანონიერია და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შექმნა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება. საკუთრება კანონიერად მაშინ ჩაითვლება, თუ ის შექმნილია კანონის მოთხოვნათა დაცვით“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/5/309).

199. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია, პირველ რიგში ნიშნავს მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან მის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში, კერძოდ, მიმართოს სასამართლოს. „თუმცა ამ უფლების გარანტირებულობა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვის უფლებით არ ამოიწურება, ის ამავედროულად ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ეს უფლება“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. ამავე დროს სახელმწიფო პოზიტიურადაა ვალდებული, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების წევრებს შორის. სახელმწიფოს გააჩნია დაცვის ვალდებუ-

ლება, რომელიც მას გარკვეული ქმედების შესრულებას ავალდებულებს. სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება ირღვევა მისი უმოქმედებისას“. (იხ. ფირცხალაიშვილი ა., სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1/12 თბ., 2012, 49).

200. ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ასევე მოიცავს კომპანიის წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1983 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden* (განაცხადის №. 8588/79, 8589/79; 1983).

201. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვ. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. გარიგების მართლსაწინააღმდეგობისა და ამორალურობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება, თუმცა, აუცილებელი არ არის მხარეთა ნება თანხვედრი იყოს, ანუ გარიგების დადების ამორალური და მართლსაწინააღმდეგო მოტივი და მიზანი ორივე მხარეს ამოძრავებდეს. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისათვის საკმარისია გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი, ამორალური განზრახვა. სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია.

202. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი ამ შემთხვევაში სტრუქტურული დისბალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას – ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა – დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე

სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის აღდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვავინწყდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალური თეროების კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაჰენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს.

203. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდაც მას შეუძლია. როცა დასტურდება, რომ იგი უძლურია ზიდაც ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემა, სწორედ, სახელმწიფოს ეკისრება იმისი მტკიცების ვალდებულება, რომ მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული გარიგება არ ენინააღმდეგებოდა მორალურ იმპერატივებს და სუსტი მხარის ინტერესებს. როდესაც სადავო გარიგების კონტრაჰენცია სახელმწიფო, რომლის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მიმართ იმთავითვე ნაფრაუდევია კანონშესაბამისობის ანუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილი სამი დამოუკიდებელი წინაპირობის დაცვის მოლოდინი იმ მხარის მიერ, რომელიც ძლიერ მხარესთან შედის სახელშეკრულებო ბოჭვაში.

204. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის და სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სასომხეთის წინააღმდეგ“, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებულ კერძოსამართლებრივ გარიგებებში, ისევე, როგორც ზოგადად სხვა

პირთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში, შემონმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობასთან, შესაძლებელია გარიგების მოტივის ამორალურობა გარიგების ამორალურად მიჩნევასაც დაედოს საფუძვლად. არსებითია არა ის, თუ რამდენად იცოდნენ გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, არამედ ის, თუ რა შინაარსის გარიგება დადეს მათ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მისაჩნევად სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაკვლევი და სამართლებრივად უნდა შეფასდეს არა გარიგების მონაწილეთა სუბიექტური ქცევა/ქმედება, არამედ თავად გარიგების შინაარსი ობიექტურად რამდენად შეესაბამება ზნეობის ნორმებს, სწორედ ამით განსხვავდება სსკ-ის 54-ე მუხლში მოცემული გარიგების ბათილობის სამი ალტერნატიული წინაპირობა ერთმანეთისაგან: 1. არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს (ამ შემთხვევაში კანონის კონკრეტული დანაწესის გარდა, მნიშვნელოვანია გარიგების მონაწილეთა ქცევა/ქმედებაში სუბიექტური ელემენტის კვლევა გარიგების შინაარსთან მიმართებით) 2. ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (კონკრეტულ დანაწესზე უნდა იქნეს მითითებული, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეფასდეს გარიგების მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება); 3. ზნეობის ნორმებს (როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შესაფასებელია გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობის ნორმებთან და არა სუბიექტურად კონტაჰენტთა სუბიექტური ცოდნა და შეხედულება, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ზნეობის საწინააღმდეგოდ).

205. თუმცა საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ხელშეკრულება დადებულია არა სახელმწიფოსთან, არამედ ფიზიკურ პირთან, თანაც სარჩელიც აღძრულია არა სახელმწიფოსა და მყიდველი ფიზიკური პირის მიმართ, არამედ მხოლოდ მყიდველი ფიზიკური პირის მიმართ. ამიტომაც განსხვავებით სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებებისაგან, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე სახელმწიფოს სასარგებლოდ განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ დადებული გარიგება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს ან ამორალურია და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ ასეთ ქმედებას ადგილი არ ჰქონია და სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალი-

ზებას მოითხოვს. განსახილველ შემთხვევაში, რადგან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია არა სახელმწიფოსთან, არამედ ფიზიკურ პირთან, ამიტომაც მოსარჩელეს ეკისრება სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის მტკიცება.

206. სსკ-ის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდეფინიციური ხასიათისაა და სხვა ნორმების, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, მითითების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრაჰენტთა ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისადმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება. სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების, კერძოდ, სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979.1 მუხლების საფუძველზე.

207. კასატორის ერთ-ერთ პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ სარჩელის გამოხმობის იძულების მიზანი იყო – შპს „ს-ის“ წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოების შეწყვეტა, რაც სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მიღწეული იყო. გარდა ამისა, სარჩელის გამოხმობის შესახებ იძულება, ფიცის ქვეშ დაადასტურეს მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულ მონმეთა უმრავლესობამ, მათ შორის, ქარხნის მაშინდელმა ადვოკატმა, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ კომპანია შპს „ს-ის“ წინააღმდეგ სარჩელი გამოიხმო 2007 წლის 11 დეკემბერს, ქარხნის დირექტორის – მ. დ-ის სახელით, მაშინ როდესაც აღნიშნული პიროვნება ამ დროისთვის საქართველოში არც იმყოფებოდა (საქართველოში შემოვიდა 2007 წლის 12 დეკემბერს). მიუხედავად ამისა, სააპელაციო

სასამართლომ სათანადო ყურადღებისა და შეფასების გარეშე დატოვა ზემოაღნიშნული ფაქტი. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.127-128.) სააპელაციო სასამართლომ უარყო მოსარჩელის არგუმენტი შპს „ს-ის“ მიერ ქარხნის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან მიმართებით, რასაც კასატორი არ ეთანხმება და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საპირისპიროდ მიუთითებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, კერძოდ, ქარხნის მაშინდელი მენეჯმენტის წერილებზე ს-ის, ასევე საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების (პ-... თავმჯდომარის, პ. მ., პ.) სახელზე.

208. საკასაციო პალატა კასატორის ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით აღნიშნავს: სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ს-ა“ განზრახ თავს არიდებდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას (იხ., ამ განჩინების პ-17). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ურთიერთობის გართულება, პირიქით, ქარხნის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების შედეგია და ამ თვალსაზრისით, 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის ერთ-ერთ საფუძვლად შპს „ს-ის“ მხრიდან ქარხნისათვის თანხის გადაუხდელობაზე აპელირება, რომელიც, მოსარჩელის აზრით, ქარხნის წინააღმდეგ მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო, უარყოფილი იქნა. მოსარჩელის განმარტებით, ქარხანამ სარჩელი აღძრა შპს „ს-ა“-ს წინააღმდეგ, თუმცა, სარჩელი უკან გამოიხმო ამ განჩინების პპ: 4, 17-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამო, სააპელაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე, ასევე, სსსკ-ის 278 მუხლზე [დისპოზიცია: „იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით“] და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში შეუნარჩუნდა უფლება კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, რაც იძულების შემთხვევაში ალოგიკურია, ტოვებს რა შემდგომში სარჩელის ხელმეორედ აღძვრის შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული მუქარისა და იძულების პირობებში, როგორც ამაზე მიუთითებდა მოსარჩელე, იძულების ინტერესებს შეესაბამებოდა არა სარჩელის გამოხმობაზე იძულება, არამედ სარჩელზე უარის თქმაზე იძულება, რაც შემდგომში გამოირიცხავდა დავის განახლების შესაძლებლობას. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარ-

ჩელზე, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ხოლო სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ ქარხანა 2008 წლის 17 მარტის განცხადების გათვალისწინებით სრულად აღიარებდა, ეთანხმებოდა და არ ასაჩივრებდა გადახდის ბრძანებას მისთვის 13 072 755 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულების თაობაზე რაიმე დამაჯერებელი მოსაზრება ან მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. შესაბამისად, 2007 წლის 11 დეკემბერს სარჩელის სახელმწიფოს მხრიდან იძულების შედეგად გამოხმობის ნაწილში, მოსარჩელის მსჯელობები უარყოფილი იქნა.

209. საკასაციო პალატა ეთანხმება საპელაციო პალატის ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას და დამატებით მიუთითებს, რომ სს „ვ-მა ქ-ამ“ (და არა შპს „თ-მა“) სარჩელი აღძრა არა მხოლოდ შპს „ს-ა“-ს მიმართ, არამედ სს „თ-ის“ მიმართაც, რომელსაც ხელს აწერს სს „ვ-მა ქ-ას“ დირექტორი მ. დ-ე. საქმეში განთავსებულია სარჩელის უკან გამოხმობის განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ასევე სს „ვ-მა ქ-ას“ დირექტორი მ. დ-ე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის სახელზე, სს „ვ-ი ქ-ა“-ს დირექტორის მ. დ-ის მიერ ხელმოწერილ 2007 წლის 11 დეკემბრით დათარიღებულ განცხადებაში სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ აღნიშნულია, რომ „თქვენს წარმობაშია სს „ვ-ი ქ-ა“-ს სასარჩელო განცხადება მოპასუხეების შპს „ს-ა“-სა და სს „თ-ი“-ი წინააღმდეგ/ რეგისტრაციის №5-...ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის შესაბამისად, ვშუამდგომლობთ სასამართლოს წინაშე და ვითხოვთ ჩვენს მიერ წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოთხოვას. ამავდროულად შეგახსენებთ, რომ საქმის წარმოების ამ ეტაპზე მოპასუხეების თანხმობა სავალდებულო არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დააკმაყოფილოთ წარმოდგენილი შუამდგომლობა და სსსკ-ის 275-ე მუხლის ვ ქვეპუნქტის შესაბამისად, განუხილველად დატოვოთ სს „ვ-ი ქ-ა“-ს სასარჩელო განცხადება მოპასუხეების შპს „ს-ა“-სა და სს „თ-ი“-ი წინააღმდეგ, აგრეთვე დაგვიბრუნოთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი“.

210. საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება (ექსპერტის დასკვნა), რომ სარჩელის უკან გამოხმობის განცხადებაზე მ. დ-ის ხელმოწერა გაყალბებულია ან რომ მ. დ-ე განცხადებაზე ხელ-

მონერის დროს საქართველოში ფიზიკურად არ იმყოფებოდა (კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსაგან გამოთხოვილი ინფორმაცია მ. დ-ის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თარიღის შესახებ). შესაბამისად, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო არ იზიარებს კასატორი მოსარჩელის პრეტენზიას, რომ მ. დ-ე სარჩელის უკან გამოხმობის შესახებ განცხადებაზე ხელმონერის დღეს არ იმყოფებოდა საქართველოში და მისი ხელმონერა გაყალბებულია (იხ. წინამდებარე განჩინების პ.128).

211. კასატორი აღნიშნავს, რომ სს „ვი ქ-ის“ მიერ შპს „ს-ის მიმართ“ სარჩელის შეტანის შემდეგ კომპანიის ადვოკატს გ. ყ-ს ფინანსური პოლიციიდან დაუკავშირდნენ და განუცხადეს, რომ თუ სარჩელს უკან არ გამოიხმობდა, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცემდნენ (დააპატიმრებდნენ) შპს „თ-ის“ დირექტორს დ. ა-ს, რომელიც იმ დროს ფინანსურ პოლიციაში იმყოფებოდა, აგრეთვე შპს „თ-ისა“ და სს „ვი ქ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარეს ა. ს-ეს და სს „ვი ქ-ას“ დირექტორს მ. დ-ეს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ჯერ ერთი, სარჩელი აღძრული იყო არა შპს „თ-ის“, არამედ სს „ვი ქ-ის“ მიერ და არა მხოლოდ შპს „ს-ას“, არამედ სს „თ-ის“ მიმართაც, მეორეც, არანაირი მტკიცებულება, ამართლაც დაუკავშირდა და ვინ დაუკავშირდა გ. ყ-ს ან მართლაც იმყოფებოდა თუ არა ამ დროს ფინანსურ პოლიციაში შპს „თ-ის“ დირექტორი დ. ა-ი, საქმეში არ მოიპოვება, მესამეც, სარჩელი გამოიხმო არა ადვოკატმა გ. ყ-მა, არამედ მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა მ. დ-ემ. მოსარჩელე კასატორმა საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ვერ ახსნა ის გარემოება, კონკრეტულად ვინ და რატომ დაუკავშირდა მაინცდამაინც ადვოკატ გ. ყ-ს და არა სარჩელზე უშუალოდ ხელმომწერ სს „ვი ქ-ის“ დირექტორს მ. დ-ეს. ან თუ მართლაც ჰქონდა ადგილი ადვოკატის მიმართ ასეთ ზემოქმედებას, მაშინ რატომ არ განაცხადა მან დაუყოვნებლივ ამის შესახებ ან მხარემ რატომ არ მიმართა შესაბამის ორგანოებს.

212. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სარჩელის გამოხმობის შემდეგ სს „ვი ქ-ას“-ა და შპს „ს-ას“ შორის გაფორმდა შეთანხმება (№სგდ/08-015, 29 აპრილი, 2008 წელი), რომელიც შეეხება ყველა იმ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სადავო საკითხების მონესრიგებას, რაც სს „ვი ქ-ას“ მითითებული ჰქონდა შპს „ს-ის“ წინააღმდეგ შეტანილ და შემდგომში უკან გამოხმობილ სარჩელში. აღნიშნული შეთანხმებით მონესრიგდა მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხები.

213. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სს „ვი ქ-ას“ მიერ სარჩელის გამოხმობიდან რამდენიმე თვეში, შპს „ს-ამ“

თავის მხრივ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სს „ვი-ი ქ-ას“ მიმართ და მოითხოვა გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ გადახდის ბრძანების მიღება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის გადახდის ბრძანებით სს „ვი-ი-ას“ დაეკისრა შპს „ს-ის“ სასარგებლოდ 13072755 (ცამეტი მილიონ სამოცდათორმეტი ათას შვიდასორმოცდათხუთმეტი) ლარის გადახდა. საქმეში განთავსებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სახელზე გაგზავნილი სს „ვი-ი ქ-ას“ გენერალური დირექტორის მ. დ-ის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც მითითებულია, რომ „ქარხანა სრულად აღიარებს, ეთანხმება და უარს ამბობს გადახდის ბრძანების გასაჩივრებაზე“. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს (კასატორს) სარჩელში არ მიუთითებია, რომ აღნიშნულიც „იძულების“ შედეგი იყო.

214. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ შპს „ს-ის“ მიერ სს „ვი-ი ქ-ის“ მიმართ სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ, მიმართა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირებს, კერძოდ, პრეზიდენტს, პ. თავმჯდომარეს და პ. მინისტრს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის მიერ მხოლოდ ცალმხრივად შედგენილი წერილები, და რაიმე მტკიცებულება, რომ ეს წერილები მართლაც გაეგზავნათ ადრესატებს (მაგალითად, პ. ან მთავრობის კანცელარიაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), საქმეში არ მოიპოვება. უფრო მეტიც, საქართველოს ყოფილი პ. სახელზე შედგენილი წერილი კი, საერთოდ ხელმოუწერელია.

215. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაშიც კი, ვერ დგინდება, რა კავშირშია ეს გარემოება მოპასუხე ბ. წ-თან. საკასაციო პალატას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, დაგენილად მიაჩნია, რომ სს „ე-ა“-ს 47,74% აქციების მესაკუთრეს სს „ვი-ი ქ-ის“ მიერ შპს „ს-ისა“ და სს „თ-ის“ მიმართ სარჩელის შეტანისა და სარჩელის გამოხმობის დროს წარმოადგენდა მოპასუხე – კასატორის მონიშნულმდეგე მხარე ბ. წ-ი. კასატორმა არგუმენტირებულად და დასაბუთებულად ვერ ახსნა, რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ბ. წ-ი სარჩელის გამოხმობით, ან სს „ე-ა“-ს გაკოტრებით ან მისთვის დამატებითი ფულადი სახის პასუხისმგებლობის დაკისრებით, მაშინ როცა იგი თვითონ წარმოადგენდა მოსარჩელე ქარხნის აქციების ყველაზე დიდი წილის მესაკუთრე პარტნიორს. თუ ბ. წ-ის ინტერესი იყო შემდგომ იაფად შეეძინა გაკოტრების რეჟიმში მყოფი კომპანის დარჩენილი აქციები სხვა პარტნიორებისაგან, მაშინ მასზეც

ხომ გადავიდოდა კომპანიის ვალდებულებებიც? საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორს სარჩელში მინიმუმ უნდა უნდა მიეთითებინა მაინც, რომ ბ. წ-ის ინტერესი იყო ის, რომ მიზერულ ფასად შეეძინა სს „ე-ა“-ს დანარჩენი 53% აქციები, გამხდარიყო ერთპიროვნული მესაკუთრე, შემდგომ პირობითად დაეგრია ქარხანა და გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე (როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, კომპანიას უკავია დაახლოებით 23 ჰექტარი ფართი ქ. თბილისში), აეშენებინა საცხოვრებელი კორპუსები ან კომერციული ფართები ან განეხორციელებინა სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობა. მოსარჩელეს ისიც უნდა მიეთითებინა, რომ მართალია სს „ე-ა“-ს შპს „ს-ა“-ს და სხვა კრედიტორების მიმართ ჰქონდა დიდი ოდენობით დავალიანება, მაგრამ როგორც კი ბ. წ-ი გახდა ქარხნის აქციების თითქმის 100%-ის მესაკუთრე, ამის შემდეგ შპს „ს-ა“-მ ან სხვა კრედიტორებმა სს „ე-ა“-ს აპატიეს ვალი.

216. შესაბამისად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ კომპანიის 47,74% აქციების მფლობელი დაინტერესებული იყო კომპანიის გაკოტრებით და ამაში მას ხელს უწყობდა სახელმწიფო შპს „ს-ის“ მეშვეობით და რომ სარჩელის გამოხმობის იძულების მიზანი იყო – შპს „ს-ის“ წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოების შეწყვეტა.

217. კასატორის შემდეგი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მან მიმართა წერილით საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს, აგრეთვე შპს „ს-ა“-ს, სადაც აღნიშნავდა, რომ შპს „ს-ა“-ს ქმედებებით სს „ე-ი ქ-ა“ მივიდოდა გაკოტრებამდე. კასატორი აღნიშნავს, რომ ამ წერილის გაგზავნიდან მეორე დღესვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც, მოხდა კომპანიისაგან მთელი საბუღალტრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციისა და კომპიუტერების ამოღება, რამაც მოახდინა კომპანიის საქმიანობის პარალიზება. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება კომპანიის გაკოტრებისათვის, რადგან მანამდე ორჯერ იქნა ჩატარებული შემოწმება და დადგინდა მხოლოდ უმნიშვნელო დარღვევები.

218. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და მიუთითებს საქმეში განთავსებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 07 თებერვლის ბრძანებაზე საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ, სადაც მიითითებულია, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე სს „ე-ა“-ს ხელმძღვანელობის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გა-

მოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სს „ე-ა“-ს თანამშრომელთა და აქციონერების კოლექტიური განცხადება, რომელშიც მითითებულია, რომ შპს „თ.“-მა სს „ე-ა“-ს აქციათა პრივატიზაციის დროს არსებული არცერთი ვალდებულება არ შეასრულა და ქარხანა მიყვანილი იყო სრულ კრახამდე. მუშა-მოსამსახურეები ვერ იღებდნენ ხელფასს და არ ხდებოდა გადასახადების გადახდა. ბანკიდან აღებული მილიონობით აშშ დოლარის კრედიტი იხარჯებოდა არამიზნობრივად და ქარხნის ხელმძღვანელობას სანარმო სპეციალურად მიყავდა გაკოტრებისაკენ.

219. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეში განთავსებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „თ-ს“ დაკისრებული აქვს სს „ე-ა“-ს სასარგებლოდ 28 მილიონი ლარის გადახდა. საქმეში განთავსებულია შედარების აქტი, რომელსაც ხელ აწერს შპს „თ-ის“ დირექტორი დ. ა-ი და სს „ე-ა“-ს დირექტორი მ. დ-ე, სადაც აღნიშნულია, რომ შპს „თ-ის“ სს „ე-ა“-ს მიმართ 2008 წლის 01 ივნისის მდგომარეობით გააჩნია 19355064 ლარის ოდენობის დავალიანება.

220. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სასამართლო რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სასამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

221. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე

მხარეებს შორის.

222. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

223. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

224. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

225. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

226. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნაგანმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

227. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

228. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ. 64).

229. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებოდათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; niderosthuber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

230. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო, არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების არამართლობიერი და გაუმართლებელი ჩარევის შედეგად 2008 წლის 17 სექტემბრის სადავო ხელშეკრულების საჯარო წესრიგთან ან ზნეობრივ ნორმებთან წინააღმდეგობრივ ხასიათზე მიუთითებს სარჩელსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები (და საქმეში არსებული მტკიცებულებები), რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ სახელმწიფო, მისი ოფი-

ციალური თანამდებობის პირების მეშვეობით თავად იყო ამ პრინციპის უხეში დარღვევის მაპროვოცირებელი და უშუალო დამრღვევით. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.113). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელემ (კასატორი) ვერ შეძლო განსახილველ შემთხვევაში სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების დადების ფაქტის დადასტურება, რაც ასეთის დამტკიცების შემთხვევაში, წარმოშობდა სსკ-ის 976.1 და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს.

231. სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55.1 მუხლების კონტექსტში კასატორი მხარე ცდილობს, დაადასტუროს, რომ ხელშეკრულებაში ასახული ფასი მნიშვნელოვნად ჩამოეყვარება ქონების საბაზრო ფასს, რაც, მისი აზრით გარიგების ბათილობის საფუძველია. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილებაზე (იხ., სუსგ №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი), რა დროსაც დიდმა პალატამ არასაკმარისად მიიჩნია მარტოოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება სასყიდლიანი გარიგების ბათილობის საფუძველად, ნასყიდობის ფასის დისპროპორციასთან აუცილებელ კავშირში [სსკ-ის 477-ე მუხლი]. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ ფასთა დისპროპორციის მოტივით გარიგების ამორალურად მიჩნევა ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (სსკ-ის 319.1 მუხლი: კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მონესრიგდეს (ცალკე კანონით). სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ამ წესიდან არსებული გამონაკლისი, ამ თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე. საპირისპირო მიდგომა, დიდი პალატის განმარტებით, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სადავო ხელშეკრულებების გაფორმე-

ბის დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი (რომელიც სახელდებული იყო შემდეგნაირად: გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო; 08.05.2012წ. №6151 ცვლილებაზე რედაქციით), გარიგების ბათილად მისაჩნევად კონკრეტულ წინაპირობებზე მიუთითებდა და ორი პირობის კუმულაციურად არსებობის აუცილებლობას ადგენდა. დასახელებული ნორმის მიხედვით, გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შეუსაბამობის დადგენა, ამასთან ერთად, გარიგების ბათილად მისაჩნევად, აუცილებელია, რომ მეორე წინაპირობაც ვლინდებოდეს, კერძოდ, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მიძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით (იხ. აგრეთვე სუსგ №ას-1224-1149-2015, 20.05.2016.).

232. კასატორის პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ იძულების არარსებობის ნაწილში, გარიგების ბათილობის საფუძვლის არარსებობა სააპელაციო სასამართლომ გამორიცხა აქციების საბაზრო ღირებულების შესაბამისობით მოპასუხის მიერ გადახდილ თანხასთან. კასატორს მიაჩნია, რომ საბაზრო ღირებულების გადახდა ან არ გადახდა, არ შეიძლება ადასტურებდეს აქციათა იძულებით ან ნებაყოფლობით გადაცემის ფაქტს და მიუთითებდეს/გამორიცხავდეს სადავო გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს. ამ მხრივ, კასატორი საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ სადავო ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის მიერ აქციათა საბაზრო ღირებულების გადახდის ფაქტი გამოკვლევული არც არის. ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დასკვნები ურთიერთგამომრიცხავია, კერძოდ შპს „ე-ის“ მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ უიმედო დებიტორების გათვალისწინებით, ქარხნის აქციათა საბაზრო ღირებულება შეადგენდა 0 (ნული) ლარს, ხოლო იგივე გარემოებების გათვალისწინებით ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, რომ ქარხნის აქციათა 25,817895%-ის ღირებულება შეადგენდა 1 350 444.5 (მილიონ სამასორმოცდაათი ათას ოთხას ორმოცდაათხუთხუთს) ლარს და ორმოცდაათ თეთრს) ლარს. ამასთან, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ემყარება სადავო ხელშეკრულების გაფორმების დღეს, მეორე გამყიდველთან ხელმოწერილ, აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც ასევე მოსარჩელეთა მიმართ განხორციელებული

ბული ძალადობის შედეგი იყო და რაც ექსპერტიზისათვის უცნობი იყო. და კიდევ, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნის მომზადების დროს, არ იყო გათვალისწინებული ქარხის ერთ-ერთი ძირითადი აქტივი – მის სახელზე არსებული/რიცხული გენერალური ლიცენზიები. გათვალისწინებული არ იყო აგრეთვე არც ის, რომ იგი წარმოადგენდა ე.წ. ბუნებრივ მონოპოლისტს, არამარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში, რაც ბუნებრივია, რომ ამ კომპანიის აქციათა საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა, მაგრამ ეს ყოველივე უცნობი იყო ექსპერტიზისათვის იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ეს ინფორმაცია ექსპერტისათვის არ მიუწოდებიათ. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სადავო აქციათა საბაზრო ღირებულებაზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ არ გათვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხემ სადავო ქარხნის აქტივების გაყიდვა 400 000 000 (ოთხასი მილიონი) აშშ დოლარად სცადა, რასაც მიუთითებდა კიდევ მოსარჩელე, და რის შესახებაც ინფორმაცია, განთავსებული იყო ინტერნეტშიც. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.129-130.)

233. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების დარღვევად კასატორი იმასაც მიიჩნევს, რომ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობისას აუცილებელი არ არის სახეზე იყოს საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით სარგებლობის ან გამოუცდელობის ფაქტი, რადგან აშკარა შეუსაბამობის ობიექტურად არსებობისას ზემოაღნიშნული სუბიექტური ელემენტების არსებობა ივარაუდება. ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი 2012 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ზემოთ მითითებული ნორმატიული შინაარსით აღარ არსებობს, გარიგების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი.

234. საკასაციო პრეტენზიის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. „უკუძალის აკრძალვის საფუძველი უკავშირდება სამართლიანი სახელმწიფოს იდეას, რამეთუ კანონისმიერი ნდობის პრინციპი, ამასთანავე, გულისხმობს კანონების სტაბილურად არსებობის პრინციპსაც: მას, ვისაც კა-

ნონი ეხება, უფლება აქვს ჰქონდეს მოლოდინი, რომ დარღვეული უფლება დარღვევის მომენტი არსებული კანონით გადაწყდება. სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ კანონიერი ნდობა მოქმედი ნორმების მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ დღეს განხორციელებული მოქმედება მომავალში მიღებული კანონით არ იქნება გადაწყვეტილი. შესაბამისად, სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელი კანონები, რომლებიც უკუქცევითი ძალით ანესრიგებენ უკვე ამონურულ გარემოებებს, როგორც წესი, არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სამართლებრივი სტაბილურობა, რაც, პირველ რიგში, ცალკეული მოქალაქის ნდობის დაცვას გულისხმობს, ნდობაში კი იგულისხმება ის, რომ აღიარებული, უცვლელი დარჩება უკვე ამონურულ ფაქტობრივ ელემენტებსა და გარემოებებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები“ (სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017 წელი, გვ. 37). განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოცემული დავა ეხება 2008 წლის 17 სექტემბრის გარიგების დადების მიზნით, მხარეთა შორის გამოვლენილი ნების ნამდვილობას და არა გარიგების შემდგომ განვითარებულ ურთიერთობებს (როგორიცაა, მაგალითად, ვალდებულების შესრულება და ა.შ.), 2008 წლის 17 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსის იმ დროს მოქმედი ნორმების საფუძველზე, როდესაც დაიდო სადავო გარიგება (აღნიშნულ საკითხზე იხ. ასევე სუსგ №ას-880-838-2013, 2014 წლის 9 ივნისი).

235. 2008 წლის 17 სექტემბერს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი, რომელიც 2012 წლის 8 მაისს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე რედაქციით სახელდებული იყო შემდეგნაირად: „გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო“, გარიგების ბათილად მისაჩნევად კონკრეტულ წინაპირობებზე მიუთითებდა და ორი პირობის კუმულაციურად არსებობის აუცილებლობას ადგენდა. დასახელებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ აკრძალული არ არის შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა არაპროპორციულობა და გარიგების ბათილობისათვის აღნიშნული საფუძვლის ობიექტურად არსებობა, საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს. გარიგების ბათილად მისაჩნევად, ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ მეორე წინაპირობაც ვლინდებოდეს, კერძოდ, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო და-

ლაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდევლობით (გულუბრყვილობით) (იხ. სუსგ №ას-880-838-2013, 09.06.2014 წელი, სუსგ №ას-1718-1701-2011, 23.02.2012 წელი, სუსგ №ას-132-124-2015, 29.04.2015 წელი, სუსგ №ას-788-745-2015, 13.10.2015 წელი).

236. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 16 სექტემბრის წერილის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კომპანიის კუთვნილ 1 775 223 ჩვეულებრივი სახის აქციაზე, რაც შეადგენს ქარხნის საწესდებო კაპიტალის 25.81789%-ს რეგისტრირებული იყო სს ბანკი „რ-ას“ გირავნობის უფლება (იხ. წინამდებარე განჩინების პ.70). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სახელზე შედგენილი ქარხნის მეურვის ნ. ბ-ის მოხსენებითი ბარათიდან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საზოგადოების მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანებების სრული მოცულობა 2008 წლის 19 მარტის მდგომარეობით შეადგენდა 58 021 510,95 ლარს და 2 491 043,00 აშშ დოლარს. 2008 წლის 1 ივნისს ქარხანასა და კომპანიას შორის გაფორმებული შედარების აქტის მიხედვით, კომპანიას ქარხნის მიმართ ერიცხება დავალიანება – 19 355 064 ლარი. ამასთან, მხარეებმა დაადასტურეს, რომ 2007 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, ქარხანა იღებს ვალდებულებას კომპანიის კრედიტორების წინაშე თანხით 9 375 914 ლარი. 2007 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის მიხედვით, ქარხნის მიერ გადახდილი თანხა გადახდის დღიდან ჩაითვლება კომპანიის სასარგებლოდ გაცემულ სესხად წლიური 13%-ის ფარგლებში. 2008 წლის 01 სექტემბრის შედარების აქტის მიხედვით კომპანიის დავალიანება ქარხნის მიმართ 2008 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენდა 28 000 000 ლარს.

237. სს „ე-ას“ მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქციების გასხვისების მომენტისათვის დადასტურებულად იქნა მიჩნეული საქმეში წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებებითაც: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 18 თებერვალს გაცემული საალსრულებო ფურცლით დადგენილია, რომ ქარხანას განმცხადებლის სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა 24 429 275.67 ლარის ოდენობით. ქ-ის 2008 წლის 13 მარტის წერილიდან სს „თ-ის“ მიმართ ირკვევა შემდეგი: „თქვენი 4/02/08 №356/106-02 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეისათვის ქარხნის აქტივებიდან და მოსალოდნელი შემოსავლებიდან გამომდინარე არ აქვს შესაძლებლობა დაფაროს

უზრუნველყოფილი კრედიტორების (მათ შორის, „თ-ის“) წინაშე ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებები“. 2008 წლის 14 მარტს სს „თ-მა“ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ქარხნის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე. აღნიშნული განცხადება 2008 წლის 19 მარტს მიღებულ იქნა წარმოებაში. იმავდროულად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 28.03.2008 წელს განცხადებით მიმართა სს „ტ-მა“ მოთხოვნით მიეღო გადაწყვეტილება სს „ტ-ის“, როგორც ქარხნის კრედიტორის მოთხოვნის აღიარებისა და მისი კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში ჩართვის შესახებ, ვინაიდან 2007 წლის 17 აგვისტოს სს „ტ-სა“ და ქარხანას შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება №..., რომლის საფუძველზე ბანკსა და მოპასუხეს შორის დაიდო დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება №..., რომლის შესაბამისადაც ქარხანამ მიიღო კრედიტი 6 158 650 ლარი, 12 თვის ვადით, წლიური 16%-იანი საპროცენტო განაკვეთით. ამავე განცხადებიდან ირკვევა, რომ სს „ტ-ის“ მიერ 2008 წლის 25 მარტს შეტანილი იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია ქარხნის წინააღმდეგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 07.04.2008 წელს განცხადებით მიმართა სს „ს-მა“, რომლის თანახმად ქარხნის დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენდა 2 482 855 აშშ დოლარს, რის საფუძველზეც ბანკი ითხოვდა მისი მოთხოვნის გათვალისწინებას.

238. დადგენილადაა მიჩნეული, რომ 2008 წლის 07 აპრილის ბანკ „რ-ას“ განცხადებით, რომელიც წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, დასტურდება, რომ ქარხანას ჰქონდა ბანკ „რ-ას“ დავალიანება 12,285,426.96 ლარის ოდენობით და ბანკი სასამართლოსგან ითხოვდა მის წარმოებაში არსებულ სს „თ-ის“ განცხადების საფუძველზე „ქარხნის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით კრედიტორთა სიაში ჩართვას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ქარხნის მომრიგებელი საბჭოს 2008 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დაინყო ქარხნის მიმართ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეაბილიტაციის პროცედურები.

239. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რაც შეეხება აქციების ფასს, საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, ქარხნის 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2008 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით (ყველა დებიტორის სრულად გათვალისწინებით) შეადგენდა 5 230 653 ლარს. მოპასუხეზე გასხვისებული

25,817895%-ის წილის საბაზრო ღირებულება (ყველა დებიტორის სრულად გათვალისწინებით) შეადგენდა 1 350 444.50 ლარს, ხოლო უიმედო დებიტორების აქტივებიდან ამოღების შედეგად კომპანიას საბაზრო ღირებულება არ გააჩნდა და ქარხნის 25,817895%-ის წილის საბაზრო ღირებულება არის 0 ლარი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 05 ივლისის დასკვნით (რომლის შეფასების საგანი იყო 2008 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით შეესაბამებოდა თუ არა საბაზრო ღირებულებას წილის (აქციების) ნასყიდობის სანაცვლოდ გადახდილ თანხა) ირკვევა შემდეგი: მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლისა დებიტორი კომპანიებიდან თანხების ამოღება ვერ ხერხდება, რადგან მათ არ გააჩნიათ არავითარი ქონება და საზოგადოებისთვის წარმოადგენენ უიმედო დებიტორებს. საქმეში არსებული მასალების, ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, დაშვებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით დადგენილია შემდეგი: ქარხანას 100%-იანი წმინდა საბალანსო აქტივის ღირებულება (აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა) უარყოფითია (-10643807), საზოგადოების 25,817895%-ის ღირებულება შეადგენს 1 350 444, 50 ლარს, სს-ის 100%-იანი წმინდა აქტივის ღირებულება (აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა) გადაფასებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების და უიმედო დებიტორების გათვალისწინებით უარყოფითია (-27209347), საზოგადოებას 2008 წელს დაუფიქსირდა ზარალი და საზოგადოების მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმე, ამდენად აქციების ნასყიდობის შესახებ 2008 წლის 17 სექტემბრის სანოტარო აქტში საზოგადოების 25, 817895%-ის აქციების ღირებულება შეადგენს 1 542 200 ლარს და მოდის შესაბამისობაში ამავე პერიოდის საბაზრო ფასებთან.

240. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს 2008 წლის 17 სექტემბერს მოდავე მხარეებს შორის დადებული აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ქარხნის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 4066 1550, 47 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 64149265,24 ლარს. საქმეზე წარმოდგენილია ორი ექსპერტიზის დასკვნა: ერთის მიხედვით ქარხნის 25,817895%-ის წილის საბაზრო ღირებულება უიმედო დებიტორების აქტივებიდან ამოღების შედეგად არის 0 ლარი.

241. ფასთა დისპროპორციის კუთხით საკასაციო სასამართლომ გამოიკვლია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნები და მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა სრულად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე (105-ე) მუხლის მოთ-

ხოვენებს. უნდა აღნიშნოს, რომ ექსპერტის დასკვნას მოქმედი კანონმდებლობა რაიმე განსხვავებულ ძალას არ ანიჭებს, იგი ერთ-ერთი რიგითი მტკიცებულებაა, რომლის გაზიარებაც სასამართლოს მხრიდან ამ დასკვნის შინაარსობრივ კვლევაზე, მის დამაჯერებლობასა და იურიდიულ ლეგიტიმაციაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, საექსპერტო კვლევა გამართლებული უნდა იყოს საქმის მასალებით, მათ შორის – მხარეთა განმარტებებით წარმოჩენილი დავის ზოგადი სურათით.

242. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო შესაგებლის სტადიაზე, მით უმეტეს, მტკიცების სტადიაზე არ უნდა გადავიდეს, თუ მოსარჩელემ არ მიუთითა ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას. მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების იურიდიული მნიშვნელობა დგინდება ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე. საკასაციო პალატა, რადგან აღნიშნული პრეტენზია არ არის მითითებული არც სარჩელში და არც დაზუსტებულ სარჩელში, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წინამდებარე განჩინების პ.129-ში მითითებულ კასატორის პრეტენზიაზე, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2016 წლის 05 ივლისის დასკვნის მომზადების დროს, არ იყო გათვალისწინებული ქარხნის ერთ-ერთი ძირითადი აქტივი – მის სახელზე არსებული/რიცხული გენერალური ლიცენზიები. გათვალისწინებული არ იყო აგრეთვე არც ის, რომ იგი წარმოადგენდა ე.წ. ბუნებრივ მონოპოლისტს, არამარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში, რაც ბუნებრივია, რომ ამ კომპანიის აქციათა საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა, მაგრამ ეს ყოველივე უცნობი იყო ექსპერტიზისათვის იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ეს ინფორმაცია ექსპერტისათვის არ მიუწოდებიათ. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ა. ს-ის ჩვენების იმ ნაწილზეც, სადაც იგი მიუთითებს, რომ „ქარხანას აქვს თავისი ფასი და ფული უნდა გადაეხადათ, ისე ვერაფერს მიიღებდნენ“.

243. მოსარჩელე (კასატორი) ვალდებულებათა აშკარა არაპროპორციულობას უკავშირებს მის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტს, რომელიც ბათილობის დამოუკიდებელი საფუძველია, ხოლო სსკ-ის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა გასაკიცხ მოქმედებაზე მითითებას სარჩელი არ შეიცავს.

244. მითითებული მსჯელობის საპირისპიროდ, თუკი საკასაციო სასამართლო გაიზიარებს კიდევაც კასატორის პოზიციას და მიიჩნევს, რომ სადავო გარიგება ფასთა მნიშვნელოვანი დისპროპორ-

ციითაა დადებული, სამოქალაქო კოდექსის 55.1 მუხლის კონტექსტში, საკასაციო პალატა მაინც ვერ მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა სამართლებრივი ძალის არმქონე გარიგება და მოსარჩელეს ქონებაზე საკუთრება არ დაუკარგავს, რადგანაც ნორმის მეორე, კუმულაციური ელემენტი – შემძენის მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ან გამსხვივების გულუბრყვილობა და/ან უმნეო მდგომარეობა არ არის ახსნილი სარჩელით, ისევე, როგორც მოსარჩელე ვერ ამტკიცებს იმ კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა კვლევა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მიზნებისათვის მიჩნეული იქნება კონტრაჰენტის გასაკიცხ ქმედებად. აქვე უნდა განიმარტოს, რომ მაგალითად, საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ჰქონდა თუ არა ადგილი, შეფასების საგანია და სასამართლომ ეს დასკვნა უნდა გააკეთოს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებსაც მიუთითებს და დაამტკიცებს მოსარჩელე.

245. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილი გათვალისწინებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობების არსებობა.

246. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ 2008 წლის 17 სექტემბრის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის სასარგებლოდ განხორციელდა იძულება. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის სასარგებლოდ იძულებას სადავო გარიგების დადების მიზნით. განსახილველ საკითხზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას, კერძოდ, დიდმა პალატამ განმარტა, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს. (იხ: სუსგ №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017).

247. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა, თ-ის ყოფილი მ. და სხვა პირთა წინააღმდეგ, სასამართლოს

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რითაც სასამართლო ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ მოცემული დავის გადაწყვეტის ფარგლებში ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც შეიძლო დაედასტურებინა ზემოაღნიშნულ პირთა მიერ, სადავო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მონაწილეობა, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს განაჩენი. აღნიშნული მსჯელობა კასატორს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-16) მოცემულ ნორმის განმარტებასთან წინააღმდეგობრივად მიაჩნია, რაც განპირობებულია ზემოაღნიშნული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის (განმარტების) შედეგად, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს) უმოქმედობა ან არაეფექტური მოქმედება არ შეიძლება გახდეს, მხარის მიერ, საკუთარი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შემაფერხებელი გარემოება. (იხ.წინამდებარე განჩინების პ.115).

248. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რაც შეეხება გარიგების იძულებით დადების ფაქტს, სამოქალაქო კოდექსის 85-ე-87-ე მუხლები, საცილო გარიგების ნაირსახეობას აწესრიგებენ და ამავე კოდექსის 55.1 მუხლისაგან განსხვავებულ მტკიცების საგანს ადგენენ, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა იძულების მარეგულირებელი მუხლების წინაპირობები. სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით (გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან), საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების აშკარა მოდრეკას. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა განმარტა, რომ იძულება მომდინარეობდა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნის (თ-ის მ.) დ. კ-ის, აგრეთვე ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან. საკასაციო სასამართლო ამ საკითხს კვლავ სარჩელის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იძულების, მით უფრო ყოფილი ან მოქმედი მაღალჩინოსნების მხრიდან მომდინარე იძულების შემთხვევაში, რთულია პირდაპირი მტკიცებულების წარდგენა და ასეთ შემთხვევაში, გა-

რემოცხატა ერთობლიობა უნდა ბადებდეს სასამართლოსათვის გონივრულ ექვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა, ამასთანავე, კონტრაჰენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ განხორციელდა იძულება კონკრეტულად უნდა გადმოსცემდეს ფაქტებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი მისი ან მისი ახლობლის მიმართ, რატომ იყო ეს ქმედება რეალური ხასიათის და სხვა. ამ მხრივ ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარეს ნებაზე ზემოქმედების, ასევე, გარიგების შემდგომ განვითარებული ფაქტების თაობაზე კვალიფიციური შედავება არ წარუდგენია სარჩელის წინააღმდეგ და სარჩელში მითითებული ფაქტების არსებობა პრეზუმირებულია, რადგანაც, ვიდრე მოპასუხის სტადიას შეამონმებდეს სასამართლო, როგორც ზემოთ აღნიშნა, სარჩელის ფორმალური გამართულობა ექვემდებარება შეფასებას, თუკი სარჩელი ფორმალურად გაუმართავია, ის თავშივე უსაფუძვლოდ მიიჩნევა და სასამართლოს მხრიდან უარყოფას ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპასუხე თავად ეხმარება მოსარჩელეს ფაქტების ფორმულირებაში (მითითებაში). სარჩელის გაცნობის, ასევე, სასამართლო სხდომაზე მოსმენილი პოზიციების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის განმარტებების გაზიარების შემთხვევაში, იძულების წყარო ყოფილა არა ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირი, არამედ, სახელმწიფო, რომელიც მაშინდელი თის მ-ა და ფინანსური პოლიციის მეშვეობით ახორციელებდა ზენოლას და აღასრულებდა კიდევაც მას. ფაქტების ურთიერთკავშირის დადასტურების მიზნით, მნიშვნელოვანია თუნდაც ირიბი მტკიცებულებების არსებობა, რომელთა ლოგიკური ბმა, როგორც უკვე ითქვა, სასამართლოსათვის სავარაუდოს გახდოდა კონტრაჰენტის ნებაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტს.

249. კასატორი აღნიშნავს, რომ როგორც წესი, კერძო პირებზე, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ზენოლას გარიგების ხელმოწერის მიზნით, გააჩნია კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ასეთი (იძულების) ფაქტების დაფიქსირება წერილობით ან სხვა მსგავსი მატერიალური ფორმით არ ხდება. შესაბამისად, ასეთი სახის ფაქტების დადგენისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმეთა ჩვენებებს და სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაიზიარა მხარეთა ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა (გარდა ნოტარიუსისა) მიერ მიცემული ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ მათი შინაარსი დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხში იდენტური იყო

და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში სრულად ასახავდა სადავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს განვითარებულ მოვლენებს. სასამართლოს ასეთ დამოკიდებულება, მოპასუხის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა მიმართ (მხარესთან მათი ახლო ნათესაური და მიმდინარე პერიოდისათვის სამსახურებრივი კავშირების გამო), ასევე მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მოწმეთა ნაწილის (ა. ს-ე, ქ. ც-ე, მ. დ-ე) მიმართ, თუ შეიძლება იყოს ლოგიკური, აბსოლუტურად ალოგიკური და გაუმართლებელია სასამართლოს მიერ მოსარჩელის მიერ დაკითხულ დანარჩენ მოწმეთა (ბ. ნ-ი, ა. ხ., ა. ს-ე, გ. ყ-ი, ნ. ბ-ი) მიერ მიცემული ჩვენებების არ გაზიარება. (იხ. წინამდებარე განჩინების პპ..116-122).

250. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის ამ პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ ევროსასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. *the Lüdi v. Switzerland*, გადანყვეტილება 15.06.1992, სერია A, N238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და *the Schuler-Zgraggen v. Switzerland* გადანყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ. 21, პარაგრაფი 66). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

251. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში იმსჯელებს მოწმეების ბ. ნ-ი, ა. ხ., ა. ს-ე, გ. ყ-ი, ნ. ბ-ი მიერ მიცემულ ჩვენებებზე.

252. მოსარჩელის მოწმე ბ. ნ-მა განმარტა, რომ 2005 წლის 28 ივნისიდან 2008 წლის 17 სექტემბრამდე მუშაობდა სს „ე-ის“ იურიდიული სამსახურის უფროსად. 2008 წლის 08 სექტემბერს შპს „თის“ ოფისში იყო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ზ. გ-ა, პ. ლ-ე, როგორც იურიდიული ფირმის წარმომადგენლები, ასევე ესწრებოდნენ ი. მ-ე, რომელიც იყო დ. კ-ის მარჯვენა ხელი, კოორდინატორი და ბიზნეს კურატორი, ასევე ი. ნ-ი ბ. ნ-ის შვილი და ბ. ნ-ი. სამუშაო ფორმატში მიიღეს მითითება, რომ შპს „თის“ აქციები გაფორმებულიყო ბ. ნ-ზე ო. ზ-ის ოფისში. ფორსირებულ რეჟიმში დაინყო დოკუმენტაციის შეგროვება. მოწმეს ს. მ-ე ეუბნებოდა, რომ თუ ყველაფერი სათანადოდ არ გაკეთდებოდა, მასაც იგივე მოუვიდოდა, რაც ა. ს-ეს. 2008 წლის 17 სექტემბერს ოფისში მივიდა 10-

11 საათზე და ამ დროს ოფისში მივიდა ფინანსური პოლიციის მა-
ლაღჩინოსანი ზ. ჯ-ეც, რომელიც შევიდა ა.ს-ესთან და განუცხადა,
უნდა წავიდეთო. მანქანაში ჩასხდნენ ა. ს-ე, მ. დ-ე, წინ ზ. ჯ-ე და
მონმე ბ. ნ-ი. წავიდნენ ე-ის მიმართულებით დ-თან „შ-სთან“, სა-
დაც იყო გათავსებული ბ-ის მფლობელობაში არსებული სკოლა. ფი-
ნანსური პოლიცია ეძებდა ვ. ჭ-ს, ფორმალური აქციების გადასა-
ფორმებლად. შპს „თ-ისაგან“ განცხადებული ჰქონდათ თანხმობა,
აქციები ისე გადაფორმდებოდა, როგორც მათ სურდათ. გზაში ოპე-
რაციულ ორგანოებთან კავშირის დროს, ზ. ჯ-ემ სთხოვა მ. დ-ეს
დაერეკა ვ. ჭ-ის ვაჟისათვის. შემდეგ წავიდნენ ვ. ჭ-ის საცხოვრებ-
ლისაკენ. საბოლოოდ ვერ გარკვეეს სად იყო ვ. ჭ-ი. ზ. ჯ-ემ ჰკითხა
ბ. ნ-ს, ვ. ჭ-ის პირადი ნომერი, რომელიც ბ. ნ-მა მისცა. ამის შემდეგ
ზ. ჯ-ემ დაურეკა ვილაცას და გასცა განკარგულება, რომ ვ. ჭ-ს ქვეყ-
ნის გარეთ ფეხი არ უნდა გაედგა, რადგან წილების ნახევარი მისი
იყო. შპს „თ-ის“ წილები რადგან უნდა გადაფორმებულიყო, ამისათ-
ვის კი საჭირო იყო პარტნიორების – ნ. რ-ისა და ქ. ც-ის თანხმობა,
დირექტორზე უფლებამოსილების დელეგირება, რომ დირექტორ
დ. ა-ს გაეყიდა ეს აქციები. მივიდნენ ნოტარიუს ო. ზ-ესთან, სადაც
უკვე იყვნენ პ. ლ-ე და ნოტარიუსი ო. ზ-ე. ამ დროს პ. ლ-ე ხმამაღ-
ლა უკითხავდა გარიგების ტექსტს ბ. ნ-ს. ქ. ც-ემ და ნ. რ-მა ხელი
მოაწერეს თანხმობის ტექსტს.

253. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ბ. ნ-ის ჩვენება წინააღ-
მდეგობრივია ა. ს-ის ჩვენებასთან, რომელიც მიუთითებს, რომ მხო-
ლოდ 2008 წლის 17 სექტემბერს შეიტყო, რომელ ნოტარიუსთან
უნდა მომხდარიყო აქციების გასხვისების გარიგების დამონმება,
ხოლო ბ. ნ-ი კი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის 08 სექტემ-
ბერს უკვე იცოდა ამის შესახებ.

254. მონმე და იმავდროულად შპს „თ-ის“ 50% წილის მფლობე-
ლი პარტნიორი ქ. ც-ე თავის ჩვენებაში უთითებს, რომ მეორე 50%
წილის მფლობელ პარტნიორთან – ნ. რ-თან ერთად მივიდნენ ნო-
ტარიუსის ოფისში, რათა შპს „თ-ის“ დირექტორის დ. ა-ისათვის მი-
ეცათ წილების გასხვისებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
იქიდან დაბრუნდა ოფისში, ზუსტად მაშინ, როცა ა. ს-ესთან მო-
ვიდნენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები და წაიყვანეს.

255. მონმე ბ. ნ-ის ჩვენება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქ. ც-
ის ჩვენებისაგან. ბ. ნ-ი მიუთითებს, რომ 2008 წლის 17 სექტემბერს
ოფისში მივიდა 10-11 საათზე და ამ დროს ოფისში მივიდა აგრეთვე
ფინანსური პოლიციის მაღაღჩინოსანი ზ. ჯ-ეც, რომელიც შევიდა
ა. ს-ესთან და განუცხადა, უნდა წავიდეთო. მანქანაში ჩასხდნენ ა.
ს-ე, მ. დ-ე, წინ ზ. ჯ-ე და მონმე ბ. ნ-ი. მივიდნენ ნოტარიუს ო. ზ-
ესთან, სადაც უკვე იყვნენ პ. ლ-ე და ნოტარიუსი ო. ზ-ე. ამ დროს პ.

ლ-ე ხმამაღლა უკითხავდა გარიგების ტექსტს ბ. ნ-ს. ქ. ც-ემ და ნ. რ-მა ხელი მოაწერეს თანხმობის ტექსტს. ხოლო ქ. ც-ე კი სულ სხვა გარემოებებზე მიუთითებს, კერძოდ, იგი არსად არ ამბობს, შპს „თ-ის“ დირექტორის დ. ა-ისათვის წილების გასხვისებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭებისას, ნოტარიუსის ოფისში მასთან ერთად იმყოფებოდნენ ბ. ნ-ი, ა. ს-ე, ბ. ნ-ი ან ფინანსური პოლიციის თანამშრომლები. ასევე მიუთითებს, რომ როცა დაბრუნდა ნოტარიუსისაგან ოფისში, მაშინ მოვიდნენ ოფისში ა.ს-ესთან ფინანსური პოლიციის თანამშრომლები და წაიყვანეს.

256. ა. ს-ე თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მას დაურეკა სს „თ-ის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. ბ-ემ და მოსთხოვა 2008 წლის 17 სექტემბერს ბანკ „ქ-ში“ შ.პ.ს. „თ-ისათვის“ გადარიცხული აქციათა ნასყიდობის საფასურის მეორე დღესვე უკან გადმორიცხვა. ბ. ნ-იც მიუთითებს, რომ ეს თანხა მეორე დღეს უკან გადმორიცხა. თუმცა საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება ბანკი „ქ-სგან“ წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ მართლაც მოხდა ნასყიდობის საფასურის თანხის უკან გადმორიცხვა „თ-ისათვის“, ამიტომაც არც ამ ნაწილშია გასაზიარებელი ბ. ნ-ის ჩვენება. ბ. ნ-ი ასევე მიუთითებს, რომ 2008 წლის 17 სექტემბერს სალამოს ბანკში ფულის გადარიცხვისას დაგვიხდა „თ-ის“ გენერალური დირექტორი ვ. ბ-ე, თუმცა რაიმე მტკიცებულება ამ ფაქტის დასადასტურებლად, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

257. მოსარჩელის მოწმე ა. ხ-ს ჩვენებით, 2006-2008 წლებში მუშაობდა სს „ე. ვ. ქ-აში“ ტექნიკურ დირექტორად. მოწმის ჩვენების მიხედვით, ის წაიყვანეს ფინანსურ პოლიციაში 2008 წლის ბოლოს. იქ ძალიან უტაქტოდ დახვდნენ, უხეშად მიმართავდნენ, შეურაცხოფას აყენებდნენ. ითხოვდნენ ა.ს-ის მაკომპრომენტირებელ დოკუმენტებს. რამდენიმე დღეში მოწმისთვის ცნობილი გახდა, რომ ა. ს-ე შუალამისას წაიყვანეს და რალაცეებზე ხელი მოაწერინეს. თვითონ ხელშეკრულების გაფორმებას არ დასწრებია. დეტალები გადმოცემით იცის. შემდეგ ა. ს-ემ და მ. დ-ემ მას უთხრეს, რომ ქარხანა წაართვეს, რაზეც მთელი კოლექტივი იყო აღშფოთებული.

258. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მოწმე ა. ხ-ს ჩვენებით, თითქოსდა დგინდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რადგან სადავო გარიგება დაიდო 2008 წლის 17 სექტემბერს და არა 2008 წლის ბოლოს, აგრეთვე მოწმე მიუთითებს, რომ თვითონ ხელშეკრულების გაფორმებას არ დასწრებია და დეტალები გადმოცემით იცის.

259. მოსარჩელის მოწმე ა. ს-ის ჩვენებით, იგი შპს „თ-ში“ მუშაობდა საბაჟო განყოფილების უფროსად 2003 წლიდან 2009 წლის

დასწყისამდე. 2008 წლის სექტემბერში, კომპანიის გენერალური დირექტორი დ. ა-ი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ა. ს-ე წაიყვანეს ჯერ ბანკში, მერე ნოტარიუსთან, სადაც მოხდა ქონების იძულებითი დათმობა.

260. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მონმე ა. ს-ის ჩვენებით ასევე ვერ დგინდება შესაძლო იძულების ფაქტი, რადგან არ მიუთითებს კონკრეტულ დღეს (თარიღს), აგრეთვე განსხვავდება სხვა მონმეთა ჩვენებისაგან იმ ნაწილში, რომ კომპანიის გენერალური დირექტორიც წაიყვანეს ა. ს-ესთან ერთად, უშუალოდ თვითონ არ დასწრებია სადავო გარიგების დადებას, აგრეთვე არასწორად უთითებს, რომ ა. ს-ე 2008 წლის სექტემბერში იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რადგან საქმის მასალებში განთავსებულია 2008 წლის 23 აპრილის სანოტარო აქტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „თ-ის“ დამფუძნებელ-პარტნიორთა კრების ოქმის ნამდვილობა. აღნიშნული კრების ოქმით გაუქმდა შპს „თ-ის“ სამეთვალყურეო საბჭო და როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, აგრეთვე წევრებიც გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

261. მოსარჩელის მონმის გ. ყ-ის ჩვენების მიხედვით, მუშაობს საადვოკატო ბიუროში. შპს „თ-ის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პირები წარმოადგენდნენ მის კლიენტებს. მონმის განმარტებით, მისი კლიენტი დიდ იმედებს ამყარებდა შპს „ს-ის“ მიმართ 2007 წელს შეტანილ სარჩელზე, სურდა შედეგის დადგომა, მაგრამ მერე მოხდა სარჩელის სასამართლოდან გამოთხოვა. მონმემ ზუსტად ვერ გაიხსენა, ვინ გამოითხოვა სასამართლოდან სარჩელი, შეიძლება თვითონ ან შესაძლებელია ქარხნის დირექტორმა. აქციების გადაფორმების ეტაპზე ის აღარ წარმოადგენდა მის მარწმუნებლებს, თუმცა რამდენადაც მისთვის ცნობილია, მათი ნება არ იყო, რომ აქციები გაესხვისებინათ.

262. საკასაციო პალატა მონმე გ. ყ-ის ჩვენებასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ ვერც ამ ჩვენებით დასტურდება სახელმწიფოს თუ მოპასუხე ბ. წ-ის მხრიდან, 2008 წლის 17 სექტემბერს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გამყიდველზე შესაძლო იძულების განხორციელების ფაქტი, რადგან აქციების გადაფორმების ეტაპზე მონმე აღარ წარმოადგენდა მის მარწმუნებლებს, აგრეთვე არ უთითებს, თუ ვისგანაა მისთვის ცნობილი, რომ გამყიდველის ნება არ იყო აქციების გაესხვისება. ხოლო რაც შეეხება სარჩელის გამომომობის ნაწილს, ამ საკითხზე საკასაციო პალატის მსჯელობები მოცემულია წინამდებარე განჩინებაში (პ.207-211).

263. მოსარჩელის მონმე ნ. ბ-ის ჩვენების თანახმად, მუშაობს აუდიტორულ კომპანიაში. 2008 წლის 17 სექტემბრისათვის მუშა-

ობდა ასევე სს „ე. ვ. ქ-ა“-ში, გადახდისუუნარობის რეჟიმიდან გამომდინარე მეურვედ. იცოდა ვინ იყვნენ აქციონერები. ერთ-ერთი იყო შპს „თ-ი“. რაც შეეხება აქციების გადაფორმების პროცესს, მას არ დასწრებია, თუმცა გადაფორმების პროცესის მეორე დილით მისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა. ამის შესახებ უთხრეს ფინანსურმა მენეჯერმა თ. გ-ემ და ბ. ნ-მა. ამას ამბობს მათ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

264. საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო, არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოწმე ნ. ბ-ის ჩვენებით დგინდება შესაძლო იძულების ფაქტი, რადგან მოწმე მიუთითებს, რომ რაც შეეხება აქციების გადაფორმების პროცესს, მას არ დასწრებია, თუმცა გადაფორმების პროცესის მეორე დილით მისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა ფინანსური მენეჯერის თ. გ-ისა და ბ. ნ-ისაგან.

265. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა, თ-ის ყოფილი მ. და სხვა პირთა წინააღმდეგ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რითაც სააპელაციო სასამართლო ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ მოცემული დავის გადამწყვეტის ფარგლებში ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც შეედლოს დაედასტურებინა ზემოაღნიშნულ პირთა მიერ, სადავო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მონაწილეობა, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს განაჩენი. აღნიშნული მსჯელობა კასატორს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-16) მოცემულ ნორმის განმარტებასთან წინააღმდეგობრივად მიაჩნია, რაც განპირობებულია ზემოაღნიშნული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის (განმარტების) შედეგად, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს) უმოქმედობა ან არაეფექტური მოქმედება არ შეიძლება გახდეს, მხარის მიერ, საკუთარი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შემაფერხებელი გარემოება. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.115).

266. კასატორი აღნიშნავს, რომ როგორც წესი, კერძო პირებზე, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ზეწოლას გარეგნობის ხელმძღვანელის მიზნით, გააჩნია კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ასეთი (იძულების) ფაქტების დაფიქსირება წერილობით ან სხვა მსგავსი მატერიალური ფორმით არ ხდება. შესაბამისად, ასეთი სახის ფაქტების დადგენისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმეთა ჩვენებებს და სხვა არა-

პირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობას. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.122).

267. საკასაციო პალატა ზოგადად იზიარებს წინამდებარე განჩინების პ.122-ში მითითებულ კასატორის მოსაზრებას, თუმცა მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეში კასატორის მხრიდან არ არის განხორციელებული კვალიფიციური შედაგება გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი იმგვარი გარემოებების მიმართ, რომლებითაც გამოირიცხა სარწმუნოობის კუთხით ამ მოწმეთა ჩვენების უპირობოდ გაზიარების შესაძლებლობა. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ არც სახელმწიფო და არც ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები (დ. კ-ი თუ ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნები) მოცემული დავის მხარეს არ წარმოადგენენ. ისინი არც მოწმის სახით ყოფილან მითითებული მოსარჩელის მიერ. მათი განმარტებების მოსმენის გარეშე კი რთულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ელემენტების დადგენა. უფრო მეტიც, საქმის მასალებით დგინდება, რომ შპს „თ-ის“ ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ა. ს-ის მიერ 2013 წლის 16 მაისს საქართველოს პროკურატურაში შეტანილია განცხადება ყოფილი მაღალჩინოსნების და მოპასუხის მხრიდან 2008 წლის 17 სექტემბერს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, შესაძლო იძულების განხორციელების შესახებ. ამ დრომდე საკითხი გადანყვეტილი არ არის, სამოქალაქო საქმის განხილვისას კი, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის მეტად რთული იქნება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილით გარანტირებული პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა (აღამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით). აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუკი კანონით დადგენილი წესით დადგინდება მოპასუხის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, არ არის გამორიცხული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, მხარემ მოითხოვოს წინამდებარე საქმის წარმოების განახლება.

268. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას სადავო გარიგების ხელმოწერისა და დადების დროისათვის ძალადობას არარსებობასთან მიმართებით. კასატორი აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა ნოტარიუსის მიერ მიცემულ ჩვენებაზე და ასევე იმ ფაქტზე, რომ მეორე გამყიდველს სადავოდ არ გაუხდია მოპასუხესთან დადებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება. კასატორი მიუთითებს ამ განჩინების პ-19-ში მითითებულ

და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ სწორედ აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული (რომელიც შეცილებული არ ყოფილა საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე და არც სასამართლოს გაუქარწყლება), რომ მეორე გამყიდველმა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, მოითხოვა შეთანხმების გაფორმება მოსარჩელესთან და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ მოსარჩელეს არ ექნებოდა პრეტენზია მის მიმართ, ქარხნის აქციების გადაფორმების გამო. ის ფაქტი, რომ მეორე გამყიდველის სახელზე აღრიცხული აქციები არ წარმოადგენდა მის საკუთრებას, ასევე დასტურდება იმითაც, რომ მათი ნასყიდობის ღირებულება (შესაბამისი დაწინაშელების მითითებით) ჩაირიცხა კომპანიის და არა მის საბანკო ანგარიშზე. ამდენად, ის ფაქტი, რომ მეორე გამყიდველს სადავოდ არ გაუხდია მასსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება, გამონეული იყო არა იმით, რომ მის მიმართ ადგილი არ ჰქონია ძალადობას, არამედ გამონეული იყო იმით, რომ მას ხსენებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ არ გააჩნდა არავითარი ინტერესი (იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთის მხრივ, ეს აქციები არ იყო მისი საკუთრება, ხოლო მეორეს მხრივ, მას ჰქონდა მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება „პრეტენზიის არ არსებობის შესახებ“).

269. გარდა ამისა, კასატორს საყურადღებოდ მიაჩნია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლო, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ვერ განმარტავს, თუ რატომ მოითხოვა მეორე გამყიდველმა მოსარჩელესთან და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან პრეტენზიების არ არსებობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, ან რატომ არ მიიჩნია ეს საეჭვოდ, იმ პირობებში, როცა თავადაც განმარტავს, რომ ამის სამართლებრივი საჭიროება/აუცილებლობა არ არსებობდა. (იხ. წინამდებარე განჩინების პპ.123-124).

270. საკასაციო პალატა კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ კასატორი ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ვ. ჭ-ი იყო 25,82% აქციების თითქოსდა მხოლოდ ფორმალური მესაკუთრე და აქციების ეს რაოდენობა წარმოადგენდა შპს „თ-ის“ საკუთრებას, რადგან ამ უკანასკნელს ვ. ჭ-ის მიმართ უკვე შესრულებული ჰქონდა ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები და რომ აქციები მხოლოდ ფორმალურად იყო აღრიცხული ვ. ჭ-ის სახელზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შპს „კ-ის“ მიერ დამტკიცებული აქციონერთა რეგისტრის მიხედვით დასტურდება, რომ სს „ე-ის“ აქციათა პაკეტი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე განაწილებული იყო შემდეგ-

ნაირად: ბ. ნ-ი – 47,74%; შპს „თ-ი“ – 25,82%; ვ. ქ-ი – 25, 82%.

271. მოსარჩელის (კასატორი) მიერ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ შპს „თ-სა“ და ვ. ქ-ს შორის არსებობდა რაიმე სასესხო ურთიერთობა, რომ სესხი უზრუნველყოფილი იყო მოპასუხის საკუთრებაში არსებული სს „ე-ის“ აქციებით, რომ მოხდა უზრუნველყოფილი სესხის დაფარვა და ა.შ.

272. დამატებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავდაპირველ სარჩელში მოპასუხედ მითითებული იყო ვ. ქ-იც, თუმცა მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და მოპასუხედ მიუთითა მხოლოდ ბ. ნ-ი (იხ. დაზუსტებული სარჩელი). მოსარჩელემ მოითხოვა ვ. ქ-ის მოწმედ დაკითხვა, თუმცა შემდგომში თვითონვე განაცხადა უარი ვ. ქ-ის მოწმედ დაკითხვაზე. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღარ იმსჯელებს წინამდებარე განჩინების პ.123-ში მითითებულ საკასაციო პრეტენზიაზე.

273. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელში მითითებულიც კი არ არის, რატომ გადაწყიტეს შპს „თ-იმა“ და ვ. ქ-მა ერთდროულად ბ. ნ-ისათვის 2008 წლის 17 სექტემბერს სს „ე-ა“-ს კუთვნილი ნიღბის მიყიდვა, რამ განაპირობა ასეთი ქრონოლოგიური დამთხვევა და რომ დამატებით ეს გარემოებაც შესაფასებელია შესაძლო იძულების კონტექსტში. სსსკ-ის მე-4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე – შეჯიბრებითობის პრინციპი, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს იმ გარემოებებზე, რაც მოსარჩელეს არ მიუთითებია სარჩელში.

274. კასატორის პრეტენზია შეეხება იმ საკითხსაც, შესაძლებელი იყო თუ არა არასამუშაო საათებში 2008 წლის 17 სექტემბერს, აქციათა ნასყიდობის საფასურის გადახდა. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.131).

275. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხს წარმოადგენდა, შესაძლებელი იყო თუ არა არასამუშაო საათებში 2008 წლის 17 სექტემბრის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აქციათა ნასყიდობის ფასის გადახდა. ამ თვალსაზრისით, დადგენილი იქნა, რომ სს „თ-ის“ წერილების თანახმად „2008 წლიდან დიდი პერიოდის გასვლის გამო ვერ მოხერხდა მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება, ხოლო, ზოგადად, მ-ის ფილიალის გრაფიკია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-დან 20:00 საათამდე, შაბათს 10:00-დან 14:00 საათამდე“ (21.03.2016. წლის წერილი), „დამატებით მოხდა ინფორმაციის მოძიება, კერძოდ, 2008 წლის 11 აგვისტოდან 2008 წლის 18 აგვისტომდე მ-ის ფილიალი მუშაობდა 10:00-დან 18:00 საათამდე“ (23.03.2016. წლის წერილი). სს „ე-ის“

წერილზე, შესაძლებელია თუ არა წინასწარი შეთანხმებით, არასამუშაო დროს, ერთ მილიონ აშშ დოლარიანი ან უფრო მეტი ოდენობის ფინანსური ტრანზაქციის განხორციელება, კერძოდ, სს „თ-ის“ მ-ის ფილიალიდან (ბანკის სათაო ოფისი) სხვა ქართულ ბანკში თანხის გადარიცხვა, სს „თ-იდან“ 27.06.2016. წელს მიღებული იქნა პასუხი, რომლის მიხედვითაც „კორპორატიულ კლიენტთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში ბანკმა კლიენტის მომსახურება, განსახილველ შემთხვევაში, კლიენტის დავალების მიღება და თანხების გადარიცხვა, შესაძლებელია განხორციელოს ნებისმიერ დროს (მათ შორის, ისეთ საათებში, როდესაც ბანკი სტანდარტულად აღარ ახორციელებს კლიენტებისგან საგადასახადო დავალების მიღებას), თუკი დავალების შესრულება ტექნიკურად შესაძლებელია (იგულისხმება ბანკის პროგრამული უზრუნველყოფა და/ან სსიპ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება)“.

276. შესაბამისად, საკასაციო პალატას საქმის მასალებით დადასტურებულად მიაჩნია, რომ ბანკს მხარესთან შეთანხმებით შეეძლო დიდი ოდენობის ფულადი თანხების დღის ნებისმიერ დროს გადარიცხვა და სახელმწიფოს მხრიდან ბანკის იძულება ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროებას არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან სს „თ-ის“ იძულების დამადასტურებელი მტკიცებულება, მომსახურებოდა 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების საფუძველზე ფულად გადარიცხვას, საქმის მასალებით არ დასტურდება.

277. კასატორი აგრეთვე არ ეთანხმება გასაჩივრებული გადანაცვების დასაბუთებას იმ ნაწილშიც, რომელშიც სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება, ვერ იქნება აღქმული, როგორც სახელმწიფოს მხრიდან იძულების განხორციელების საშუალება, ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ტელეფონის ნომერზე, ფინანსური პოლიციის სახელზე რიცხული ტელეფონიდან განხორციელებული ზარები არ შეიცავენ არალეგიტიმური კომუნიკაციის ნიშნებს. სააპელაციო სასამართლოს მითითებული დასკვნების უარყოფას კასატორი ახორციელებს შემდეგი დასაბუთებით: ის ფაქტი, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმე იყო უსაფუძვლო და შესაბამისად მისი აღძვრა, რომ ძალადობისა და იძულების მაგალითს წარმოადგენდა, ეს კარგად ჩანს თუნდაც იქედან, რომ მიუხედავად ბრალის წაყენებიდან რამდენიმე (უკვე ათი) წლის გასვლისა, მისი განხილვა სა-

სამართლოში დღემდე არ მომხდარა. გარდა ამისა, ბრალდება რომ იძულების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს (შესაბამისად, კიდევ უფრო ამყარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას) ბრალდების დადგენილების სასამართლოს მიერ ციტირებული ტექსტიდან. კერძოდ, ბრალდების დადგენილებაში ვკითხულობთ: „2006 წელს ა. ს-ემ მას შემდეგ, რაც იმავდროულად არჩეულ იქნა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, ისარგებლა რა, ურთიერთდამოკიდებულებით, ქარხნის გენერალურ დირექტორ მ. დ-ესთან შეთანხმებით, რომლის მეუღლე ქ. ც-ე იყო ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, განიზრახა თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად ქარხანაში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ამავე ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ქარხნიდან დიდი ოდენობით თანხები გადაექაჩა კომპანიაში“, სადაც წილის 50%-ის მფლობელი იყო მისი მეუღლე – ნ. რ-ი“. როგორც ბრალდების ფორმულარში აღნიშნული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან (1) ბოროტად გამოიყენა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და (2) მ. დ-ესთან შეთანხმებით ზიანი მიაყენა ქარხანას (3) ყოველივე ამის შედეგად კი, სარგებელი მიიღო კომპანიაში. კასატორი აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბრალდების ფორმულარში აღწერილი დანაშაული ჩაედინა, აუცილებელი იყო, რომ მას ჰქონოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში კი, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ორივე კომპანიაში (ქარხანა და კომპანია) იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და მას არ გააჩნდა არც ერთი ამ კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ასეთ უფლებამოსილებას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის არ ადგენდა არც იმ დროს და არც დღეისათვის მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. გარდა ამისა, ამავე ბრალდების ფორმულარით ირკვევა, რომ თითქოს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ დანაშაული ჩაიდინა ქარხნის დირექტორთან – მ. დ-ესთან შეთანხმებით, ხოლო სარგებელი (კანონის დარღვევით) მიიღო კომპანიაში, რომლის დირექტორიც იყო დ. ა-ი (ანუ სახეზე უნდა ყოფილიყო თანამონაწილეობა/ჯგუფური დანაშაული), თუმცა მიუხედავად ამისა, არც იმ დროს და არც შემდგომ, აღნიშნულ საქმეზე ბრალი არ წარუდგენიათ არც მ. დ-ისათვის და არც სხვა რომელიმე მესამე პირისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული, მოწმეთა ჩვენებებთან და რაც მთავარია შედეგთან (ანუ უშედეგობასთან) ერთად, ცალსახად მიუთი-

თებს არამარტო ბრალდების აბსურდულობაზე, არამედ სხენებუ-
ლი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ჭეშმარიტი მიზანზეც –
იგი გამოყენებული ყოფილიყო იმისათვის, რათა ბრალდების ად-
რესატს და ასევე მასთან დაკავშირებულ პირებს ვერ მოეხდინათ
საკუთარი უფლებების სრულფასოვანი რეალიზება (იხ. წინამდე-
ბარე განჩინების პ.134-136).

278. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას,
რომ „კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წინააღ-
მდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, იძულების
ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ეს კიდეც უფრო კარგად ჩანს
(შესაბამისად, კიდეც უფრო ამყარებს პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას) ბრალდების დადგე-
ნილების სასამართლოს მიერ ციტირებული ტექსტიდან“, რადგან
სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია 2008 წლის 17 სექ-
ტემბერს, ხოლო ა. ს-ე კი ბრალდებულის სახით პასუხისგებაშია
მიცემული 2008 წლის 06 ნოემბერს.

279. რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, რომ კომპანიის სა-
მეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის წინააღმდეგ დაწყებული
სისხლის სამართლის საქმე იყო უსაფუძვლო და შესაბამისად
მისი აღძვრა, ძალადობისა და იძულების მაგალითს წარმოად-
გენდა, რადგან ეს კარგად ჩანს თუნდაც იქედან, რომ მიუხედავად
ბრალის წაყენებიდან რამდენიმე (უკვე ათი) წლის გასვლისა, მისი
განხილვა სასამართლოში დღემდე არ მომხდა და ა.შ., საკასაციო
პალატა მიუთითებს, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებიდან გამომ-
დინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოკლებულია შესაძ-
ლებლობას იმსჯელოს ამ საკითხზე.

280. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ
საქმეში არსებულ ვიდეორჩანანერს, სადაც ასახულია საქართველოს
ექს-პ. 2008 წლის 23 ნოემბრის შეხვედრა ქარხნის პერსონალთან,
შეფასებას (იხ., ამ განჩინების პ-100) და მიაჩნია, რომ აღნიშნული
ვიდეორჩანანერი სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გა-
ნიხილა, როგორც მოსარჩელის მიმართ, სახელმწიფოს მაღალი თა-
ნამდებობის პირთა მიერ განხორციელებული იძულების დამადას-
ტურებელი მტკიცებულება.

281. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სარჩელის აღძვრამ-
დე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 2014 წლის 19 აგვისტოს
განცხადებას და 2014 წლის 05 სექტემბერს აღძრულ სარჩელს ერ-
თვის საქართველოს ყოფილი პ. მ. ს-ის 2008 წლის 23 ნოემბერს სს“
ე. ვ. ქ-აში“ გამოსვლის ამსახველი ვიდეომასალა, სადაც მან შემ-
დეგი განცხადება გააკეთა: „ქარხანა იყო რამდენიმე ხნის წინ და-
ხურვის პირას მისული. რომ არ ჩარეულიყო საქართველოს მთავ-

რობა, მე მინდა ვთქვა, რომ დახურვის პირას მისული იყავით თქვენ სხვადასხვა მანიპულაციების და სხვადასხვა ხრიკების და კომბინაციების შედეგად, და დღეს ის, ვინც ჭკუას გვარიგებს, იმათ სინდისზე იყოს ეს მანიპულაციები, რომლითაც პრაქტიკულად თქვენი ქარხანა კინალამ დახურეს და თვითონ ამაზე გააკეთეს მილიონები და ჩვენ ამ ხალხს მოვთხოვთ პასუხს და მივიყვანთ სასამართლომდე. მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, და ყველას ვუთხრა, არავის არაფერი არ შერჩება. მე ალბათ, მაქვს დაშვებული შეცდომებიც პირადად, როდესაც ზედმეტად ვენდობოდი ხოლმე ვილაც-ვილაცებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ თქვენი ქარხნის მიმართ შექმნილი პრობლემის გადალახვას. ჩვენ აქამდე ვაგონების შეკეთების შეკვეთებს ვაძლევდით უ-აში, რ-ი და, ისიც ვიცი კარგად, რომ, როგორც გაირკვა მოგვიანებით და ჩვენ ამას მივყვებით ბოლომდე, რომ ამ ვაგონების შეკეთებაზე, გაკეთებაზე კეთდებოდა ფული, ასევე ხდებოდა ფულის განაწილება ზოგ-ზოგიერთის მიერ. ამ ზოგ-ზოგიერთებს სახელები და გვარები დაერქმევა და, იმედია, პასუხს აგებენ“.

282. საქართველოს პ. 2005 წლის 2-ის №... განკარგულებით განხორციელდა ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 51,63% პრივატიზება კომპანიისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით და აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და კომპანიას შორის 2005 წლის 28 ივნისს დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება. სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული ვიდეომასალის შესწავლის შემდგომ საქმეში წარმოდგენილ საქართველოს პ. 2005 წლის 2-ის №... განკარგულებასთან ერთობლიობაში ანალიზით დაასკვნა, რომ სწორედ ნდობაზე აგებული ურთიერთობის შედეგად ქვეყნის ყოფილი პ. მიერ დაშვებული იქნა გარკვეული შეცდომა, რასაც შედეგად მოყვა ქარხნისთვის არასასურველი შედეგები და რასაც მ. ს-ი საჯაროდ აღიარებდა, დადო რა ქარხნის მიმართ შექმნილი პრობლემის გადალახვის პირობა, ასევე, მიუთითა ვაგონების შეკეთებასთან დაკავშირებით მისთვის ცნობილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე.

283. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ ზემოაღნიშნული ვიდეომასალიდან თითქოსდა ცალსახად ირკვევა, სახელმწიფოს მხრიდან 2008 წლის 17 სექტემბერს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო იძულების განხორციელება, ვინაიდან ზემოხსენებული განცხადების გაკეთების მომენტისთვის, ქარხნის მიმართ უკვე გახსნილი იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ხოლო თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ქარხნის მომრიგებელი საბჭოს 2008 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დაინიშნა მის მიმართ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეაბილიტაციის პროცედურები.

284. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენიმე მოთხოვნის საფუძველის თავმოყრის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან სრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს (იხ. სუსგ №ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ მას იძულებით დაათმობინეს საკუთრების უფლება მოპასუხის სასარგებლოდ. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, ხომ არ გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი – ნილზე საკუთრების უფლების აღდგენა კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველიდან, კერძოდ, დელიქტიდან. „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთნაირი ვადის გასვლის შემდეგაც [ბ. ზოიძე., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., გვ. 246, 252].

285. აღნიშნული მსჯელობა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას, რომლის თანახმად, კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. დიდი პალატის მითითებით, „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელმეკრულეზო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ., §212, §213).

286. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელისთვის სასურველი

სამართლებრივი შედეგი შეიძლება გამომდინარეობდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე [„პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“], 998-ე [თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით] და 408.1 [იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება] მუხლებიდან.

287. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა („გენერალური დელიქტი“). მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ზიანის მიმყენებელს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება „გენერალური დელიქტის“ არარსებობის შემთხვევაშიც, მაგალითად, ზიანის მიმყენებლის ქმედებაში ბრალისა და მართლსაწინააღმდეგობის არარსებობისას. ასეთი საგამონაკლისო ვითარება მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. შესაბამისად, უნდა შემონმდეს შესრულებულია თუ არა ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა.

288. „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუკი ასეთი ქმედება არ არსებობს, მაშინ დელიქტის შემადგენლობის სხვა წინაპირობების შემოწმება ზედმეტია. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. არის თუ არა მოთხოვნა მართლსაწინააღმდეგო, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს სასამართლომ. მოქმედება შეიძლება, ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ: ა. იგი ობიექტურად მიმართულია რომელიმე კანონისმიერი ამკრძალავი ნორმის წინააღმდეგ; ბ. თუ მოქმედება არღვევს სხვა ვალდებულებებს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს; გ. თუ მოქმედება არღვევს საგანგე-

ბოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, პირად უფლებებს) (იხ. სუსგ №ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი).

289. მოსარჩელე უთითებს მის მიმართ განხორციელებული შესაძლო იძულების შედეგად მისი საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტზე. პირის იძულება, ნების სანინალმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ., §193). ამდენად, მოსარჩელეზე განხორციელებული შესაძლო იძულების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში სახეზე იქნება დელიქტის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა – მოსარჩელის საკუთრების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

290. მოსარჩელე უთითებს, რომ ქარხანაში თავისი კუთვნილი წილი, მასზე განხორციელებული იძულების შედეგად დაუთმო მოპასუხეს. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, იძულება მომდინარეობდა სახელმწიფოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებისაგან, მათ შორის ყოფილი თ-ის მ-გან. მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს ზიანის დადგომაში მოპასუხეთა თანამონაწილეობა და სსკ-ის 998-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. შესაბამისად, იმისათვის, რათა მოსარჩელე აღდგეს პირვანდელ უფლებებში და ცნობილ იქნეს 25.817895%-იანი წილის მესაკუთრედ, აუცილებელია დადასტურდეს ის გარემოებაც, რომ სადავო ხელშეკრულების კონტრაჰენტი – მოპასუხე ბ. წ-ი სახელმწიფოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობდა საკუთრების ხელყოფაში (რადგან ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო) ან (2) შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (998-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

291. ზემოაღნიშნულ პირველ შემთხვევაში (ერთობლივი ზიანი) ზიანის მიმყენებელი პირები უნდა მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით ანუ სახეზე უნდა იყოს ზიანის დადგომაში განზრახი თანამონაწილეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგულისხმება ორი შემთხვევა: (1) პირი, ვინც

თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყო სხვის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებას, რადგან სხვისთვის ზიანის დადგომა მას ანიჭებს რაიმე სარგებელს და ეს უმოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (მაგალითად, მეზობელმა ისარგებლა მუშების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რასაც მოჰყვა მისი მეზობელი მიწის ნაკვეთის მიჯნის მოშლა); (2) მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ზიანისა და მისი წარმომშობი მიზეზების თაობაზე, პირმა შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (მაგალითად, შეგნებულად ბინა შეიძინა იმ პირისაგან, ვინც ყალბი საბუთების საფუძველზე აღირიცხა ბინის მესაკუთრედ და ეს შემძენისთვის გახდა ცნობილი) და ამ შემთხვევაშიც, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (იხ. სუსგ №ას-857-821-2014, 2015 წლის 21 დეკემბერი).

292. ამდენად, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ: ა) სახელმწიფოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება (იძულება); ბ) აღნიშნულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მათთან ერთად მონაწილეობდა მოპასუხე ან ამ უკანასკნელმა შეგნებულად ისარგებლა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანით.

293. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

294. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის, როლი მტკიცების

პროცესში შემოიფარგლება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრით, მხარეთა შეჯიბრებითობის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობა-განკუთვანდობის შემომწმებითა და შეკრებილ მტკიცებულებათა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შესწავლა-ანალიზით, სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა და იგი საფუძვლად დაედება მიღებულ გადანყვეტილებას (იხ. სუსგ №ას-839-805-2016, 2017 წლის 6 მარტი).

295. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემომწმებას (იხ. სუსგ №ას-406-383-2014, 2015 წლის 17 აპრილი). შესაბამისად, მოწმის ჩვენებაც, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, უნდა შეფასდეს ყველა იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულებების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა. მოცემულ შემთხვევაში თითქმის ყველა მოწმე დაკავშირებულია მოსარჩელესთან, აგრეთვე მათ ჩვენებებში არის წინააღმდეგობაც, რაც ობიექტურად გავლენას ახდენს მათ მიერ მიუკერძოებელი ჩვენების მიცემის შესაძლებლობაზე და ამცირებს აღნიშნული მოწმეების ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, იურიდიულ სანდოობას.

296. მოსარჩელის განმარტების გაზიარების შემთხვევაში, იძულების წყაროდ მიიჩნევა არა ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირი, არამედ – სახელმწიფო, რომელიც ყოფილი მ-ა და ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა ხელით ახორციელებდა ზენოლას და აღასრულებდა კიდევაც მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია, ყოფილმა თ-ის მინისტრმა უშუალოდ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და პირის დაპატიმრება.

297. ამასთან, საქმეში არც იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომ სახელმწიფოს (რომელიც საქმეში მოპასუხედაც კი არ არის მითითებული), მიერ განხორციელებულ შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობდა მოპასუხე ბ. წ-ი, ან ამ უკანასკნელმა შეგნებულად ისარგებლა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანით.

298. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, კერ-

ძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა, რაც დელიქტური ვალდებულების წარმოშობის სხვა წინაპირობების შემოწმებას აზრს უკარგავს.

299. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ მიზეზ-შედეგობრიობის ელემენტზე. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ თანმიმდევრულად და ლოგიკურად ვერ აღწერა მის მიმართ განხორციელებული შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებები უშუალოდ სადავო გარიგების დადების შედეგად საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტთან მიმართებით. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არა თუ უნდა მიეთითებინა, არამედ უნდა დაემტკიცებინა კიდევ, რომ მისი საკუთრების ხელყოფა, რაც გამოიხატა წილის დათმობაში, გამონეწეული იყო ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ განხორციელებული შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (ძალადობით ან მუქარით). საქმის მასალებში ამის დამადასტურებელი დასაბუთებული მტკიცებულებები არ მოიპოვება. ყოფილი მ. მიერ მოსარჩელის საკუთრების შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტის თაობაზე იციან გადმოცემით. ვერცერთი მონმე და ვერც კასატორი ვერ ადასტურებს, თუ რა კავშირი აქვს ყოფილ თ-ის მინისტრს 2008 წლის 17 სექტემბერის სადავო ხელშეკრულების დადებასთან, ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება ყოფილი მ. კავშირი სადავო გარიგების კონტრაქტთან – მოპასუხე ბ. წ-თან. მართალია მოსარჩელე მიუთითებს, რომ დ. კ-ი იყო მოპასუხის შვილის – ი. წ-ის მეგობარი, თუმცა აღნიშნული ვერ ერთი, არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით და მეორეც, ასეთის დადასტურების შემთხვევაშიც, მაინც ვერ ამტკიცებს ყოფილი თ-ის მ. კავშირს უშუალოდ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2008 წლის 17 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებასთან.

300. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით ექვემდებარება კვლევას, თუ რა ვადაში განხორციელდა შეცილება (სკ-ის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან), რათა არ გაუარესდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. გარიგების შეცილებაასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფ-

ლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. ნინალმდევე შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“. უცილო (არარა) გარიგებების „ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტიში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა“ (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი). თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ არ დასტურდება სადავო გარიგების დადებისას იძულების ფაქტი, საკასაციო პალატა არ იმსჯელებს შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადებზე.

301. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება ისეთი ცალკე აღებული სარწმუნო მტკიცებულება ან მტკიცებულებათა იმდაგვარი ერთობლიობა, რომელიც პალატას შეუქმნიდა შინაგან რწმენას სადავო გარიგების მომზადებისა და დადების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის ინტერესებში იძულების განხორციელების თაობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს დაუდასტურებლად მიაჩნია სახელმწიფოს მხრიდან სადავო გარიგების მომზადებისა და დადების პროცესში ნოტარიუსის, კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, ასევე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის მიმართ მოპასუხის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებაზე იძულების ფაქტი.

302. საბოლოოდ, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევის ფაქტი, რაც მას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას წარმოუშობდა (პრაქტიკის თვალსაზრისით დამატებით იხ. სუსგ №ას-28-25-2017, 28 თებერვალი, 2018 წელი).

303. ვინაიდან საქმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საა-

პელაციო სასამართლოს მხრიდან დაშვებულ დარღვევას დავის არასწორად გადანყევტა არ მოჰყოლია შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, (სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო პალატა არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას.

304. რაც შეეხება კასატორის მიერ გადახდილ ბაჟს, ვინაიდან დავა მის სასარგებლოდ არ დასრულებულა, არ არსებობს ამ თანხის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობა, არამედ, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, ეს თანხა უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადანყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge